PRIME Time

N49 (299) ორშაბათი 15 დეკემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„აირზენას“ თანამშრომლები შიმშილობით იმუქრებიან

EXCLUSIVE

იასე ზაუტაშვილი: „საქართველოში „ხალხის მსახურები“ არ იცავენ ხალხის ინტერესებს, ისინი ორიენტირებული არიან იმაზე, რომ პირადი ინტერესები და ამბიციები დაიკმაყოფილონ“

„მაესტროს“ სარეკლამო დროს „რუსთავი 2“ ყიდულობს

ნიკა გვარამია: „ეს კომერციული საკითხია, მართალიც რომ იყოს, ვერ დაგიდასტურებთ“

გიორგი ისაკაძე: „ამაზე საუბარი მრავალი თვეა მიდის, გაცილებით ადრე, სანამ მე „მაესტროში“ მოვიდოდი“

მამუკა ღლონტი: „რუსთავი 2“-მა „მაესტროს“ სარეკლამო დრო იყიდოს, ძალიან რთული განსახილველი იქნება ჩემთან“

EXCLUSIVE

მოსალოდნელი სკანდალური გარიგების გამო მამუკა ღლონტმა არჩი დატოვა?

EXCLUSIVE

ნოდარ ჯავახიშვილი: „დანაშაული არ დაიმალება!“

„მე მინდა თავისუფალი და ხელშეუშლელი მუშაობის შესაძლებლობა და მაქვს გარანტია, რომ მექნება“

EXCLUSIVE

სკანდალური ექსკლუზივი

ეროსი კიწმარიშვილის საქმის უცნობი დეტალები

EXCLUSIVE

ვის მიმართ რჩება ეჭვი ეროსი კიწმარიშვილის ძმას და რა კითხვები დარჩა გია ხევიაშვილის მისამართით?

რა იშიფრება გამოძიების მიღმა დარჩენილ ვიდეოჩანაწერებში

რეფორმის კონცეფციაზე მუშაობა იწყება

დავით სუჯაშვილი: „ჩვენი მთავარი მიზანია, შეიქმნას ისეთი უსაფრთხოების სისტემა, სადაც შემავალ რგოლებს შორის უზრუნველყოფილი იქნება კოორდინაცია და ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლა“

EXCLUSIVE

ქუთაისში ყველაზე იაფი სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტი „გორგია“ გაიხსნა

EXCLUSIVE

105 ახალი და 580 გაფართოებული საწარმო – ახალი რეალობა უპრეცედენტო მასშტაბით

სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტების განხორციელებაში რეკორდულ ნიშნულს სცდება

EXCLUSIVE

ვინ არის და რატომ არ დასაჯეს დედა-შვილის „მკვლელობაში“ მთავარი დამნაშავე

სააკაშვილის ახირებას შეწირული 10 წლის ბავშვის სიცოცხლე

სოსო ჯინჭარაძე: „უნდა დასჯილიყო ის, ვინც მემორიალის აფეთქება დააჩქარა. ის განსასჯელები ამბობდნენ, უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისთვის ჩვენ კიდევ სამი დღე გვჭირდებოდაო. ის სამი დღე არ დააცადეს...“

EXCLUSIVE

ვინ აფარებს ხელს EXCLUSIVE პენსიონერის გარდაცვალებაში „დამნაშავე“ ექიმებს

სამედიცინო სკანდალი, რომელიც მსუბუქი გაფრთხილებით ამოიწურა

მერაბ კოღუაშვილი: „მიმღებში იყო ექიმი, ვინმე მაკა ჩიხლაძე, რომელიც, ჩვენი უმწეობის პოლისის მიუხედავად, გვაიძულებდა ფულის გადახდას. ეს მოთხოვნა კი ხდებოდა საშინელი შეურაცხყოფების თანხლებით“

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

„საქართველოს ბანკის“ „ქმარკომატის“ ავტორებს შესაძლოა, სასამართლოში უჩივლონ EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეროსი კიწმარიშვილის საქმის უცნო

მარიამ ნადირაძე

ალბათ, ბევრს რჩება შთაბეჭდილება, რომ, რომ არა ზურაბ კიწმარიშვილი, პროკურატურას დიდი ხნის წინ ექნებოდა გამოცხადებული ეროსი კიწმარიშვილის საქმე გახსნილად, რაღა თქმა უნდა, მისი თვითმკვლელობის დადასტურებით...

გამოძიების მიღმა დარჩენილი ვიდეოჩანაწერები და დაუსრულებელი გამოკითხვის ოქმები...

თუმცა, ის შთაბეჭდილებაც ლეგიტიმურია, რომლის მიხედვითაც გარდაცვლილის ოჯახის ინტერესშია გამოძიების გაჭიანურება...

ერთი კვირის წინ საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქალაქის პროკურორმა მასალების გასაჯაროება და დასკვნის დადება დააანონსა. ამ განცხადებას, რაღა თქმა უნდა, ზურაბ კიწმარიშვილისა და მისი ადვოკატების ვიზიტი მოჰყვა პროკურატურაში ასეთი განმარტებით, – „გვაქვს კითხვები, რომელსაც პროკურატურას წარვუდგენთ“. ამ ვიზიტის შედეგ საგამოძიებო ორგანომ ოფიციალურად განაცხადა, რომ ოჯახთან შეთანხმების გარეშე მასალები აღარ გასაჯაროვდებოდა...

ჩვენი მკითხველი, ალბათ, მიგვიხვდება, რომ ეს დინამიკა მას გარკვეული მოსაზრებით შევთავაზეთ და რაღა თქმა უნდა, იკვეთება კითხვა – რაზე შეთანხმდა პროკურატურა კიწმარიშვილის ოჯახთან და რატომ შეიკავა თავი დაანონსებული გასაჯაროებისგან?

იმ ფონზე, როდესაც ზურაბ კიწმარიშვილი აცხადებს, რომ აქვს კითხვები, რომლებიც ჯერაც არ ამოწურულა, „პრაიმტაიმმა“ მას საკუთარი კითხვებით მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რესპონდენტი ყოველთვის ცდილობს, ზოგადი პასუხებით შემოიფარგლოს, ამჯერად შევეცდებით, მისგან მეტ კონკრეტიკას მივაღწიოთ.

მაშ ასე, რა არის ახალი უკანასკნელი პერიოდის ყველაზე სკანდალური საქმის გამოძიებაში?

რა კითხვები დარჩა პასუხგაუცემელი და ვის მიმართ არ მოხსნილა ჯერაც ეჭვები?

რა პრეტენზიები არსებობს გამოძიების მისამართით?

რა თემები დატოვა პროკურატურამ უყურადღებოდ?

ვისი დაკითხვის ოქმებით დარჩა უკმაყოფილო ოჯახი?

რომელი ვიდეოჩანაწერები დარჩა კვლევის გარეშე?

რატომ ჩქარობს პროკურატურა დასკვნას და აჭიანურებს ოჯახი?

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ კითხვებისა, რომლის გარშემოც დღეს ჩვენს მკითხველს ზურაბ კიწმარიშვილთან საუბარს წარმოვუდგენთ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც, როგორც მანამდე, რესპონდენტი თემების განზოგადებას ცდილობს. თუმცა დაკვირვებული თვალი ქვეტექსტებშიც საკმაოდ ბევრ საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავს:

– პროკურატურა გამოძიების მასალების გასაჯაროებას აპირებდა. თქვენი მათთან ვიზიტის შემდეგ კი გადაიფიქრა... რამე შეთანხმება შედგა თქვენ შორის?

– ჩვენ შევხვდით ერთადერთი მიზნით – გაგვეცნო ჩვენი მოსაზრებები მათ ანალიზთან და ვერსიებთან დაკავშირებით. ისინი დაგვეთანხმნენ, რომ რაღაც საკითხებში კვლევა-ძიება უნდა გაგრძელებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებენ დასკვნას. ანუ დასკვნა დაიდება, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენი შეხედულებების გაზიარებაც მოხდება.

– ანუ, როცა თქვენი კითხვები ამოიწურება?

– კითხვები გაცილებით მეტი გვქონდა, მაგრამ არის რაღაც საკითხები, რომელიც ნივთიერი მტკიცებულებების ფარგლებს ცილდება და ამიტომ ისინი არ არიან მზად, რომ მას პასუხი გასცენ. მაგრამ რაც საქმეს შეეხება – კვლევებს, ექსპერტიზებსა და ა.შ. ამას კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან და კიდევ ერთხელ გადაამოწმებენ. თუ მაინც დარჩება საკითხები, რომელზეც პასუხი მაღალ ხარისხში არ ექნება გაცემული, რაღა თქმა უნდა ვიტყვით ამის შესახებ. მერე უკვე დეტალებზეც ვისაუბრებთ...

– თვალშისაცემია, რომ დღემდე დეტალებზე არ საუბრობთ...

– ესეც ჩვენი შეთანხმების ფარგლებშია. რამდენჯერმე, როცა დეტალებში წავედით, მათ დაგვარწმუნეს, რომ საქმისთვის ეს კარგი არ არის. რაკი ამდენი მოვითმინეთ, ცოტაც მოვითმინოთ...

– თუმცა, არსებობს მოლოდინი, რომ პროკურატურა, რამდენ ხანსაც არ უნდა მოვითმინოთ, საბოლოოდ მაინც თვითმკვლელობას დაადასტურებს... მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ჯერაც მკვლელობის ვერსიაზე რჩებით...

– მე სრული უფლება მაქვს, ჩემი ვერსია მქონდეს და ვამტკიცო, რომ სწორედ ეს არის რეალური. პროკურატურას კი არ აქვს უფლება, რომ მყარი არგუმენტის გარეშე რაიმე ვერსია წარმოადგინოს სინამდვილედ და საქმე გახსნილად გამოაცხადოს. თუმცა, გვარწმუნებენ, რომ ყველა მიმართულებით ჩატარდა სამუშაოები. ალბათ, ამასაც წარმოადგენენ საბოლოოდ თავის ანგარიშში – რა მიმართულებით იმუშავეს, ვისთან მივიდნენ, რა ამოიღეს და ა.შ.

– თქვენ გაქვთ წვდომა საქმის მასალებთან. ამდენად თქვენ აქამდეც უნდა იცოდეთ ამ ანგარიშის დეტალები... ამ მასალების მიხედვით, თქვენ ვერ ხედავთ, რა მიმართულებით უფრო სრულფასოვნად იმუშავა გამოძიებამ?

– ვხედავ... ჩვენი კრიტიკა და მოსაზრებები ამიტომაც წარვუდგინეთ. მათ ეს ყველაფერი ჩაინიშნეს და ისინი ამას გააკეთებენ...

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველი პასუხის შემდეგ საუბრის დასრულებას ცდილობთ... მოდი, დავუშვათ გამონაკლისი და ყველა კითხვაზე მიპასუხეთ...

– რა პრობლემაა, სადაც ამდენი მოგიყევით... თუმცა, არის ადგილები, რომლის იქითაც ინფორმაციას ვერ გავცემ.

> **„მე ამასთან დაკავშირებით პროკურატურასთან კითხვები არ მაქვს, ვინაიდან ექსპერიმენტს მეც ვესწრებოდი და შესაძლოა, დავეთანხმო მათ პოზიციასაც, რომ მანქანაში მესამე პირი ბუნებრივ მდგომარეობაში ვერ იქნებოდა. რადგან თუ თემას ჩავულრმავდები, მივდივართ ფანტაზიაში. ფანტაზიებით კი მე გამოძიებასთან კამათი ვერ მექნება“**

– თქვენს ბოლო განცხადებაში ითქვა, რომ გაქვთ კითხვები ექსპერტიზასთან, ვიდეომასალებთან და დაკითხვის ოქმებთან დაკავშირებით. მოდით, მივყვეთ თითოეულს ცალ-ცალკე: დავიწყოთ ექსპერტიზით...

– ამ მიმართულებით გეტყვით, რომ გამოძიებამ დაკითხა ექსპერტები. მოგვეჩვენა, რომ მათთვის კიდევ დამატებითი კითხვები იყო დასასმელი.

– რომელ ექსპერტებზე საუბრობთ? ვიცით, რომ უამრავი სახის ექსპერტიზა ჩატარდა...

– აქცენტი გავაკეთეთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე და მიკრონაწილაკებზე, რაც მანქანიდან იყო აღებული.

– სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს კითხვა, რომლის დასასმელად თქვენ არასწორი ადრესატი არ იქნებოდით: თავის დროზე, როდესაც თქვენი ძმა მანქანაში გარდაცვლილი ნახეს, პირველმა მოწმემ, გია ხევიაშვილმა განაცხადა, რომ გამოძიებას ბუნებრივად შეიძლება ჰქონდეს მისი მისამართით ეჭვი და არაფერია გასაკვირი, რომ მისი და მისი მეგობრების ტანსაცმელი დაიტოვეს გამოსაკვლევად. თქვენთვის ცნობილია ამ გამოკვლევის შედეგი? ან ჩატარდა თუ არა ის საერთოდ?

– დაგიზუსტებთ. ვინც შემთხვევის ადგილთან პოლიციის მოსვლამდე იმყოფებოდა, ყველა დაკავეს დროებით. მათ შორის იყო გია ხევიაშვილიც. მათგან აიღეს არამარტო ტანსაცმელი, დეენემის ჩატარებისთვის საჭირო ნიმუშები – თმა და ა.შ. ასევე თითების ანაბეჭდებიც. დეტალურად შეამოწმეს ისინი. ეჭვი მათ მიმართ რომ იქნებოდა, ეს ბუნებრივია. ამ ყველაფერს მოყვა ბევრი საექსპერტო დასკვნა სხვადასხვა მიმართულებით.

– რა დადგინდა ამ დასკვნებით? ფაქტია, რომ „სუფთები“ იყვნენ, რაკი გამოძიება ამ მიმართულებით აღარ გაგრძელებულა...

– სხვათა შორის, აქ არის რაღაც ნიუანსები, რაზეც გვქონდა ცალკე საუბარი და კითხვები.

– ეს კითხვები ამოიწურა?

– ნაწილი ამოიწურა, მაგრამ სხვა ნაწილი კითხვებისა, რომლის გარშემოც გამომძიებლებმა ვერ ჩამოაყალიბეს ახსნა-განმარტებები. შესაძლოა, მათ ეს არ მიაჩნდათ მნიშვნელოვნად. ამის გამო პროკურორისგან მიიღეს მითითება, რომ ამ ნაწილში ჩვენს კითხვებზე პასუხი უნდა იქნას ბოლომდე გაცემული. ასე რომ, მომდევნო შეხვედრის დროს, როდესაც ისინი წარმოგვიდგენენ შემაჯამებელ ოქმს, ეს თემაც იქნება ამოწურული.

– გამოდის, რომ ეჭვები არ არის მოხსნილი ამ ეტაპზეც?

– მინდა გითხრათ, რომ მე ჯერ არ მინახავს დოკუმენტი, რომელიც ამა თუ იმ ვერსიას ეჭვების გარეშე დაადასტურებდა. ვფიქრობ, ეს გამოძიებას არ აქვს.

– თქვენ კითხვები გქონდათ ცნობილ საგამოძიებო ექსპერიმენტთან დაკავშირებით, სადაც პროკურატურა ამტკიცებდა, რომ მანქანაში მესამე პირი ვერ იქნებოდა, თქვენ კი აღმოაჩინეთ ორი ადგილი, საიდანაც არაბუნებრივ მდგომარეობაში მესამე პირს შეეძლო გასროლის განხორციელება. ამ ნაწილში ამოიწურა თქვენი კითხვები?

– მე ამასთან დაკავშირებით პროკურატურასთან კითხვები არ მაქვს, ვინაიდან ექსპერიმენტს მეც ვესწრებოდი და შესაძლოა, დავეთანხმო მათ პოზიციასაც, რომ მანქანაში მესამე პირი ბუნებრივ მდგომარეობაში ვერ იქნებოდა. რადგან თუ თემას ჩავულრმავდები, მივდივართ ფანტაზიაში. ფანტაზიებით კი მე გამოძიებასთან კამათი ვერ მექნება.

– გადავიდეთ თქვენი ეჭვების მომდევნო ნაწილზე, ვიდეოჩანაწერებზე...

– პრეტენზიები ვიდეომასალასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მაქვს, რადგან ის ობიექტი სათვალთვალო კამერებით კარგად აღჭურვილი ვერ აღმოჩნდა. არის, ასე ვთქვათ, შავი ხვრელები, სადაც ვერ ხერხდება ვიზუალური დაკვირვება. არის დისტანციებიც, რის გამოც პიროვნებისა და მანქანების იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება.

– ეს პრეტენზიები ნაკლებად უნდა ეკუთვნოდეს გამოძიებას...

– რა თქმა უნდა... გამოძიებამ მაინც მოახერხა ამ მანქანების დადგენა და დაიკითხნენ მისი მფლობელებიც. თუმცა ჩვენ გვქონდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბი დეტალები

კონკრეტული რეკომენდაციები, რის შედეგადაც ისინი კვლავაც განაგრძობენ მასალების სრულყოფილად შესწავლას.

– თქვენ თავად ხომ არ შეგინიშნავთ ვინმე საეჭვო ამ კადრებში?

– მე რაც ვნახე, იყო მხოლოდ მანქანების მოძრაობები, რაც გამოძიებისთვის იმ ეტაპზე აღმოჩნდა საინტერესო. თუმცა იყო ისეთი მასალაც, რომელიც ბოლომდე არ იყო შესწავლილი. არადა შესაძლოა, მათზე მუშაობით უფრო მეტი შედეგი მიეღო გამოძიებას.

– რაც შეეხება დაკითხვის ოქმებს, ვისი დაკითხვა არ მოგეჩვენათ ამომწურავად? სხვათა შორის, პროკურატურაში თქვენი ბოლო ვიზიტის შემდეგ არაერთი მოწმე ხელახლა დაკითხა პროკურატურამ. ეს პროცესი თქვენ გიკავშირდებათ?

– არსებობს რამდენიმე პიროვნება, რომელიც გამოძიებას რამდენჯერმე ჰყავდა დაკითხული. ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ზოგიერთის მიმართულებით გამოძიებას უფრო მეტი უნდა ემუშავა, მეტი ინფორმაცია უნდა მიეღო მათგან. ასეთი მოწმეები ყვებოდნენ, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე შეხვდნენ მას... ის აპირებდა რაღაცის გაკეთებას... და ა.შ. გვინდოდა, რომ ასეთ მოწმეებთან გამოძიება ზოგადი თემებით არ შემოფარგლულიყო და უფრო კონკრეტული კითხვები დაესვათ. რადგან მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, ოპერატიულად დამუშავებულიყო და რამე საგულისხმო ძაფიც გამოჩენილიყო.

– ადამიანებისთვის, რომლებიც კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეროსი კიწმარიშვილი თავს არ მოიკლავდა, ყველაზე მყარი არგუმენტია მისი მატერიალური მდგომარეობა, რომ ის იყო მილიონერი. გამოძიებამ იმუშავა ამ მიმართულებით? გამოიკვლია მისი ფინანსური შესაძლებლობები?

– მას, რა თქმა უნდა, აქვს სამუშაოები ჩატარებული ამ მიმართულებით, აქვს ბანკებიდან ამონაწერები, დაკითხვის ოქმებშიც მუსირებს ეს კითხვა. შესაბამისად, მას არ გაუჭირდება, სწორი სურათი წარმოადგინოს გარდაცვლილის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. თუმცა, მეორე საკითხია, რა ადგილს დაიკავებს ეს ინფორმაცია ვერსიების ჩამოყალიბების პროცესში.

– რა ირკვევა საბანკო ამონაწერებით? თქვენს ძმას ბევრი ვალი ჰქონდა?

– გამოიკვეთა, რომ არის პოზიტივიც, ნეგატივიც. ეს მასალები სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა წარმოდგენას შეუქმნის. გამოძიება, ვფიქრობ ამ მოცემულობაზე ვერ გაჩერდება, რომ ვიღაცას რაღაც საფიქრალი მისცეს. მისი მოვალეობაა, რომ მან დაადასტუროს კონკრეტული საკითხები.

– გამოძიებამ ის დეტალი მაინც თუ შეისწავლა, მართლაც გაქრა თუ არა თქვენი ძმის მანქანიდან 20 ათასი ლარი მისი გარდაცვალების დღეს, რომლითაც მისი შტაბის წევრების დავალიანება უნდა გადახდილიყო?

– ამ მიმართულებით საქმის მასალებში არავითარი ინფორმაცია არ არსებობს. არადა მართლაც იყო საუბრები დაკარგულ თანხაზე. ეს ჭორიც რომ ყოფილიყო, ალბათ, უნდა მომხდარიყო რეაგირება. საქმის მასალებში კი ამაზე შენიშვნის სახითაც არაფერია.

– ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების პირველ დღეებში უამრავი ინფორმაცია ვრცელდებოდა მისი ბიზნესინტერესების შესახებ. გამოძიებას აქვს თუ არა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ამ მიმართულებით და დაადგინა თუ არა მისი ინტერესები თუნდაც გადაზიდვებში, რომლის შესახებაც საუბრები ინტენსიურად მიდიოდა? ან დაკითხული ჰყავს ის ადამიანები, ვინც ამ ვერსიას საჯაროდ აჟღერებდნენ? ვგულისხმობ თუნდაც მალხაზ გულაშვილს...

– არანაირი მსგავსი ტიპის სამუშაოს ჩატარების დამადასტურებელი საბუთი არ მინახავს საქმეში. არც მალხაზ გულაშვილის დაკითხვის ოქმი მინახავს სადმე. იქ დევს დოკუმენტაცია გარდაცვლილის იმ საქმიანობის შესახებ, სადაც ისედაც ოფიციალურად იკვეთებოდა მისი გვარი და რომლის ნახვაც ნებისმიერს შეუძლია რეესტრის მონაცემებში. სხვა დამატებითი სამუშაოები ჩატარებული არ არის. ასე რომ, ეს საკითხი ღია...

ვის მიმართ რჩება ეჭვი ეროსი კიწმარიშვილის ძმას და რა კითხვები დარჩა გია ხევიაშვილის მისამართით?

რეფორმის კონცეფციაზე მუშაობა იწყება

„ჩვენი მთავარი მიზანია, შეიქმნას ისეთი უსაფრთხოების სისტემა, სადაც შემავალ რგოლებს შორის უზრუნველყოფილი იქნება კოორდინაცია და ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლა“

ქეთი ხატიაშვილი

მომავალ წელს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რეფორმის განხორციელება დაიწყება. პრემიერის გადაწყვეტილებით, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო სამუშაო ჯგუფს შექმნის და მართლწესრიგისა და უსაფრთხოების სფეროებს ერთმანეთისგან გამიჯნავს. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ წინადადებებს განიხილავს მთავრობა და ამის შემდეგ კანონპროექტი დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეგზავნება.

ძალოვანი უწყების რეფორმებს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს რიგით მეორე მდივანი დავით სუჯაშვილი უხელმძღვანელებს.

ასე რომ, დავით სუჯაშვილი, შეიძლება ითქვას, მალე მედიის ყურადღების ეპიცენტრში მოექცევა. შსს-ს გაყოფის საკითხი ძალიან სენსიტიურია და მის მიმართ ინტერესიც დიდია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დასავლეთშიც.

„2004 წელს საპოლიციო და უშიშროების ორგანოების გაერთიანების შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროში თავი მოიყარა განუზომელი მასშტაბის ძალაუფლებამ“

უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა „პრაიმტაიმის“ რამდენიმე შეკითხვას უპასუხა:

– ბატონო დავით, პრემიერ ღარიბაშვილის განმარტებით: „შესაძლოა, შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების ბლოკი გამოეყოს, სადაც სპეცსამსახურები შევლენ და ცალკე იქნება პოლიცია“. რა თქმა უნდა, წინასწარ თქმა რთულია, მაგრამ მაინც, რა მოდელი შეიძლება შემუშავდეს. ევროპის რომელი მოდელია თქვენთვის უფრო მისაღები?

– არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება, განხორციელდეს ერთის მხრივ სახელმწიფო უსაფრთხოების და მეორეს მხრივ პოლიციური და სერვისების ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ეს გადაწყვეტილება, ემსახურება ქვეყნის უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. ჩვენი მთავარი მიზანია, შეიქმნას ისეთი უსაფრთხოების სისტემა, სადაც შემავალ რგოლებს შორის უზრუნველყოფილი იქნება კოორდინაცია და ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლა, რაც უსაფრთხოების სისტემის ეფექტური და მოქნილი მუშაობის საწინდარი იქნება. საბოლოო სტრუქტურა როგორ ჩამოყალიბდება, მოცემულ ეტაპზე, საუბარი ნაადრევია, რადგან ეს უწყებათაშორისი ჯგუფის სამუშაო პროცესის შედეგად გამოიკვეთება. ამასთან, გათვალისწინებული იქნება მსოფლიოს წამყვანი და იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც საქართველოს მსგავსი უსაფრთხოების გარემო გააჩნიათ.

– როგორ ფიქრობთ, რატომ დადგა რეფორმის აუცილებლობა ახლა დღის წესრიგში და რას იტყვით ძველ სისტემაზე, რას ემსახურებოდა მაშინ შსს-ს ამ სახით ჩამოყალიბება?

– 2004 წელს საპოლიციო და უშიშროების ორგანოების გაერთიანების შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროში თავი მოიყარა განუზომელი მასშტაბის ძალაუფლებამ.

2012 წლის საპარლამენტო საარჩევნო პროგრამაში მმართველ პოლიტიკურ ძალას შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული რეფორმირება გათვალისწინებული ჰქონდა. ამ პროგრამის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურიდან უნდა გავიდეს უსაფრთხოების სამსახურების ბლოკი. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ბლოკებად გამიჯვნას ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც იზიარებენ.

– რაც შეეხება მოსმენების თემას, ყველაზე ბევრი კითხვა მაინც ამ მიმართულებით ჩნდება. რამდენად შესაძლებელია, რომ სტრუქტურა, რომლის „საკუთრებაშიც“ გასაღები იქნება, ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდეს?

– მოცემულ ეტაპზე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. გასაღები რჩება სახელმწიფო უწყების „საკუთრებაში“, ასეთია პარლამენტის გადაწყვეტილება. უნდა ითქვას ისიც, რომ ე.წ. გასაღების გადაცემა კერძო კომპანიისთვის პირდაპირი და მაღალი რისკების ქვეშ დააყენებდა სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

რაც შეეხება მომავალში ე.წ. გასაღებზე უშუალოდ პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებას, აღნიშნული საკითხი, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს გაყოფასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მსჯელობის საგანია და შსს-ს რეფორმირების უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში იქნება განხილული.

– რას იტყვით კომისიაზე, რომელმაც რეფორმა უნდა შეიმუშაოს? როგორი წარმოგიდგენიათ მისი შემადგენლობა? ითქვა, რომ არასამთავრობოებიც ჩაერთვებიან. რა დროში უნდა შემუშავდეს რეფორმა და როდიდან ფიქრობთ მის პრაქტიკაში გატარებას? მოგეხსენებათ, ეს რეფორმა საკონსტიტუციო ცვლილებებსაც გამოიწვევს...

– კომისიაში, რომელმაც მომავალი რეფორმის კონცეფცია უნდა შეიმუშაოს, ყველა იმ სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენელი შევა, რომელთა კომპეტენციაშია ქვეყნის უსაფრთხოების და მართლწესრიგის უზრუნველყოფა, კანონიერება და ფინანსურ-მატერიალური უზრუნველყოფა. პროცესი იქნება გამჭვირვალე და ყველა კომპეტენტურ მხარეს ექნება საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალება.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, უწყებათშორისი კომისიის სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ მიეცემათ საკუთარი პოზიციებისა და მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება. ეს ჩართულობა, ასევე, ემსახურება პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას.

ამ ეტაპზე რეფორმის განხორციელების კონკრეტული ვადების დადგენა, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე შეუძლებელია. ბუნებრივია, მას ის დრო დასჭირდება, რაც საკმარისი იქნება რეფორმის კონცეფციისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების სრულყოფილად მომზადებისთვის. მას შემდეგ,რაც შემუშავდება შესაბამისი ნორმატიული ბაზა, ეტაპობრივად დაიწყება მათი პრაქტიკაში იმპლემენტაცია.

„ე.წ. გასაღების გადაცემა კერძო კომპანიისთვის პირდაპირი და მაღალი რისკების ქვეშ დააყენებდა სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„აირზენას“ თანამშრომლები პროტეს

ნანა შონია

„ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, ეკონომიკის მინისტრის მეთაურობით სამოქალაქო ავიაციის საბოლოო განადგურება და წერტილის დასმა განიზრახა“

იასე ზაუტაშვილი: „ვფიქრობ, ის ვინმეს დავალებას ასრულებს ან პირადად არის დაპირისპირებული ბატონ გაიაშვილთან და პირადი ანგარიშსწორება აქვს გადაწყვეტილი“

EXCLUSIVE

„აირზენასა“ და ეკონომიკის სამინისტროს შორის მოლაპარაკებები დაძაბულად მიმდინარეობდა და საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა. ავიაკომპანიის გენერალური დირექტორი იასე ზაუტაშვილი ამ პროცესების უკან გარკვეულ ინტერესებს ხედავს და ეკონომიკის სამინისტროს ბრალდებებს უყენებს. მისი განმარტებით, კომპანია უკან დახევას არ აპირებს, გაფიცვას შესაძლოა პროტესტის სხვა ფორმებიც მოჰყვეს. რა ხდება ავიაკომპანიაში, რატომ დაიძაბა ვითარება და რა მოხდა მოლაპარაკებების დროს? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ იასე ზაუტაშვილი ესაუბრა.

- რა ხდება ავიაკომპანიაში, რატომ გაიფიცნენ ავიაკომპანიის თანამშრომლები?

- მინდა გითხრათ, რომ ქვეყნის წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დღეს სამოქალაქო ავიაცია ყოფილიყო დაკნინებული, სავალალო მდგომარეობაში. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ კი, ეკონომიკის მინისტრის მეთაურობით, სამოქალაქო ავიაციის საბოლოო განადგურება და წერტილის დასმა განიზრახა. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს საავიაციო ბაზრის 92%-ს უცხოური ავიაკომპანიები ითვისებენ. სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლამდე ქართული საავიაციო ბაზრის 70%-ს ადგილობრივი ავიაკომპანიები ფლობდნენ, რაც, რა თქმა უნდა, ნორმალურია. ყველაზე მინიმუმ ქართული ავიაბაზრის 50% მაინც ადგილობრივ ავიაკომპანიებს უნდა ეკუთვნოდეთ, რაც საშუალებას მისცემდა ქართულ მხარეს ამ სფეროში მიღებული თანხების 50%-ზე მეტი საქართველოში დარჩენილიყო. ცნობისთვის, ყოველწლიურად უცხოური ავიაკომპანიების მიერ ამ ჩვენი გატყავებული ქვეყნიდან გატანილი თანხები 1 200 000 000 ლარს შეადგენს, რაც დამეთანხმებით სოლიდური თანხებია.

- მაინც არ გამეცით პასუხი კონკრეტულად რა ხდება?

- უბრალოდ გეტყვით, ავიაკომპანიის თანამშრომლები დიდი ხანია ხედავენ, რომ ავიაკომპანია ორი თვეა პრაქტიკულად ცარიელი თვითმფრინავებით 20%-იანი დატვირთვებით დაფრინავს. ეს იმიტომ ხდება, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელობამ, ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, საპასუხო ნოტა გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რაც ასახავს ქართული მხარის პოზიციას უპირობოდ დაეთანხმოს რუსული მხარის მიერ დაყენებულ ყველა პირობას. კერძოდ: რუსული მხარის მიერ გამოგზავნილ ნოტაში ჩამოყალიბებულ პირობაზე – 2014 წლის 15 ოქტომბრიდან რუსულ და ქართულ ავიაკომპანიებს შეუძლიათ დაიწყონ რეგულარული სამგზავრო რეისების შესრულება თბილისსა და მოსკოვს შორის, მაგრამ არ უნდა შეიზღუდოს რეგულარული და დამატებითი რეისების რაოდენობა, ასევე დანიშნული ავიასაწარმოების რაოდენობა... ქართულმა მხარემ გასცა შემდეგი პასუხი: „საქართველოს ავიაციის ხელისუფლებისათვის მისაღებია რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლების წინადადება ქ. თბილისსა და ქ. მოსკოვს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე და გამოთქვამს თანხმობას აღნიშნული საჰაერო მიმოსვლა აღდგეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 26 ივნისის #5619/4ДСНГ ნოტაში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად“.

ბატონმა კვირიკაშვილმა გადაწყვიტა საავიაციო ბაზრის დარჩენილი 8%-ის გადაცემა რუსეთისთვის, თანაც იმ პოლიტიკურ ფონზე, რაც დღეს რუსეთ-საქართველოს შორისაა, როცა რუსეთმა აფხაზეთი და ოსეთი პრაქტიკულად მიიერთა და ენგურჰესიც წაგვართვა. იმ ქვეყნის ავიაკომპანიები აპირებენ ჩვენს დასამარებას, ვინც რამდენიმე წლის წინ საქართველოს ბომბავდნენ და დღეს ცინიკურად სოხუმშიც კი დაფრინავენ.

- რატომ ფიქრობთ, რომ კვირიკაშვილმა ავიაკომპანიის განადგურება განიზრახა და რა არის ამის მიზეზი?

- სიმართლე გითხრათ მეც საგონებელში ვარ ჩავარდნილი. ვფიქრობ, ის ვინმეს დავალებას ასრულებს ან პირადად არის დაპირისპირებული ბატონ გაიაშვილთან და პირადი ანგარიშსწორება აქვს გადაწყვეტილი. ამ ეჭვის საფუძველს კი მაძლევს ის, რომ ორი წლის წინ კვირიკაშვილმა პირდაპირ მითხრა: როდემდე უნდა იყოს გაიგივებული ქართულ ავიაციასთან გაიაშვილის სახელი, ნუთუ დრო არ მოვიდა, რომ იგი ამ დარგს ჩამოშორდესო. ვფიქრობ, ამ ფრაზით მან ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა თავისი პირადი დამოკიდებულება. მე გაკვირვებულმა ვუპასუხე, ბატონო მინისტრო, მე მგონი ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ გაიაშვილის სახელი ასოცირდება ქართულ ავიაციასთან და ეს ბუნებრივიც არის, რადგან სწორედ თამაზ გაიაშვილმა შექმნა ოცი წლის წინ, ურთულეს პირობებში, ქართული ავიაკომპანია და ურთულესი წლების მიუხედავად შეძლო, რომ „აირზენა“-ს მსოფლიო ბაზარზე თავისი ადგილი დაიმკვიდრა. დღეს „ჯორჯიან ეარვეისი“ ევროპის საიმედო ავიაკომპანიების ოცეულში შედის. ჩვენი პარტნიორები არიან ისეთი სერიოზული კომპანიები, როგორებიც არის: Boeing, Embraier, Bombardier და ა.შ. სხვათა შორის ახლახან Lufthansa Technik-თან თანამშრომლობის 15 წელი აღვნიშნეთ. სამწუხაროდ მინისტრისთვის ჩემი არგუმენტები არ აღმოჩნდა საკმარისი, არსებულ სიტუაციას მიკერძოებულად უდგება და სახელმწიფოებრივი ხედვა არ გაჩნია. აპელირებს იმით, რომ თურმე 2014 წლის მანძილზე ხუთი მილიონი ტურისტი შემოსულა და ქვეყანას შვიდი მილიარდი შემოსავალი მიუღია. მაგრამ რეალობა არის ის, რომ საქართველოში არსებულ ყველა სასტუმროში, არარეზიდენტის სახით ერთი ღამე გაათია დაახლოებით რვაასი ათასმა ადამიანმა. აზერბაიჯანიდან თურქეთში ან პირიქით მიმავალი მანქანის მძღოლი, ან სომხეთიდან რუსეთის მიმართულებით ტრანზიტად მიმავალი მგზავრები, ნუ იტყვით და თურმე ტურისტები ყოფილან. თუნდაც ტურისტები იყვნენ, ეს შემოსული თანხა - შვიდი მილიარდი რატომ არ აისახა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ტურიზმისა და ავიაციის თემა არ უნდა იყოს ეკონომიკის სამინისტროში გაერთიანებული, ამას დიდი ზიანი მოაქვს, როგორც ტურიზმის, ისე ავიაციისათვის, მეტიც, ამ ადამიანებმა ჩვენს ქვეყანაში ვერც ეკონომიკა გააბრწყინეს. მინდა გითხრათ, რომ ეკონომიკის სამინისტრო დღეს თავკომბალაა და მისი რეორგანიზაცია აუცილებლობას წარმოადგენს. დღეს ავიატორები უპირობოდ ითხოვენ ეკონომიკის სამინისტროდან გამოყოფას ან ცალკე სტრუქტურად, ან ტრანსპორტის სამინისტროს შექმნას და მის შემადგენელ სტრუქტურად ჩამოყალიბებას. მე მგონი ეს აუცილებლობაცაა თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს ატრანზიტო დერეფანი ევროპასა და აზიას შორის. ამაზე არამარტო მე, ბევრი ავტორიტეტული ექსპერტიც უკვე ღიად საუბრობს.

- თუ ხელისუფლებამ თქვენი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა, რას აპირებს გაფიცული ხალხი?

- ყოველდღიურად გაიმართება პერმანენტული აქციები, დაახლოებით 50 მფრინავი და ავიატექნიკოსი აპირებს უვადო შიმშილობის დაწყებას თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ასევე მივმართავთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, არასამთავრობო ორგანიზაციას, ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც სულ ერთი არ არის ქართული ავიაციის ბედი, დაგვიდგნენ გვერდით და დაგვეხმარონ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს ქართულ ავიაციაში დაგროვილი ყველა პრობლემა.

- რეგულარული რეისების აღდგენა მოხდა მარტო თბილისი-მოსკოვის მიმართულებით, როგორც ნოტაში წერია. სად არის საქართველოს და რუსეთის სხვა ქალაქები?

- რასაკვირველია, რუსებს რაც აწყობდათ ყველაფერი ისე მოხდა. რეგულარული რეისები მათი სურვილით აღდგა თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით, სხვა ქალაქებზე ლაპარაკიც კი არ არის. რუსული მხარე, მოგეხსენებათ დაფრინავს ქუთაისში, ბათუმში, მაგრამ ქართულ ავიაკომპანიებს რუსები მოსკოვის გარდა რუსეთის სხვა რომელიმე ქალაქში ფრენას უკრძალავენ. მიზეზი მარტივია, რუსული ავიაკომპანიები რუსეთის ყველა დიდ ქალაქში დაფრინავენ, ამიტომ თბილისში წამომსვლელი მგზავრები ექსკლუზიურად მათია ქართულ ავიაკომპანიებს მათზე წვდომა არ გააჩნიათ. თუ ისინი ჩვენ პირდაპირ რეისებს მოგვცემდნენ მაგალითად: სანკტ-პეტერბურგში, ნოვოსიბირსკში და ა. შ. რასაკვირველია, ამით რუსულ ავიაკომპანიებს მგზავრები დააკლდებოდათ. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსი ჩინოვნიკები იცავენ რუსულ ავიაკომპანიებს და იზიარებენ მათ აზრს, საქართველოში კი „ხალხის მსახურები“ არ იცავენ ხალხის ინტერესებს, ისინი ორიენტირებული არიან იმაზე, რომ პირადი ინტერესები და ამბიციები დაიკმაყოფილონ. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შეეძლოთ, რომ ჩინოვნიკებს ხალხი კი არ ემსახურებოდეს, არამედ მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ისინი ქართველმა ხალხმა დაიქირავა და მათი ინტერესების გამტარებლები უნდა იყვნენ და თუ ამას ვერ მივაღწევთ, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იქნება განსაცდელში.

- რა მოხდა ხუთშაბათს საღამოს, რატომ გააკეთეთ განცხადება რეისების აღდგენაზე?

- საქართველოს მთავრობა კონსულტაციების შემდეგ შეგვპირდა, რომ ავიაკომპანიის თანამშრომელთა მოთხოვნებს ნაბიჯ-ნაბიჯ დააკმაყოფილებდნენ, რაც ორშაბათიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პატივცემულმა კვირიკაშვილმა გადაწყვიტა კვლავაც პირადი ამბიციები დაეკმაყოფილებინა და ქვეყნის და ხალხის ინტერესები გვერდზე დაეტოვებინა.

იასე ზაუტაშვილი: „ორი წლის წინ კვირიკაშვილმა პირდაპირ მითხრა: როდემდე უნდა იყოს გაიგივებული ქართულ ავიაციასთან გაიაშვილის სახელი, ნუთუ დრო არ მოვიდა რომ იგი ამ დარგს ჩამოშორდესო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტის უკიდურესი ფორმით იმუქრებიან

იგი არ თაკილობს ბინძურ თამაშის წესებს, ცნობილი თაღლითები – გიორგი კოდუა და ჯემალ ხახუტაიშვილიც კი ჩართეს ამ ჩახლართულ სქემაში. გუშინ, მინისტრის ბრიფინგიდან ნათლად გამოჩნდა როგორი შურისძიებით სავსე თვალებით მიმართა საზოგადოებას, საქართველოს მთავრობის სახელით როგორ უგულებელყოფს ის ქართველი ავიატორების ინტერესებს. საფუძვლად დაუდო რა მთავრობის შეკრებაზე ზოგიერთი ავიატორის აღელვება და არაკორექტულობა, მოუწოდა მთავრობას მკაცრად დაესაჯათ ავიაკომპანია და მოგვევლინა პიროვნებად ადამიანი რუსული ინტერესების დამცველი. მან საგანგებოდ ახარა რუსებს, რომ ის პირადად ყველა ღონეს იხმარდა საქართველოში რუსული ბიზნესის გაბრწყინებისთვის. „აფერუმ“ მის კაცობას და ქართველობას!

- მინისტრი ავიაკომპანიას ადანაშაულებს, რომ ავიაბილეთებზე მაღალი ფასები გაქვთ.

- ძალიან ცუდია, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ანტიმონოპოლიური სამსახური არსებობს და არც ანტიდემპინგური კანონი მოქმედებს... ყველაფერს ეკონომიკის სამინისტრო ითავსებს. გაკვირვებული ვარ იმით, რომ ასეთი გამონათქვამების



ნაცვლად ერთხელ მაინც დაეთვალა ავიაბილეთის ფასი რისგან შედგება, ბოლოს და ბოლოს ეკონომიკის მინისტრია. ყოველთვის, როცა ბილეთის ფასზე საუბრობს, იქნებ გაიხსენოს, რომ ამ ქვეყანაში საავიაციო საწვავის ერთი მომწოდებელი – „სოკარია“ და ის ამ სფეროში მონოპოლისტია. ყველა დანარჩენ კომპანიებს მაგალითად „ვისოლს“, საავიაციო საწვავს „სოკარი“ აწვდის. აეროპორტიც მონოპოლიურად თურქების ხელშია და ქართველებს 150 კილომეტრის რადიუსში ახალი აეროპორტის აშენება არ შეგვიძლია, მომსახურების ფასები კი უფრო მაღალია ვიდრე ფრანფურტის და დუბაის აეროპორტებში. რატომ ამაზე არასოდეს საუბრობს ბატონი მინისტრი? მოკლედ, მან გადაწყვიტა, რომ აეროპორტი თურქებს ჰქონდეთ, ცა – რუსებს. მაშინ ქართველების ადგილი სადღაა ჩვენს ქვეყანაში?

- რა მოხდება თუ სახელმწიფომ თქვენი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა?

- მე, რასაკვირველია, მიჭირს ამ კითხვაზე გაფიცული ხალხის მაგიერ კონკრეტული პასუხის გაცემა, რაც შემეძლო უკვე გითხარით, მაგრამ მე, როგორც ავიაკომპანიის ხელმძღვანელმა მინდა გითხრათ, რომ ორი თვის მანძილზე ცარიელი თვითმფრინავებით ფრენამ მოგვიტანა ის შედეგი, როდესაც დეკემბრის თვეში ვეღარ ვიხდით ხელფასებს, ვერ გადავიხდით თვითმფრინავების საიჯარო თანხებს, სააეროპორტო და სხვა გადასახადებს, რაც ავტომატურად ავიაკომპანიის პარალიზებას და გაჩერებას, ასევე თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნას გამოიწვევს და ეს მათ კარგად ესმით...

„დეკემბრის თვეში ვეღარ ვიხდით ხელფასებს, ვერ გადავიხდით თვითმფრინავების საიჯარო თანხებს, სააეროპორტო და სხვა გადასახადებს, რაც ავტომატურად ავიაკომპანიის პარალიზებას და გაჩერებას, ასევე თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნას გამოიწვევს“

მეტსაც გეტყვით, ყველა მფრინავი ბუნებით გმირია და მე მჯერა ისინი ბოლომდე იბრძოლებენ. მინდა გაგახსენოთ, მათ არ შეშინებიათ როცა რუსული თვითმფრინავებიდან ბომბებს ყრიდნენ და საქართველოს აეროპორტებს ბომბავდნენ 2008 წელს, ჩვენი ავიაკომპანია არ გაჩერებულა და ჩვეულებრივი რეჟიმით დაფრინავდა, არც ერთი რეისი არ გადაგვიდია და თუ არა ჩვენი ავიაკომპანია, საქართველო სრულ საინფორმაციო იზოლაციაში მოხვდებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამედიცინო სკანდალი, რომელიც



„დედის საფლავზე დავიფიცე, რომ არც ერთ ექიმს არ ვაპატიებდი მის სიკვდილს!“

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

უკვე მეორედ ვეხებით თემას, რომელიც ქუთაისში მდებარე „ცხაკაიას სახელობის სამედიცინო ცენტრს“ უკავშირდება. პირველად იყო მაშინ, როდესაც პატიმარ ლევან კორტავას საქმის შესახებ ვუამბობდით მკითხველს. ამ საქმის ფარგლებში კითხვები დაისვა მედპერსონალის მიმართ, რომელმაც მთელი რიგი აუცილებელი პროცედურები უგულებელყო და არ ჩაუტარა პაციენტს.

ახლა კი გიამბობთ 80 წლის ქალბატონის, ენრიკო (ელიკო) კოღუაშვილის ისტორიას, რომელიც ბედმა თუ ბედისნერამ სწორედ ამ კლინიკაში მიიყვანა. შემთხვევა, ალბათ, უკვე მიხვდებოდით, რომ ამჯერადაც ლეტალურად დასრულდა. სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო კი, როგორც წესი, მდგომარეობის გამოსწორების ნაცვლად „დამნაშავე“ ექიმების ხელის დაფარებით არის დაკავებული. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ რაკი უნყება თავის პირდაპირ მოვალეობას მხოლოდ ფორმალურად ახორციელებს, „პრაიმტაიმმა“ არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ დატოვოს ყურადღების მიღმა, რომელიც ჩვენამდე მოაღწევს. ვინაიდან ვფიქრობთ, დროა, დასრულდეს მითქმა-მოთქმა თემაზე, რომ ვიღაც ექიმის არასათანადო ქმედების გამო გარდაიცვალა.

„ამ პაციენტმა ტრავმა მიიღო წინა დღის დილის საათებში. ჩვენთან კი მოიყვანეს მეორე დღეს. 24 საათიც გასული იყო და როგორც მოიქცნენ, ეტყობა, ისეც არ უნდა მოქცეოდნენ მათ“

მაშ ასე, ისტორიას, რომელიც 2013 წლის 26 მარტს დაიწყო და ჯერაც არ დასრულებულა, ამჯერად გარდაცვლილის შვილი, მერაბ კოღუაშვილი გვიამბობს:

– დედაჩემი იმ ღამით ჩემს დასთან იყო. როგორც ხდება ხოლმე, ხშირად მოხუცების შემთხვევაში, ფეხი მოიტეხა. ჯერ სახლში მოვიყვანეთ ექიმი. დადგინდა მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა. ჩვენ სოციალურად დაუცველები ვართ. შესაბამისად, გვქონდა დაზღვევა. ამიტომაც პოლისი ნავიღე იმ პოლიკლინიკაში, რომელსაც ჩვენი მომსახურება ევალებოდა. აღმოჩნდა, რომ ის პოლიკლინიკა გაიყო და ჩვენ მიგვაკუთვნეს ჯანდაცვის ცენტრს, რომელიც ქუთაისში ტიციან ტაბიძის ქუჩაზე მდებარეობს. ჩემი საბუთები ახლა იქ წავიღე. ჩვენი უბნის ახალი ექიმი ძალიან გულისხმიერი აღმოჩნდა. ამყვა დირექტორთან, გიორგი მიმინოშვილთან. ვუთხარი, რომ ვართ უმწეო და გავუწოდე დაზღვევის პოლისი. მან კი პირდაპირ მკითხა, ფული გაქვსო? მე უმწეობის პოლისზე მივუთითე. ამის შემდეგ ცხაკაიას სახელობის სამედიცინო ცენტრის ქება-დიდება დაიწყო და მირჩია, იქ მივსულიყავი, დირექტორის მოადგილესთან, კობა კიკნაველიძესთან მისი სახელით... სახლში დაბრუნებულმა გამოვიძახე სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც მიმინოშვილის რეკომენდებულ სამედიცინო ცენტრში გადაგვიყვანა. დედაჩემი ჩავსვით სავარძელში, წვალებით ჩამოვიყვანეთ კიბეებზე და ასევე, გადავიყვანეთ კლინიკაში. იქ ჩვენთვის ყურადღება ორი საათის განმავლობაში არავის მოუქცევია. უცხო ადამიანები მოგვეხმარნენ დედაჩემის სავარძლით შეყვანაში. არც მიმღები ექიმი ჩანდა სადმე, არც მორიგე ექიმი, არც ექთანი და არც სანიტარი. ვიკითხეთ კობა კიკნაველიძე. ისიც არ ჩანდა. გვეუბნებიან, საკაცე არ გვაქვსო... როდის-როდის ჩამოვიდა ეს კობა კიკნაველიძე და გაგვიძვა ტრავმატოლოგთან, გიორგი ღვინჯილიასთან. სანამ ეს ექიმი გამოჩნდებოდა, მანამდე რენტგენი გადავუღეთ დედაჩემს, ისიც მთელი ჩხუბითა და დავიდარაბით.

– რატომ დაგჭირდათ ჩხუბი?

– მიმღებში იყო ექიმი, ვინმე მარიკა ჩიხლაძე, რომელიც ჩვენი უმწეობის პოლისის მიუხედავად, გვაიძულებდა ფულის გადახდას. ეს მოთხოვნა კი ხდებოდა საშინელი შეურაცხყოფების თანხლებით. დედაჩემი ამ ჩხუბში ცუდად გაგვიხდა და ამ ჩიხლაძეს სთხოვა, წყალი დამალევინეო. ქალმა ჭიქასაც კი არ მოჰკიდა ხელი, რომ წყალი მიეწოდებინა, ისე იყო გულმოსული, რაკი ფული ვერ აიღო. ამასობაში ღვინჯილიაც ჩამოვიდა. რომელმაც აგვიხსნა, რომ ასეთ მოტეხილობაზე კეთდება ორი ოპერაცია. ერთი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, მეორე კი – არაო. პირველი უხარისხოა, რომლის შედეგადაც ხდება ე.წ. იმობილიზაცია. ფეხს ადებენ არტაშანს და ადამიანი რჩება სავარძელში. მეორე შემთხვევაში კი ხდებოდა სერიოზული ოპერაცია, ენდოპროტეზირება, რომელიც თურმე 4000 ლარი ჯდებოდა. მაშინვე, ბუნებრივია, ფული არ გვქონდა. ჩემი მეორე და უცხოეთშია. მას დავუკავშირდით და გვითხრა, დედა არ მოგვიკლან, 2-3 დღე დამჭირდება ფულის გამოსაგზავნადო. არაფრით არ ჩაუტარეს ოპერაცია მანამ, სანამ ფულს არ მივიტანდით.

– სასწრაფოდ ჩასატარებელი იყო ეს ოპერაცია?

– რა თქმა უნდა. ღვინჯილიამ აბუჩადაც აგვიგდო. გიორგი მიმინოშვილთან დავალაპარაკეთ ტელეფონზე და ჩვენს გასაგონად ეუბნებოდა, – თუ ამათ ფული არ აქვთ, მაშინ მე გადავიხდიო... რა თქმა უნდა, ამას ცინიზმით ამბობდა. ბოლოს სახლში გამოგვიშვა, წაიყვანეთ და 10 დღის შემდეგ მოიყვანეთ. მანამდე გამოკვლევები ჩაუტარეთ – ვაგინალური, მუცლის ღრუს და ა.შ. ჩამოუღეთ კბილები და მერე ოპერაციასაც გავუკეთებთო.

– ასეთი ავადმყოფის 10 დღით სახლში გაშვება საშიში არ იყო?

– გვარწმუნებდა, საშიში არაფერია. ამასობაში მენჯში მიკროფლორა აღდგებაო.

– გამოკვლევების ჩასატარებლად სად გიშვებდათ? იქ რატომ არ ჩაუტარდა ეს გამოკვლევები?

– საქმეც სწორედ ეს არის... წნევაც კი არ გაუზომავთ დედაჩემისთვის. გვითხრა, ჩვენ ასეთ გამოკვლევებს არ ვაკეთებთო. მერე მოგვცა ფორმა #100, „ალდაგში“ რომ მიგვეტანა დაფინანსებაზე და გამოგვიძვა. ასეთ დროს, ვის უნდა დაუჯერო, თუ არა ექიმს. ჩვენც დავუჯერეთ გია ღვინჯილიას და ავადმყოფი როგორც მივიყვანეთ სავარძლით, ასევე, სავარძლით გამოგვატანა უკან, ისე რომ რენტგენის გარდა, იქ მისთვის არაფერი გაუკეთებიათ. დანიშნულებაც კი არავის დაუწერია. საუბარი აღარ არის იმაზე, რომ ვინმეს მისთვის არტაშანის დადება მოსვლოდა აზრად... ოთხი დღის შემდეგ დედაჩემი ცუდად გახდა. ექიმი მოვიყვანეთ. იმან გვითხრა, სამედიცინო ჩარევა უკვე გვიანიაო. ტრომბის განვითარების წინაპირობა ყოფილა ლიმფოსტაზი. ეს ლიმფოსტაზი დედაჩემს უკვე დაწყებული ჰქონდა. ოპერაციასაც ვეღარ ჩავუტარებდით, რადგან ამ შემთხვევაში ავადმყოფი მაგიდაზე რჩება. ხავსს ვეჭიდებოდი – დავრეკე „ალდაგში“, ქალი ცუდად არის, დაფინანსება დამიჩქარეთ-მეთქი. იქ კი მითხრეს, საბუთი, რომელიც თქვენ მოგვიტანეთ, გადაუდებელი დაფინანსების საშუალებას არ იძლევა. ორი კვირის ვადაზეა გათვლილიო. დედაჩემი 30 წელი სასწრაფოში მუშაობდა. მოვიყვანეთ მისი მეგობარი ექიმი, გვარად ლუკინი. მანაც გვითხრა, უკვე აზრი აღარ აქვს არაფერს, ტრომბი დაწყებულიაო. დედაჩემის სიკვდილამდე ერთი საათით ადრე დავურეკე გიორგი ღვინჯილიას. ეტყობა, გავაღვიძე და იუკადრისა. ვუთხარი, ან საკრავი არ უნდა დაგედო მისთვის, ან მკურნალობა არ უნდა ჩაგეტარებინა, ან წამალი არ უნდა მიგეცა-მეთქი? რაღაც ხომ უნდა გაეკეთებინა? თქვენ ერთი, თავი გამანებეთო, – მიპასუხა. ვუთხარი, თქვენს და თქვენი ცენტრის წინააღმდეგ საქმეს აღვძრავ-მეთქი. ამის შეეშინდა და მითხრა, მე სასწრაფო დაფინანსებაზე გავეცი საგარანტიო წერილი და „ალდაგმა“ დაარღვია ვადებიო. არადა, სადაზღვევო კომპანიამ რაც მითხრა, უკვე მოგახსენეთ... ამ საუბრიდან ერთ საათში დედაჩემმა სული დალია. არ ვიცოდი, რომ პოლიციაში უნდა დამერეკა და ექსპერტიზა მაშინვე ჩამეტარებინა. ეს საშუალებას მოგვცემდა, რომ 100 პროცენტით დადგენილიყო გარდაცვალების მიზეზი. ამის შესახებ უკვე მოგვიანებით გავიგე. დედის საფლავზე დავიფიცე, რომ არც ერთ ექიმს

„ექსჰუმაცია ჩატარდა, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ბიომასალის ლპობის გამო გარდაცვალების მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსუბუქი გაფრთხილებით ამოინწურა

ვინ აფარებს ხელს პენსიონერის გარდაცვალებაში „დამნაშავე“ ექიმებს

სერგეენკო: სტაციონარში მოხვედრილ პაციენტს ექიმმა დაუფიქსირა კიდური?
ექსპერტი: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება, ჩაუტარდა თუ არა პაციენტს სამედიცინო დახმარება მიმღებ განყოფილებაში ყოფნის დროს...

არ ვაპატიებდი მის სიკვდილს. დასაფლავების შემდეგ ჯანდაცვის სამინისტროში შევიტანე საჩივარი.

ვანო ლომიძე, ადვოკატი:

– როცა ამ საქმეში ჩავერთე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება უკვე დაწყებული იყო. დაკითხული იყო ყველა მოწმე, ექიმები და გამოძიება ჩიხში იყო შესული. პროკურორის წინაშე დავაყენე შუამდგომლობა, რომ მომხდარიყო გვამის ექსჰუმაცია, ვინაიდან აუცილებელი იყო ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა. ასეთი შუამდგომლობები ძალიან იშვიათად კმაყოფილდება, რადგან ექსჰუმაციის ხარჯებს სახელმწიფო იღებს და საკმაოდ ძვირი ჯდება. ამის მიუხედავად, პროკურორმა ეს შუამდგომლობა დაგვიკმაყოფილა.

– ჩატარდა ექსჰუმაცია? დადგინდა მიზეზობრივი კავშირი?

– ექსჰუმაცია ჩატარდა, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ბიომასალის ლპობის გამო გარდაცვალების მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო.

– ობიექტური იყო ეს დასკვნა?

– გაგვიგია, რომ ხშირად სამხარაულის ექსპერტიზაში ექიმებს არ წირავენ და მათ საწინააღმდეგო დასკვნებს, როგორც წესი, არ გასცემენ ხოლმე, თუმცა სხვა ექსპერტებისგანაც შევიტყვეთ, რომ ერთ თვეში ის შედედებული კოლტები შეიძლებოდა მართლაც გამქრალიყო ლპობის გამო...

ერთი სიტყვით, კოლუაშვილების ოჯახს ამ ეტაპზე პრეტენზია აქვს სამ ექიმთან – გია ღვინჯილიასთან (რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ. – მ.ნ.), მარიკა ჩიხლაძესთან (მიმღების ექიმთან, რომელიც, მერაბ კოლუაშვილის თქმით, უმნეოებისგან ფულს ითხოვდა. – მ.ნ.) და ირმა კიკნაველიძესთან. ეს უკანასკნელი არის ძველი ოჯახის ექიმი, რომელმაც გასცა ენრიკო (ელიკო) კოლუაშვილის გარდაცვალების ცნობა, რომელმაც გვამი არცკი დაათვალიერა.

ეს საკითხი ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ შეისწავლა და გადაწყვეტილებაც გამოიტანა. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ზემოჩამოთვლილ ექიმებს „წერილობითი გაფრთხილება მიეცათ“. როგორც გაირკვა, ეს „სახდელი“ საექიმო საქმიანობის შესახებ კანონით, ყველაზე მსუბუქია და ამ ეტაპზე ოჯახი სწორედ ამ ფაქტს აპროტესტებს. ცხადია, მას თავისი არგუმენტებიც აქვს.

ვანო ლომიძე: „საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 76-ე მუხლის „ე“ პუნქტი გვეუბნება, რომ სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების საფუძველია ამ სერტიფიკატის მფლობელის, ანუ ექიმის მიერ ქვეყანაში აღიარებული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების სისტემატური, ან ერთჯერადი მძიმე დარღვევა, თუ ამ უკანასკნელს მოჰყვა პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ან სიკვდილი. ამ მუხლით ვედავებით ახლა მათ ჩვენ. სააგენტომ კი ამით არ იხელმძღვანელა, რადგან, როგორც იტყვიან, „ძაღლი ძაღლის ტყავს არ ხევს“.

არადა, როდესაც საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომელსაც მინისტრი სერგეენკო ხელმძღვანელობდა, განიხილეს მოკვლევის შედეგები, სადაც ცალსახად იკვეთება ექიმის მიერ ჩადენილი, რბილად რომ ვთქვათ, გადაცდომები. გთავაზობთ ამონაწერს დოკუმენტიდან.

სერგეენკო: უნდა ჩატარებოდა თუ არა პაციენტს სასწრაფო ოპერაცია?

ექსპერტი: პაციენტ კოლუაშვილს ესაჭიროებოდა ოპერაციული მკურნალობა, თუ მისი ზოგადი მდგომარეობა – ლაბორატორიული, კარდიოლოგიური, თერაპიული იძლეოდა ოპერაციული ჩარევის საშუალებას (თუმცა, კოლუაშვილისთვის წნევაც კი არავის გაუზომავს. – მ.ნ.)...

სერგეენკო: იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი მდგომარეობა არ იძლეოდა ოპერაციული ჩარევის საშუალებას, რა მეთოდისთვის უნდა მიემართა ექიმს? შეიძლებოდა თუ არა კიდურის ჩვეულებრივი იმობილიზაცია (არტაშანის დადება. – მ.ნ.).

ექსპერტი: კიდურების იმობილიზაციის საკითხი რეცენზიაში განხილული არ არის...

სერგეენკო: სტაციონარში მოხვედრილ პაციენტს ექიმმა დაუფიქსირა კიდური?

ექსპერტი: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება, ჩაუტარდა თუ არა პაციენტს სამედიცინო დახმარება მიმღებ განყოფილებაში ყოფნის დროს.

ერთი სიტყვით, იკვეთება, რომ ექიმებმა შესაბამისი მოქმედებები არ ჩაატარეს.

ამის მიუხედავად, სააგენტო მათზე ყველაზე მსუბუქ სანქციას იყენებს – წერილობით გაფრთხილებას. თანაც მას შემდეგ, რაც პაციენტი გარდაიცვალა.

ცხადია, „პრაიმტაიმი“ ექიმებსაც დაუკავშირდა.

გიორგი ღვინჯილია:

– ამ საკითხზე არ მინდა კომენტარის გაკეთება. ვიღაც არანორმალურები არიან. მეორე წელია, სისხლი გამიშრეს არაფრის გულისთვის.

– „არაფერია“ ადამიანის სიცოცხლე? ბოლოს და ბოლოს, თქვენთან ვიზიტიდან რამდენი დღეში გარდაიცვალა თქვენი პაციენტი...

– მე აბსოლუტურად არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის. ვმოქმედებდი კანონის ფარგლებში.

– ის მაინც გვითხარით, ამ ქალბატონს ესაჭიროებოდა თუ არა სასწრაფო ოპერაცია?

– არ სჭირდებოდა. იყო გამოძიება ამაზე. მარეგულირებელმა კომისიამაც ჩაატარა გამოძიება, ექსპერტებიც დაიკითხნენ, ეს საქმე ისევ სასამართლოშია. ასე რომ, არ მინდა არავითარი კომენტარის გაკეთება...

– თუმცა, მარეგულირებელი კომისიის დასკვნის მიხედვით, თქვენი შეცდომები იკვეთება...

– თქვენ დასკვნა ნახეთ?

– დასკვნას როგორ ვნახავდით, როცა ექსპერტიზა არ ჩატარებულა თავის დროზე?

– გარდაცვალების ცნობა ნახეთ?

– ცნობა, რომელიც გასცა არაუფლებამოსილმა ექიმმა გვამის დათვალიერების გარეშე?

– კარგით, რა, დამანებეთ თავი. არ მინდა არანაირი კომენტარის გაკეთება ამ საკითხზე.

მაკა ჩიხლაძე:

– რასაც მერაბ კოლუაშვილი ამბობს, იმისთვის ყურადღების მიქცევას, ცოტა სხვანაირი მიდგომა უნდა, რადგან შეიძლება მოთმინებიდან გამოგიყვანოს. ამ ისტორიის შესახებ პროცესზე წარვადგინე შესაბამისი დოკუმენტაცია – ხულოვანი ჩეკები და ფორმა ასი, რომლის მიხედვითაც ყველა მიხვდება, რომ ასპროცენტიან ტყუილს ლაპარაკობს ეს კაცი. რა ვქნა, არ ეზარება და ილაპარაკოს, სანამ არ მოსწყინდება. არც მოწმე ჰყავს და ლაპარაკს ვერავინ დაუშლის. გამორიცხულია, მისაღებში ფულს ვერავის მოსთხოვ. იქ ისეთი გაჭირვებული ხალხი შემოდის, საკუთარ თავს ვერ კადრებ, ეს გააკეთო...

– მაშინ რეგულირების სააგენტომ რატომ მოგცათ წერილობითი გაფრთხილება?

– ჩემთვის წერილობითი გაფრთხილება არავის მოუცია. სხვას მიეცა ეს...

– ამოგიკითხავთ დოკუმენტიდან...

– არ მაინტერესებს. მე ეს გაფრთხილება არ მომსვლია და შნურის მეორე მხარეს თქვენ რას კითხულობთ, რა ვიცი...

– სხდომის ოქმით ირკვევა, რომ არ არსებობს ჩანაწერები. არაფერი გაკეთებულა პაციენტისთვის რეტგენის გარდა?

– ამ პაციენტმა ტრავმა მიიღო წინა დღის დილის საათებში. ჩვენთან კი მოიყვანეს მეორე დღეს. 24 საათიც გასული იყო და როგორც მოიქცნენ, ეტყობა, ისეც არ უნდა მოქცეოდნენ მათ. ჩანაწერიც არსებობს და ყველაფერიც არსებობს. ფორმა 100 არსებობს, სადაც წერია, რომ უმოკლეს ვადებში უნდა მიეღო პაციენტს საგარანტიო, რომ მალევე ჩატარებოდა ოპერაცია. მერაბ კოლუაშვილს კი დედის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ რომ გაახსენდა ეს საგარანტიო, ეს არც სპეციალისტის ბრალია, არც მიმღების ექიმის და არც სასწრაფოს ექიმის.



– რა პროცედურები ჩაუტარდა ამ ქალბატონს რენტგენოგრაფიის გარდა?

– ორთოპედტრავმატოლოგის კონსულტაცია.

– თქვენ იმ დაწესებულებაში აღარ მუშაობთ. ეს უკავშირდება კოლუაშვილის საქმეს?

– არა, გენაცვალე. ჩემი მეორე შვილი შევიდა სკოლაში. არ მქონდა იმის საშუალება, რომ მორიგეობებში დავრჩენილიყავი მიზერული ანაზღაურებით, ვარჩიე შვილისთვის მიმეხედა. ახლაც რომ მივიდე იქ, წითელი ხალიჩით დამხვდებიან და დამანყებინებენ მუშაობას.

– ახლა აღარ მუშაობთ სპეციალობით?

– ახლა „აი-სი ჯგუფის“ კორპორაციული დაზღვევების ოჯახის ექიმი ვარ. ისე, თუ გნებავთ, რჩევას მოგცემთ: რაც ნაკლებს მოუსმენთ კოლუაშვილისნაირ ადამიანებს, მით ნაკლები ნაოჭი გაგიჩნდებათ და უფრო გვიან დაბერდებით...

ირმა კიკალიშვილი:

– ეს ქალბატონი წლების განმავლობაში იყო ჩემი პაციენტი. ეს ყველამ იცოდა. მეზობელი იყო ჩემი მისი ქალიშვილი. ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. როდესაც მან ფეხი მოიტეხა, სწორედ იმ დროს რაღაც გაუგებრობა არსებობდა და ჩვენს კლინიკას შეწყვეტილი ჰქონდა ხელშეკრულება „ალდაგთან“. როდესაც მეზობელი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ უნდოდათ გარდაცვალების ცნობა, მე უარი არ ვუთხარი.

– მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი თქვენ აღარ გერიცხებოდათ?

– მე ვიცოდი, რომ ხელშეკრულება „ალდაგთან“ დროებით იყო შეწყვეტილი. თანაც მას ჩემს პაციენტად აღვიქვამდი. როდესაც დღეში 50 პაციენტი გყავს, რთულია ყველაფერი ზეპირად გახსოვდეს.

– ცნობაში გარდაცვალების მიზეზად რა გეწერათ?

– გულის გაჩერება. მეორე დიაგნოზად – ფეხის მოტეხილობა.

– თუმცა, კოლუაშვილები თვლიან, რომ ის თრომბოემბოლიით გარდაიცვალა.

– ვიცი, ამის დაწერა რომ უნდათ.

– მაგრამ მაინც, გარდაცვლილის უნახავად დაწერეთ ეს დიაგნოზი?

– ეს ფორმალობაა და სწორედ იმიტომ, რომ არ მოვახდინე დათვალიერება, მივიღე საყვედური. ასეც რომ მოვქცეულიყავი, მაინც ვერ დავწერდი თრომბოემბოლიას, რადგან ასეთ შემთხვევაში გვამი უნდა გაკვეთილიყო და მაშინ შეიძლებოდა მისი ნახვა, თუ ასეთი არსებობდა საერთოდ...

ვფიქრობთ, მკითხველისთვის უკვე ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. ამ ეტაპზე კი კოლუაშვილების ოჯახი ადმინისტრაციული წესით ასაჩივრებს სააგენტოს მიერ გაცემულ დასკვნას და მოითხოვს ექიმებისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმებას. როგორც ჩანს, ამოცანა ასეთია – თუ სახდელი დამძიმდება, პროკურატურისთვისაც უკვე ცალსახად გამოიკვეთება „დამნაშავეები“ და ამ შემთხვევაში მედპერსონალი უკვე სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მაესტროს“ სარეკლამო დრ

მირიან ბოქოლიშვილი

ქართულ ტელებაზარზე ცვლილებებისა და ძალთა გადანაწილების ახალი სეზონი იხსნება.

ამის პირველ ღია ნიშნად შეიძლება მამუკა ღლონტის „მაესტროდან“ გასვლა მივიჩნიოთ. სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით, მან შექმნიდან 20 წლის მერე საკუთარი არხი დატოვა და წილი დანარჩენი მეწილეების სასარგებლოდ დათმო. თუმცა, თავად წასვლას სხვა პროექტს უკავშირებს და არა იმ რთულ მოლაპარაკებების პროცესს, რაც „მაესტროს“ „რუსთავი 2“-თან აქვს.



„...ჩემს წილს უსასყიდლოდ გადავცემ თანაბრად „მაესტროს“ პირველ დამფუძნებლებს... დავაარსე ჩემი სატელევიზიო მწარმოებელი სტუდია, „ტვ სახელოსნო მაესტრო“... ვიცი რა, რომ ჩემს ამ განცხადებას შესაძლოა, მოჰყვეს ინტერპრეტაციები, გთხოვთ, ნუ მოძებნით შავ კატას ბნელ ოთახში, მით უმეტეს, როცა ის იქ არ არის...“ - წერს ღლონტი სოციალურ ქსელში.

ცნობილია, რომ მამუკა ღლონტი წინააღმდეგი იყო „მაესტროს“ სარეკლამო დრო „რუსთავი 2“-ს ეყიდა. არ გამორიცხავენ, რომ მისი წასვლის მიზეზი სწორედ ეს უთანხმოებაც გახდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მთლიანად ყიდულობს „მაესტროს“ სარეკლამო დროს. ალბათ, მკითხველს გაუჩნდება კითხვა – რაში სჭირდება „რუსთავი 2“-ს სხვა ტელეკომპანიის სარეკლამო დრო? საქმე ისაა, რომ ნებისმიერი ტელეკომპანიისთვის რეკლამა მთავარი სასიცოცხლო არტერიაა. ამ გარიგების შემთხვევაში კი „მაესტრო“ მიიღებს გარანტირებულ შემოსავალს, მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში და დაცული იქნება არსებული რისკებისგან, მეორე მხრივ კი, „რუსთავი 2“ გააფართოებს თავის სარეკლამო პაკეტს და მომხმარებელს საკუთარი ეთერის ნაცვლად, „მაესტროს“ სარეკლამო დროსაც შესთავაზებს, რაც, ცხადია, მის გაყიდვებზე, ასევე, დადებითად აისახება. ერთადერთი, ვინც ამ გარიგებით შესაძლოა, იზარალოს, ეს ტელეკომპანია „იმედია“, რომელსაც „რუსთავის 2“-ისა და „მაესტროს“ სარეკლამო სივრცის გაერთიანებით კიდევ უფრო მძლავრი კონკურენციის პირობებში მოუწევს სარეკლამო ბაზრის ათვისება.

ის, რომ კულუარებში ასეთი მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს, ცნობილია ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორისთვისაც. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გიორგი ბახტაძე არ გამორიცხავს, რომ ორი ტელეკომპანიის სარეკლამო სივრცის გაერთიანება შესაძლოა, „იმედის“ გაყიდვებზე უარყოფითად აისახოს.

გიორგი ბახტაძე „იმედი“:

– დიახ, სავარაუდოდ, ეს აისახება ჩვენს სარეკლამო დაკვეთებზე. თუკი ასეთი გაერთიანება მოხდა, ალბათ, ჩვენ დავზარალდებით. უდავოა, რომ, თუ ასეთი გარიგება მოხდება, „რუსთავი 2“ გაყიდვების კუთხით უფრო ძლიერი პორტფელით იქნება წარმოდგენილი.

– თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ ასეთი გარიგება ხდება?

– კი, შემიძლია დაგიდასტურო, რომ ამაზე საუბარი მიმდინარეობს. კულუარული საუბარი ამის შესახებ ნამდვილად მიდის, თუმცა უშუალოდ პირველწყაროსგან არ მაქვს ინფორმაცია.

ინფორმაციის გადამოწმება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორთანაც ვცადეთ, თუმცა კომერციული საიდუმლოებიდან გამომდინარე, ნიკა გვარამიამ ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.

„ეს კომერციული საკითხია, რომელსაც, მართალიც რომ იყოს, ვერ დაგიდასტურებთ. ასე რომ, ამაზე საუბარს აზრი არა აქვს“, – **აღნიშნა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ნიკა გვარამიამ.**

არ არის გამორიცხული, ეს გარიგება „მაესტროს“ დამფუძნებლებს შორის მორიგი უთანხმოების მიზეზიც გახდეს. ცნობილია, რომ „რუსთავი 2“-თან მსგავსი ტიპის გარიგებას ეწინააღმდეგება „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **მამუკა ღლონტი**, რომელსაც ჩვენ არხის დატოვებამდე ერთი დღით ადრე დავუკავშირდით. მან გვითხრა, რომ ამ საკითხის მასთან განხილვა ძალიან რთული იქნება.

„ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ მაინც გადაამოწმეთ არხის ხელმძღვანელობასთან. ასეთი საკითხი, რომ „რუსთავი 2“-მა „მაესტროს“ სარეკლამო დრო იყიდოს, ძალიან რთული განსახილველი იქნება ჩემთან“, – **ამბობდა მამუკა ღლონტი.**

ღლონტის რჩევით, ჩვენ ინფორმაცია „მაესტროს“ კომერციულ დირექტორთან, გიორგი ისაკაძესთანაც გადავამოწმეთ, რომელმაც, მისგან განსხვავებით, დაგვიდასტურა, რომ არხის სარეკლამო დროის გაყიდვაზე საუბარი ნამდვილად მიმდინარეობს, მათ შორის „რუსთავი 2“-ის პარტნიორ კომპანიასთან.

გიორგი ისაკაძე, „მაესტროს“ კომერციული დირექტორი:

– ამაზე საუბარი მრავალი თვეა მიდის, გაცილებით ადრე, სანამ მე „მაესტროში“ მოვიდოდი, მაგრამ ამ ეტაპზე რაიმე შეთანხმება მიღწეული არ არის.

– ანუ ეს საკითხი განიხილებოდა?

– დიახ, განიხილებოდა რამდენიმე ბიზნესჯგუფთან. „მაესტრო“ ერთ-ერთ ვარიანტად იხილავს, რომ თავისი სარეკლამო დრო სრულად გაიტანოს „აუთსორსზე“ ერთი წლის ვადით. მიმდინარეობდა კონსულტაციები, მათ შორის იმ კომპანიასთან, რომელიც „რუსთავი 2“-ის რეკლამას ყიდის. იყო დამოუკიდებელი ორი ჯგუფის ინტერესიც, თუმცა ამ ეტაპზე „მაესტრო“ აგრძელებს დამოუკიდებლად მუშაობას ამ მიმართულებით.

– ანუ შეთანხმება არ შედგა?

ქუთაისში ყველაზე იაფი სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტი „გორგია“ გაიხსნა

გახსნის ცერემონია ქუთაისში ჭავჭავაძის 8/4-ში გაიმართა და პირველ 100 მომხმარებელს „გორგიასგან“ სპეციალური საჩუქარი გადაეცა.

ჰიპერმარკეტი „გორგიას“ მენეჯმენტთან ერთად, ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ გახსნა. ჰიპერმარკეტის გახსნას იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი და 200 მოწვეული სტუმარი დაესწრო.

3 000 კვადრატულ მეტრზე განთავსებულ ჰიპერმარკეტში, მომხმარებელს იტალიაში, თურქეთში, გერმანიაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანებში წარმოებული 20 000-მდე დასახელების პროდუქტის შეძენა შეეძლება.

„ჰიპერმარკეტის გახსნა ქუთაისში სამშენებლო და სარემონტო მასალებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა. ჰიპერმარკეტში ასეულობით ახალი მიმართულება შევიტანეთ, რათა მომხმარებლისთვის მშენებლობა და რემონტი მაქსიმალურ კომფორტად ქცეულიყო. ჩვენ ერთ სივრცეში მოვაქციეთ ყველაფერი, რის შესაძენადაც მომხმარებელს სხვადასხვა მაღაზიებსა და ბაზრობებზე სიარული უნევდა. ახალ ჰიპერმარკეტს სპეციალური საფასო პოლიტიკა აქვს და ჩვენ ასეულობით სამშენებლო და სარემონტო პროდუქტს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასად ვყიდით“, - აცხადებენ ჰიპერმარკეტ „გორგიაში“.

როგორც კომპანიის მენეჯმენტში განმარტავენ, ჰიპერმარკეტის ახალ კონცეფციაზე მუშაობა 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი განახლებისთვის მილიონ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა. ჰიპერმარკეტის მაღალი სტანდარტების შესაბამისად მოწყობაში, სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული უცხოელი სპეციალისტები მონაწილეობნენ.

კომპანიის ინფორმაციით, ჰიპერმარკეტში 80-მდე ადამიანი დასაქმდა. თითოეული მათგანი ჰიპერმარკეტის ახალი კონცეპტის შესაბამისად გადამზადდა.

ჰიპერმარკეტ „გორგიას“ პირველი ობიექტი თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარეობს და მომხმარებელს 25 000-მდე დასახელების პროდუქტს საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად სთავაზობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოს „რუსთავი 2“ ყიდულობს

ნათია კუპრაშვილი: „ეს გარიგება რაღაც ლოგიკას ექვემდებარება, თუმცა მეტყველებს იმაზე, რომ სარეკლამო გაყიდვებში ყველაფერი ჯანსაღად არ გვაქვს“

გიორგი ბახტაძე: „შემიძლია, დაგიდასტურო, რომ ამაზე საუბარი მიმდინარეობს“

– იყო 4-5 ვარიანტი, მაგრამ ამ ეტაპზე შეთანხმება არც ერთთან არ არის მიღწეული. ჯერჯერობით „მაესტრო“ თავის მედიაპროდუქტს თავადვე ყიდის.

მედიაექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს შეთანხმება ბიზნესთვალსაზრისით „მაესტროსთვის“ მომგებიანი უნდა იყოს, რადგან ბოლო პერიოდში მისი რეიტინგი მნიშვნელოვნად შემცირდა, რეკლამა კი მიდის იქ, სადაც უფრო მაღალი რეიტინგია. ამ მხრივ მას აწყობს გაცილებით რეიტინგული „რუსთავი 2“-ზე „მიბმა“ და გარანტირებული შემოსავლის მიღება. სარეკლამო სივრცის გაერთიანების შემთხვევაში კლიენტებს შესაძლოა, ისეთი პაკეტი შესთავაზონ, რომ მათ კონკურენტ არხებზე რეკლამის ნაღების სურვილი დაკარგონ. ამ შემთხვევაში კი სერიოზულ ზიანს განიცდის ტელეკომპანია „იმედი“, რადგან, ვარაუდობენ, რომ ის კომპანია, რომელიც „რუსთავი 2“-ისა და „მაესტროს“ სარეკლამო დროს გაყიდის, სარეკლამო ბაზრის 65-70 პროცენტს გააკონტროლებს.

მსგავსი გარიგება არც დადებითად და არც უარყოფითად არ აისახება რეგიონალურ მაუწყებლებზე, ვინაიდან მრავალი მცდელობის მიუხედავად, რეგიონული მაუწყებლების რეიტინგის გაზომვა დღემდე არ ხდება, სარეკლამო ბაზრის 70 პროცენტი კი სწორედ რეიტინგულ მაჩვენებლებზეა მიბმული.

ნათია კუპრაშვილი, GARB-ის აღმასრულებელი დირექტორი:

– ეს გარიგება რაღაც ლოგიკას ექვემდებარება, თუმცა მეტყველებს იმაზე, რომ ყველაფერი ჯანსაღად არ გვაქვს სარეკლამო გაყიდვებში. ჩემი აზრით, „მაესტროს“ მხრიდან უფრო მეტი მონდომება უნდა იყოს, რათა თავისივე პროდუქტი უკეთ გაყიდოს და შესაბამისად, ეცადოს, უფრო მეტი შემოსავალი მიიღოს. ეს, ერთი მხრივ, „მაესტროსთვის“ ნიშნავს იმას, რომ ექნება მოჭრილი, თუმცა გარანტირებული ბიუჯეტი რეკლამებიდან. ამასთანავე, მას შეუძლია, გაცილებით ნაკლები იმუშაოს. „რუსთავი 2“ კი ძალიან სერიოზულ კონკურენციას გაუწევს სხვა მსხვილ მოთამაშეს. რაც შეეხება რეგიონულ არხებს, პრაქტიკულად ეს არანაირად არ აისახება რეგიონულ მაუწყებლებზე, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში არც ერთ რეგიონულ ტელევიზიას არ აქვს სარეიტინგო მაჩვენებელი. ვინ არ შევაწუხეთ ამ პრობლემით, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ცნობილია, რომ საქართველოში სარეკლამო ბაზრის 70 პროცენტი იყიდება რეიტინგული მაჩვენებლების მიხედვით, როდესაც ასეთი მაჩვენებელი არ გაქვს, ამოვარდნილი ხარ ამ 70-პროცენტიანი გაყიდვიდან და დისკრიმინებულ მდგომარეობაში იმყოფები. ახლა რაზეც თქვენ საუბრობთ, ეს არის კონკურენცია იმ 70-პროცენტიან ბაზარზე, ეს არის „რუსთავი 2“-ს მხრიდან უფრო მაღალი დონის კონკურენციის გაწევა სხვა ნაციონალურ მაუწყებლებთან მიმართებაში, „მაესტროსთვის“ კი ეს არის დაზღვეული გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, ის არ რისკავს. რაც შეეხება „იმედს“, ეს არის ღია ბაზარი, მან უნდა მოიფიქროს რაღაც უკეთესი პროექტი, რომ მიიღოს ეს გამოწვევა.

შედგება თუ არა შეთანხმება და გააერთიანებს თუ არა სარეკლამო სივრცეს ორი წამყვანი მედიასაშუალება? ეს, ალბათ, უახლოეს დღეებში გაირკვევა, მანამდე კი მედიაგადანაწილების შესახებ სხვა ინფორმაციებიც ვრცელდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, რომელსაც ინტერნეტპორტალი for.ge ავრცელებს, „მაესტროზე“ მიმდინარე პროცესები შეიძლება ტელეარხის მფლობელის შეცვლას უკავშირდებოდეს.

ოფიციალურად, შესაძლოა, ჯერ არ არის გაფორმებული, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ მაკა ასათიანის ქმარი კოტე გოგელია „მაესტროს“ წილის მფლობელი აღარ იქნება. For.ge-ს ინფორმაციით, ტელეკომპანიის წილის გაყიდვასთან დაკავშირებით, გარიგება უკვე შედგა თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან და გოგელიას წილი სწორედ მან იყიდა.

საჯარო რეესტრის მონაცემებით კი, შპს „სტუდია მაესტროს“ ჯერ კიდევ 6 მფლობელი ჰყავს. მამუკა ღლონტი 15%-ს ფლობს, ლევან ჩიკვაიძე – 15%-ს, ეკატერინე აკობია 5%-ს, გიორგი ებრალიძე – 1 5%-ს, გიორგი გაჩეჩილაძე – 25%-ს და ასევე 25%-ს ფლობს მაკა ასათიანი, რომლის მეუღლეც ბიზნესმენი კოტე გოგელიაა.

გავრცელებული ინფორმაციით, „მაესტროსა“ და „რუსთავი 2“-ის სარეკლამო სივრცის გაერთიანების იდეა და, ზოგადად, ამ პროექტის ავტორი ირაკლი ბურძგლა გახლავთ. თავის დროზე ბურძგლა დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ სარეკლამო სახლს – „ჯორჯიან მედიას“ ხელმძღვანელობდა, რომელმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტა. აღნიშნული კომპანია მოხვდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიშშიც, რომელიც სწორედ ქართულ სარეკლამო ბაზარს მიმოიხილავდა.

„საქართველოს სარეკლამო ბაზრის დიდ ნაწილს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული ახლო მეგობრებისა და ნათესავების ქსელი აკონტროლებს“. კვლევის თანახმად, გამოიკვეთა, რომ სარეკლამო სექტორის დიდი ნაწილი გაუმჭვირვალეა და კომპანიებს ფორმალური ხელმძღვანელები მართავენ. ბაზარზე დომინანტის პოზიცია აქვთ კომპანიებს – „ჯენერალ მედიას“ და „აუთდორ.ჯი“-ს .

„პრაიმტაიმი“ ზემოხსენებულ პროექტთან დაკავშირებით ინფორმაციის გადამოწმებას პირადად ირაკლი ბურძგლასთან შეეცადა, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

გიორგი ისაკაძე: „ამაზე საუბარი მრავალი თვეა მიდის, გაცილებით ადრე, სანამ მე „მაესტროში“ მოვიდოდი, მაგრამ ამ ეტაპზე რაიმე შეთანხმება მიღწეული არ არის“

ნიკა გვარამია: „ეს კომერციული საკითხია, მართალიც რომ იყოს, ვერ დაგიდასტურებთ. ასე რომ, ამაზე საუბარს აზრი არ აქვს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შავი პიარი პრემი



ვალერი გელბახიანის დაკვირვებით, ქართულ პოლიტიკას დასავლურისგან ერთი მნიშვნელოვანი დეტალი განასხვავებს – იქ პოლიტიკოსები კომპრომისებს ეძებენ, აქ კი – კომპრომატებს...

რატომ დაირაზმა ოპოზიცია ღარიბაშვილის წინააღმდეგ და რატომ ითხოვს ის ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას

ქეთი ხატიაშვილი

ვერტიკალის მთავარ თავის ტკივილად თუ ჯერ კიდევ კორუფციული გარიგებები რჩება, ოპოზიციის მთავარი პრობლემა შავი პიარის სოლიდური დოზით გამოყენებაა. ეს ტრადიცია გრძელდება და მას გვერდი ვერც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აუქცია. ლევან ალაფიშვილის შეფასებით, შავი პიარი ოპოზიციისთვის ჯერ ისევ მთავარი იარაღია და ის სხვანაირად ბრძოლას ვერ ახერხებს. ანუ ორიენტირებული პოზიტივზე კი არ არის და იმას კი არ ამტკიცებს, რატომ არის ის ხელისუფლებაზე უკეთესი, არამედ ორიენტირებულია ნეგატივზე – მისი ძირითადი მესიჯია, რა ცუდია სხვა.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო დაიძაბება და გამწვავდება ვითარება. ამ პროცესს ვალერი გელბახიანმა კომპრომატებისა და ტექნოლოგიების ომი უწოდა. ამ ომში კი ხშირად იმდენად სახიფათო მეთოდებს იყენებენ, რომ ქვეყნის უსაფრთხოებაზეც აღარ ფიქრობენ (სამწუხაროდ, ამის მაგალითებიც არის)...

თუმცა, მთავარი მაინც ამ ომში ძირითადი ფიგურის განადგურებაა. დღეს ეს ფიგურა, როგორც ჩანს, ირაკლი ღარიბაშვილია. პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ თითქოს სრული პოლიტიკური მობილიზაციაა გამოცხადებული, დაახლოებით ისე, როგორც თავის დროზე ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ. პოლიტიკური წონიდან გამომდინარე მათ ერთ სიბრტყეში მართლაც ვერ დავაყენებთ. მთავარი, რაც ამ ორ ფიგურას ერთმანეთისგან განასხვავებს, საწყისი წერტილია. ანუ ზურაბ ჟვანია დამოუკიდებელი ფიგურა იყო, ირაკლი ღარიბაშვილი კი პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილმა შემოიყვანა.

სხვა მხრივ, პარალელების გავლება შეიძლება მათ შორის, სხვათა შორის, რუსეთთან დამოკიდებულებაშიც. სააკაშვილისგან განსხვავებით, ჟვანია უფრო რბილი იყო და რადიკალურ მეთოდებს არ იზიარებდა.

თუმცა, პარალელი, რომელიც ახლა მინდა გავავლო, შავი პიარის „მაგიური ძალაა“. მაშინაც ოპოზიცია, რომელიც ვერტიკალზე იყო და მის ფარგლებს გარეთაც, ყველაფერს აკეთებდა ზურაბ ჟვანიას – პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის – იმიჯის შესალახად. ის დაუნდობელი და ძალიან ბინძური მეთოდებით იბრძოდა. მაშინ ერთ-ერთი ძალოვანი უწყებიდან მოხდა ორგანიზება და ყველა მიწისქვეშა გადასასვლელში პროკლამაციების მსგავსი პატარა ფურცლები გააკრეს, სადაც ეწერა, რომ ის ეროვნებით სომეხია, რომ არატრადიციული ორიენტაცია აქვს, რომ სოროსისა და შავი ძალების ხელდასხმულია და ასე შემდეგ. მიზანი – ძლიერი კონკურენტისთვის იმიჯის მაქსიმალურად შებღალვა. იმიჯის თემა მნიშვნელოვანია პოლიტიკაში. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ჟვანიას სწორედ იმიჯზე ურტყამდნენ. ვინც მას პროდასავლურობის გამო უტევდა; ვისაც მისი შევარდნაძისგან ჩამოცილება სურდა – თავად რომ დაეკავებინა ეს სივრცე; ვინ, უბრალოდ, ვერ აიტანა, რომ ჟვანია გახდა პარლამენტის თავმჯდომარე და თავად არა... მოკლედ, ეს წვრილი და ჭრელი ინტერესები იყო.

თითქმის იგივე გზა გაიარა მიხეილ სააკაშვილმაც, ჯერ ოპოზიციაში, ძალებს რომ იკრებდა, და შემდეგ უკვე პრეზიდენტობისას. მაშინდელი ოპოზიციაც სერიოზულად ცდილობდა მისი იმიჯის შებღალვას, აკრძალული მეთოდებითაც კი – მის სექსუალურ თავგადასავლებზეც ძალიან ბევრს წერდნენ, ხან რას იგონებდნენ და ხან – რას...

ახლა ოპოზიცია ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ დაირაზმა, რითაც თავადვე აღიარებს მას მთავარ კონკურენტად პოლიტიკაში – წარსული გამოცდილებაც სწორედ ამას გვაჩვენებს.

დანარჩენი ისეა, როგორც ჟვანიას შემთხვევაში. ზოგი მას სწორედ იმიტომ ვერ იტანს, რომ ივანიშვილის ფავორიტია – ვიღაცებს თავად სურთ მისი სივრცის დაკავება; ზოგს უბრალოდ ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება მისი ლიდერად აღიარება და ასე შემდეგ... თუმცა, მოტივს მნიშვნელობა აღარ აქვს – ქართულ პოლიტიკაში გამორჩეულობის გამო ერჩიან და ასე იყო ყოველთვის...

და ეს კიდევ ერთხელ ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა – პოლიტიკური სპექტრი ვერ თანხმდება თამაშის საერთო წესებზე. იმიჯის გაშავება ჯერ ისევ „მოდაშია“...

პრემიერის იმიჯის დასაზიანებლად სხვადასხვა ძირითადი მიმართულებებია შერჩეული.

იმიტომ რომ გავლენიანი არ გახდეს, მოსახლეობას არწმუნებენ რომ ის ბიძინა ივანიშვილის მონაა... ანუ დამოუკიდებელი ფიგურა კი არა, ვიღაცის მარიონეტია...

იმისთვის, რომ მის მიმართ დადებითად არ განეწყონ, ყველას არწმუნებენ, რომ ის რუსეთის მონაა, ანუ მტრის დავალებებს ასრულებს და ეროვნულ ინტერესებს არ ითვალისწინებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერის წინააღმდეგ

იმისთვის, რომ მის მიმართ დადებითად არ განეწყონ, ყველას არწმუნებენ, რომ ის რუსეთის მონაა, ანუ მტრის დავალებებს ასრულებს და ეროვნულ ინტერესებს არ ითვალისწინებს...

იტომ რომ პოლიტიკოსის იმიჯი არ შეექმნას, ამბობენ, რომ ოჯახის ინტერესებია მისთვის პრიორიტეტული და არა პოლიტიკური ღირებულებები....

ის, რომ მან შეძლო ნათესაური კავშირებისგან განთავისუფლება, პოლიტიკაში მას მხოლოდ გააძლიერებს.

სწორედ ოჯახის ინტერესებმა გარიყა პოლიტიკიდან ნინო ბურჯანაძე, მანამდე კი ნეგატიურად იმოქმედა ედუარდ შევარდნაძის არჩევანზე. პოლიტიკასა და ოჯახს შორის წითელი ხაზის არსებობა უბრალოდ აუცილებელია...

თუმცა, ამ ცვლილებებმაც სერიოზული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვერსიაზე მეტი ჭორაობა იყო... ლევან ალაფიშვილის შეფასებით, ჭორები გამოინვია იმან, რომ პრემიერმა მკაფიოდ არ ახსნა, რატომ მოხდა მთავრობაში ცვლილებები: სერიოზული ფიგურები შეიცვალნენ, მაგალითად, პრემიერის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში. მიზეზი კი უცნობია, ჯეროვანი განმარტებები არ მოგვისმენია... კი, ითქვა, რომ ეს ცვლილებები მთავრობის ეფექტიანობის მიზნით გაკეთდა, მაგრამ უცნობი დარჩა, რა სახის ჩავარდნა მოხდა. უფრო ზუსტად, ეს ჩავარდნა იყო თუ პროგრესის ნელი ტემპი... ჭორებიც სწორედ ამან გამოიწვია. საერთოდ, ხელისუფლებამ არგუმენტირებულად უნდა ახსნას გადაწყვეტილება...

– თუმცა, როცა იგივე კაბელების თემაზე ახსნილი იყო თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება, ამას ჭორაობისთვის ხელი არ შეუშლია...

– ...

ვალერი გელბახიანის დაკავირვებით, ქართულ პოლიტიკას დასავლურისგან ერთი მნიშვნელოვანი დეტალი განასხვავებს – იქ პოლიტიკოსები კომპრომისებს ეძებენ, აქ კი – კომპრომატებს...

ახლა ოპოზიცია ცდილობს, ირაკლი ღარიბაშვილი „ჩამოწერილად“ გამოაცხადოს და პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი შემოიყვანოს.

ირაკლი ალასანია, ამ მხრივ, თამამ განცხადებებსაც აკეთებს ხოლმე:

– ჩემი აზრით, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება, უახლოეს მომავალში თავად ბიძინა ივანიშვილმა აიღოს პასუხისმგებლობა მთავრობაზე, ჩრდილიდან გამოვიდეს და მართოს ქვეყანა... სხვა შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში ღრმა კრიზისი გარდაუვალია... ყველასთვის ნათელია, რომ საკადრო გადაწყვეტილებების უკან აშკარად დგას ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი... როდესაც მთავრობაში პრემიერ-მინისტრი სუსტი რგოლი ხდება, ეს არის ძალიან დიდი გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერს თავისი გაჭირვება აქვს. ირაკლი ალასანია ვერა და ვერ ინელებს, რომ პოსტიდან ახალგაზრდა და პოლიტიკაში გამოუცდელმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადააყენა. მისი მიზანია, ყველა დაარწმუნოს, რომ მას ვიღაც ღარიბაშვილი კი არა, თავად ივანიშვილი ებრძვის. როგორც ჩანს, მას მიაჩნია, რომ ამით უფრო მეტ „სიმძიმეს“ შესძენს საკუთარ პერსონას.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას, როგორც ჩანს, დავით უსუფაშვილიც ითხოვდა. მან ადრევე თქვა, რომ არ ეთანხმებოდა პოლიტიკიდან მის წასვლას.

გასაგებიც არის, უსუფაშვილსა და ალასანიას, როგორც ჩანს, უჭირთ ღარიბაშვილის ლიდერად აღიარება. ორივეს სერიოზული ამბიციები (ცუდი გაგებით არა) და გამოცდილება აქვს და აქ ვიღაც ახალგაზრდა გადაეღობათ წინ. ამ წყენას ალასანია უფრო გამოხატავს ხოლმე...

სხვათა შორის, თავის დროზე ამის გამო ვერ იტანდნენ ჟვანიასაც. აბა, წარმოიდგინეთ ეროვნული მოძრაობის ამბიციური ლიდერები, რომლებისთვისაც რომ გეკითხათ, საბჭოთა იმპერია დაანგრიეს, თავს გმირებად გრძნობდნენ და მოულოდნელად პარლამენტის თავმჯდომარე ვიღაც ზურაბ ჟვანია ხდება. დანარჩენები კი თამაშგარე რჩებიან.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრუნებას ნაციონალებიც ცდილობენ. განცხადებებს ამის თაობაზე ხშირად ისინიც აკეთებენ. პოლიტიკაში ექსპრემიერის მოპატიჟებამ ბადრი პატარკაციშვილის ისტორია გამახსენა. სანამ ის მხოლოდ „იმედის“ მეპატრონე იყო და აცხადებდა, სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისთვის ვიბრძვიო, მანამდე პოლიტიკურად მისი განადგურება შეუძლებელი იქნებოდა. ვალერი გელბახიანი ადასტურებს, რომ თავის დროზე ნაციონალებმა პატარკაციშვილი მართლაც შეიტყუეს პოლიტიკურ არენაზე და შემდეგ მთელი ძალებით დაარტყეს. თუმცა, აქვე იმასაც ამბობს, რომ ბადრის ისტორიას ბიძინასთან საერთო არაფერი აქვს, რომ მაშინ პატარკაციშვილი აიძულეს, პოლიტიკაში ჩართულიყო, ახლა კი ივანიშვილი ვალდებულია, დაბრუნდეს.

ახლა ოპოზიცია ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ დაირაზმა, რითაც თავადვე აღიარებს მას მთავარ კონკურენტად პოლიტიკაში – წარსული გამოცდილებაც სწორედ ამას გვაჩვენებს

ნაციონალებს თავისი პოლიტიკური მიზანი აქვთ – ბიძინას პოლიტიკური განადგურებით კოალიციას მთლიანად ანადგურებენ, ახალ ძალას აღარ ეყოლება შემცვლელი ფიგურები. ანუ კომპიუტერის ენაზე რომ ვთქვათ, თამაშში ბიძინა ის შემთხვევაა, როცა ბოლო სიცოცხლე დაგრჩა და უკვე აღარც ბონუსები გაქვს და აღარც დამატებითი დრო ან სიცოცხლე...

ანუ ივანიშვილის დაბრუნება აღიქმება, როგორც ბრძოლის ბოლო რაუნდი...

თუმცა, ისინი, ვინც რეალობას სწორად აფასებენ, ასეთები კი ნაციონალებშიც არიან და სხვა ოპოზიციურ ძალებშიც, კარგად გრძნობენ, რომ ამ ცვლილებებით ირაკლი ღარიბაშვილმა პოზიციები გაიმყარა – მას ახალი რესურსი გაუჩნდა.

რა თქმა უნდა, ეს იოლი არ იქნებოდა. მგონი, დაძაბულობა ახალგაზრდა პრემიერს სახეზე ბევრმა შეამჩნია. თუმცა მას, იმისთვის, რომ ლიდერად ჩამოყალიბდეს და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენები მოიპოვოს, უბრალოდ მოუწევს (ვალდებულიც კი არის), ეძებოს კომპრომისები... სწორედ ეს გზა მიდის ევროპისკენ...

კი, ითქვა, რომ ეს ცვლილებები მთავრობის ეფექტიანობის მიზნით გაკეთდა, მაგრამ უცნობი დარჩა, რა სახის ჩავარდნა მოხდა. უფრო ზუსტად, ეს ჩავარდნა იყო თუ პროგრესის ნელი ტემპი... ჭორებიც სწორედ ამან გამოიწვია...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნოდარ ჯავახიშვილი: „და

თამარ გორთამაშვილი

„თუ რაიმე დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, მე აქ საფიქრალი არაფერი მაქვს“

„აქ უზარმაზარი, საქართველოსთვის ძალიან დიდი ფულია და სადაც ძალიან დიდი ფულია, იქ ძალიან ბევრი ცდუნებაცაა“

2015 წელს მთავრობა განახლებული შემადგენლობით ხვდება. მართალია, ცვლილებები უწყებათა პირველ პირებს ჯერჯერობით არ შეხებიათ, მაგრამ მოადგილეების დონეზე რამდენიმე უწყებაში სურათი რადიკალურად შეიცვალა. უწყებას, სადაც ყველაზე დიდი ფული ტრიალებს და ცდუნებაც ყველაზე მეტია, ახალი მაკონტროლებელი ჰყავს – „ქართუ ბანკის“ ყოფილი პრეზიდენტი, ნოდარ ჯავახიშვილი უკვე ერთი კვირაა, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ მიავლინეს... მის პერსონას სოციალურ მედიაში ხმაური არ მოჰყოლია. ვნებათაღელვა, სავარაუდოდ, მოგვიანებით დაიწყება, რადგან ჯავახიშვილი, რომელიც უწყებაში ტენდერების საკითხს შეისწავლის, ახლავე აცხადებს, რომ, თუ დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, ხელს არავის დააფარებს... პრემიერისგან სრული კარტბლანში მიიღო და საკუთარ თავს 6-თვიანი ვადაც დაუწესა. ამბობს, რომ საქმეს გააკეთებს და წავა.

რა საუბარი შედგა პრემიერსა და ჯავახიშვილს შორის, როგორ შეხვდა მას მინისტრი შავლიაშვილი და რის გამოსწორებას აპირებს უახლოეს 6 თვეში? ამის შესახებ **ნოდარ ჯავახიშვილი „პრაიმტაიმს“ ესაუბრა:**

– ჩემი დანიშვნა ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ და ისეთი რთული სფეროს ჩაბარება, როგორიცაა ტენდერები, პრემიერ-მინისტრის მხრიდან არის უდიდესი დნობის გამოხატულება. როდესაც ირაკლიმ ეს თანამდებობა შემომთავაზა, ვუთხარი, რომ ეს არ არის ჩემი სფერო, მან კი მიპასუხა, რომ სწორედ შენნაირი პრინციპული და პატიოსანი კაცი მჭიდება ამ სისტემაშიო.

– რა იყო ისეთი მოუგვარებელი თემა, რაშიც თქვენი პრინციპულობა იქნება მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი?

– სიმართლე გითხრათ, რა უარყოფითი ინფორმაცია აქვს პრემიერს ამ სფეროდან კონკრეტულად, არ ვიცი, მაგრამ გაზეთებს მეც ვკითხულობ და ვხვდები, რომ ყველა სერიოზული ტენდერი აუცილებლად იწვევს საზოგადოებაში ეჭვებს. ბევრი ჟურნალისტური გამოძიებაც მინახავს, რომელიც ძალიან ჰგავს სიმართლეს... რა თქმა უნდა, ძნელია მხოლოდ ჟურნალისტზე დაყრდნობით რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, მაგრამ, როგორც წესი, კვამლი ცეცხლის გარეშე არ ჩნდება. ჩემი მიდგომა ასეთია – არ არსებობს საკითხი, რომელიც დახვეწას არ მოითხოვს... აქაც, მინიმუმ, დასახვეწი იქნება ბევრი რამ. თავი რომ დავანებოთ იმას, არის აქ კორუფცია, არაპროფესიონალიზმი თუ არასახელმწიფოებრივი მიდგომები... კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ არსებობს სახელმწიფო სტრუქტურა, რომლის დახვეწაც არ შეიძლება. მით უმეტეს, მეც მგონია, რომ რაღაც ხარვეზები ნამდვილად არის.

– კორუფციას გულისხმობთ?

– ძნელია, ამ ეტაპზე კორუფციაზე ვილაპარაკო, მაგრამ რომ ვთქვა, არც ერთ სფეროში არ არის ყველაფერი წესრიგში-მეთქი (და არც შეიძლება დღეს საქართველოში რომელიმე სფეროზე ვთქვათ, რომ იქ აბსოლუტური სრულყოფილებაა), ნამდვილად არ ვიქნებით მართალი, და ამას ვერც ხელისუფლება იტყვის... მე ის ვიცი, რომ ჩემი უპირველესი ამოცანაა სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების საკითხის მოგვარება. პირველივე შეხვედრის დროს, მინისტრ შავლიაშვილს ვთხოვე კიდეც, რომ სხვა დატვირთვას ამ ეტაპზე ნუ მომცემთ-მეთქი, იმიტომ რომ ის, რაც დამევალა, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, ამასთანავე, ჩემთვის ახალი, რადგან ჯერჯერობით დეტალებში არ ვარ ჩახედული. ორი კვირა მაინც დამჭირდება, რომ ვნახო და გამოვყო ის ნაკლოვანებები თუ ხარვეზები, რომელიც ამა თუ იმ პროცესშია ტენდერებთან მიმართებაში. ამის შემდეგ დავსხდებით და ერთობლივად ჩამოვაყალიბებთ, როგორ უნდა შევქმნათ ისეთი სისტემა, სადაც არ იქნება მოსაძებნი კონკრეტული პიროვნება სიტუაციის გამოსასწორებლად... აქ ინსტიტუტმა, წესმა უნდა იმუშაოს. მე მინდა, ერთი რომელიმე მიმართულება ავიღო, არ ვიცი, რომელი იქნება, გზები, წყალკანალი თუ სხვა და ამ მიმართულებით შევისწავლო ტენდერები... ჯერ მაქსიმალურად სრულყოფილი სქემა უნდა შევქმნათ და მერე გავავრცელოთ ყველა დანარჩენზე.

– ალბათ, არ გამორიცხავთ, რომ ამ პროცესში შესაძლოა, კონკრეტული დანაშაულის ნიშნებიც გამოიკვეთოს...

– არსად არასოდეს ეს არ გამორიცხება. თუმცა მე ნამდვილად არ მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ, თუ რაიმე დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, მე აქ საფიქრალი არაფერი მაქვს. ჩემი ღრმა რწმენით, ყველა დამნაშავე თა-

„ბანკი კონსტანტა“ TBC ბანკს 2015 წლის იანვარში შეუერთდება

TBC ბანკი „ბანკი კონსტანტას“ 100%-ის მფლობელი გახდა, რის შედეგადაც „ბანკი კონსტანტა“ იანვრიდან თიბისი ბანკს შეუერთდება. ბანკებმა გადაწყვეტილება მიკროფინანსების ბაზარზე არსებული ახალი გამოწვევებისა და ამ ბიზნესის ზრდის მაღალი პოტენციალის გამო მიიღეს. კონსოლიდაციის პროცესი დაწყებულია და „კონსტანტას“ ბრენდის თიბისის ბრენდქვეშ გადასვლა - „კონსტანტას“ სახელის, ფერებისა და ლოგოს შეცვლა ეტაპობრივად მოხდება, მას შემდეგ რაც, 2015 წლის იანვარში, ხელშეკრულება იურიდიულად გაფორმდება. „ბანკი კონსტანტას“ ფილიალები მუშაობას „თიბისი ბანკი კონსტანტას“ სახელით განაგრძობენ.

როგორც TBC ბანკისა და „ბანკ კონსტანტას“ დირექტორებმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ბანკების შერწყმა საზოგადოებისთვის ძალიან მომგებიანია, რადგან მომხმარებლები შეძლებენ ისარგებლონ, როგორც „კონსტანტას“ მიერ დღეს შეთავაზებული პროდუქტით, ასევე თიბისი ბანკის მიერ შეთავაზებული დამატებითი პროდუქტებითაც, რაც მომხმარებელს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას მისცემს.

ვახტანგ ბუცხრიკიძე (თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი):

„ჩვენ ინვესტიცია „ბანკ კონსტანტაში“ 2011 წელს გავაკეთეთ და ბოლო ორი წლის განმავლობაში 260 მილიონზე მეტი ინვესტირება გავწიეთ. დღეს მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ამ ბანკების შერწყმა განვახორციელოთ, რაც მნიშვნელოვანია, როგორც თიბისი ბანკის კლიენტებისთვის, ასევე „კონსტანტას“ მომხმარებლებისთვისაც. კონსოლიდაციის შემდეგ, მიკროფინანსირება თიბისი ბანკის ერთ-ერთ პრიორიტეტურ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ჩვენ ვთვლით, რომ შევძლებთ ჩვენი გამოცდილების ეფექტურად გამოყენებას, იმისთვის, რომ განვავითაროთ მიკროფინანსირების სეგმენტი და გავამყაროთ ლიდერული პოზიციები მიკროსაფინანსო ბაზარზე. ვფიქრობ, ეს ნიშნავს მეტ კონკურენციას მიკროსაფინანსო ბიზნესში და შედეგად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, „კონსტანტას“ კლიენტებისთვის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას, ტექნოლოგიურ სიახლეებს, პროდუქტების ფართო არჩევანს, სტაბილური თანამშრომლობის პერსპექტივას და ა.შ. „კონსტანტას“ თანამშრომლები უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენენ, რაც მათი პროფესიული განვითარების საწინდარია“.

ნიკოლოზ ქურდიანიძე („ბანკ კონსტანტას“ გენერალური დირექტორი):

„ჩვენთვის ეს გაერთიანება ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, რომ ორივე ბანკისთვის მეტი წარმატების მომტანი იქნება. „ბანკი კონსტანტა“ და TBC ბანკი ერთ ურიდიულ პირად ჩამოყალიბდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ „კონსტანტა“ არსებობას თიბისის ბრენდქვეშ განაგრძობს. დღეისათვის „ბანკი კონსტანტა“ საქართველოს მასშტაბით არსებულ 60-მდე ფილიალის საშუალებით მიკრო და მცირე მეწარმეებს ემსახურება. ბანკის საკრედიტო პორტფელის ძირითადი ნაწილი მიკრო ბიზნეს სესხებსა და აგრო სესხებს უჭირავს. „კონსტანტა“ მიკროსაფინანსო ბაზარზე რჩება და მომხმარებელზე ზრუნვას აქტიურად განაგრძობს“.

ცნობისთვის, „ბანკი კოსტანტა“ კომერციული ბანკის სტატუსით 2008 წლიდან ოპონირებს და საქართველოს მასშტაბით 60-მდე ფილიალის საშუალებით, მიკრო და მცირე მეწარმეს გულმოდგინედ ემსახურება. „ბანკ კონსტანტას“ 80%-ს მფლობელი თიბისი ბანკი 2011 წელს გახდა, რის შემდეგაც, „კონსტანტა ბანკმა“ განვითარებისთვის დაახლოებით 226 მილიონი ლარი თიბისი ბანკისგან მიიღო. ამ ინვესტიციის შედეგად „კონსტანტა ბანკის“ მთლიანი პორტფელი 400%-ით გაიზარდა, რამაც „ბანკი კონსტანტას“ მომხმარებელს საშუალება მისცა რეგიონებსა და ქალაქებში, საჭირო ფინანსური დახმარება მიეღოთ.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონსოლიდაციის პროცესის ფორმალურ მხარესთან, კერძოდ მომხმარებალთა ხელშეკრულებების განახლებასთან დაკავშირებით, „ბანკი კონსტანტას“ კლიენტები დროულად იქნებიან ინფორმირებულნი, რათა ორი ბანკის შერწყმის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ, სწრაფად და ეფექტურად განხორციელდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნაშაული არ დაიმალება!“

„შევეცდები, 6 თვის განმავლობაში მოვაწესრიგო ტენდერების საკითხი, გავხადო ის გამჭვირვალე და ეფექტური სახელმწიფოსთვის... თუ ამას მოვახერხებ, 6 თვის მერე ვთხოვ პრემიერს და წავალ...“

ვის ადგილას უნდა იყოს. გული მწყდება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ ვერ მიაღწია ამას... ჯერ კიდევ უამრავი დამნაშავე დადის თავისუფლად და ხმამაღლა ლაპარაკობს. ზუსტად ამაშია ის პრინციპულობა, რომელსაც ხშირად სიჯიუტეს ეძახიან ხოლმე – მე ამის დამალვა არ შემიძლია, გულითაც რომ მოვინდომო... მთელი ჩემი ცხოვრება ამას ვებრძოდი. ზოგადად, ჩემს იდეაში ნამდვილად არ არის, რომ რაღაცები გამოვავლინო, რაღაცები ვეძებო... ერთ მაგალითს გავიხსენებ, მე რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გავხდი, ჩემს წინა პერიოდში ის იყო ყველაზე დესტრუქციული ორგანო საქართველოში, რომელმაც ღიად შექმნა ჰიპერინფლაცია, მაგრამ არასოდეს არ დავინტერესებულვარ ჩემი წინამორბედის საქმიანობით, იმიტომ რომ ქვეყანა იყო გადასარჩენი და დროც არ მქონდა, მერე კი საერთოდ ამოიღეს ეს მასალები პროკურატურიდან... მაგრამ რადგან მის ადგილას მივედი, კარგი თუ ცუდი მემკვიდრეობად მივიღე და ის სწორად უნდა მემართა. ჩემთვის საამაყოა და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მიდგომით, შეიქმნა ისეთი წარმატებული ორგანო, როგორიცაა ეროვნული ბანკი და პარალელურად საფინანსო სისტემა... დაახლოებით ასეთი სურვილი მაქვს ახლაც, იმიტომ რომ ეს ჩემი შინაგანი განწყობაა. გადაცდომებსა და ხარვეზებს გამოვასწორებ, თუმცა თუ ამ პროცესში დანაშაული გამოიკვეთება, ის არ დაიმალება.

– შესაძლოა, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს...

– რასაკვირველია, ჩემი მოვალეობაა, ეს შესაბამის ორგანოებს მივაწოდო, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, დარწმუნებული ვარ, რომ იქ უფრო მეტი იქნება მოუწესრიგებლობა, არასაკმარისი კვალიფიკაცია და შეიძლება ზუსტადაც პრინციპულობის ნაკლებობა. სამწუხაროდ, დღეს ძალიან ბევრი იღებს თავის თავზე ზედმეტს, ტელეფონზე დარეკვასა და მსგავს საქციელს ვგულისხმობ...

– მაშინ მითხარით, რა არის დღეს მთავარი პრობლემა ამ სფეროში?

– ვერ გეტყვით, იმიტომ რომ ეს ნაუცბადევი და ზედაპირული იქნება. ჯერ უნდა ჩავიხედო შიგნით. მთავარი ისაა, რომ აქ უზარმაზარი, საქართველოსთვის ძალიან დიდი ფულია და სადაც ძალიან დიდი ფულია, იქ ძალიან ბევრი ცდუნებაცაა. საითაც გინდა გაიხედო, ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ყველაფრით კმაყოფილი მაინც ვერ იქნები... ამიტომ უნდა ინახოს ყველაფერი... ძალიან შორს არ წავალ. ჩემთან, სადაც ნაკვეთი მაქვს, სოფელ გლდანის თავზე გააკეთეს წყლის რეზერვუარი, რომლითაც დასახლება უნდა მომარაგდეს. მიუხედავად იმისა, რომ მე თვითონ ვიყავი იქ და ვუთხარი, ცოტა მაღლა აწიეთ, თორემ რამდენიმე სახლში, რომელიც იქვე ახლოსაა, მანსარდაში წყალი არ ავა-მეთქი, არავინ მომისმინა, მაინც ისე გააკეთეს. ქვეყნის პრობლემებთან შედარებით ეს ნიუანსია, რომ 3-4 ოჯახს არ ექნება მანსარდაზე წყალი, მაგრამ მიდგომაა თავისთავად არასწორი და საკმარისია, ანალოგიური მიდგომით სხვაგანაც გაკეთდეს, ფული დაიხარჯება და წყალი არ იქნება. ჩემთან სულ 50-60 მოსახლეა, რომელიც ძირითადად იქ ცხოვრობს, და ჩვენ განსხვავებულები ვართ, იმიტომ რომ 50-ს ექნება წყალი, სადაც მოუნდება და სამს – არა?! მე მაშინ ვუთხარი, რომ, თუ ჩემთან არ ავიდა წყალი მანსარდაზე, იმ დანახარჯებს, რასაც მე დამატებით, თუნდაც ძრავის დასაყენებლად გავიღებ, გადაგახდევინებთ სასამართლოს ძალით-მეთქი... ეს არის ერთი მაგალითი არასწორი მიდგომისა და ერთი რიგითი მოქალაქის მიერ დანახული პრობლემა...

– რა ცვლილებების შეტანას აპირებთ ტენდერების მიმართულებით, გამკაცრდება კრიტერიუმები?

– იგივეს გეტყვით, ჯერ უნდა ჩავიხედო, ეს ყველაფერი კარგად უნდა ვნახო... მაგალითად, ბევრჯერ წამიკითხავს, რომ იქ არის შავი სია, სადაც შეყვანილია კომპანიები, რომლებმაც წინა ტენდერის პირობები დაარღვიეს... მერე ხდება ისე, რომ მათ ბაზაზე ან მათგან ფორმალურად დამოუკიდებლად ჩნდება ახალი ორგანიზაცია, რომელიც ტენდერში მონაწილეობს და შეიძლება გაიმარჯვოს კიდეც... აი, ეს გამორიცხულია, მოხდეს.

– როგორ გააკონტროლებთ?

– კონტროლს რომ თავი დავანებოთ, კომპანიას, რომელიც ამა თუ იმ ტენდერში მიიღებს მონაწილეობას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სათანადო გამოცდილება. გუშინ დაარსებული კომპანია ვერ მიიღებს მონაწილეობას. არ მინდა, ძალიან მკვეთრი განცხადებები გავაკეთო, იმიტომ რომ შეიძლება რომელიმე სფეროში ისეთი რამეც აღმოჩნდეს, რომ ყველა გაშავებულია და აღარ არის საქმის გამკეთებელი არავინ, საქმე კი უნდა გაკეთდეს – უკან დახევად არ ჩამითვალოთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მოთხოვნები უნდა შეამცირო. ხოლო იქ, სადაც კონკურენცია არსებობს, გაიმარჯვებს ისეთი ძლიერი და გამოცდილი კომპანია, რომელსაც წყალი არ გაუვა. ეს ეხება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ორგანიზაციებს, მე ძალიან კარგად ვიცი, საქართველოში ჩატარებულა მსოფლიო ბანკის უშუალო მონაწილეობით უსაზღვროდ დანაშაულებრივი ტენდერი... სხვათა შორის, დღეს ხშირად ვკითხულობ პრესაში დავით მირცხულავაზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპერტი ყოფილა ენერგეტიკაში. ერთხელ პარლამენტის სხდომაზე მე მას პირდაპირ ვუთხარი, შენ ციხიდან არ უნდა გამოხვიდე-მეთქი... მისი მონაწილეობით ჩატარდა ტენდერი, სადაც გარეული იყო პარლამენტი, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება და ისეთი პატივსაცემი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, როგორიცაა მსოფლიო ბანკი... იმ ტენდერში მონაწილეობდნენ მსოფლიოს უძლიერესი კომპანიები. ყველამ თავის დროზე შემოიტანა განაცხადი და იყო ერთი ყველაზე ნაკლებად ცნობილი კომპანია, რომელმაც რამდენიმე საათით დაგვიანა პაკეტის წარდგენა, რაც ჩვენი კანონმდებლობით ნიშნავდა, რომ ვარდებოდა ტენდერიდან, სწორედ მან, ქართული მხარის ჩარევით, მონაწილეობაც მიიღო და გაიმარჯვა კიდეც. იმის მერე კიდევ რამდენი დანაშაული მოხდა, ეს ცალკე საკითხია. ასევე, ძალიან კარგად მახსოვს, ბრიუსელში ჩატარდა სერიოზული ტენდერი, სხვათა შორის, ევროსაბჭოს მონაწილეობით, და ამ ტენდერში, რომელშიც მსოფლიოს უდიდესი სასოფლო-სამეურნეო ბანკი მონაწილეობდა (და ტენდერი სასოფლო-სამეურნეო ბანკის შექმნას ეხებოდა საქართველოში), გაიმარჯვა წინა დღეს დაარსებულმა პიტერ შოუს უელსურმა კომპანიამ... ამით იმის თქმა მინდა, რომ არ არის გასაოცარი, თუ საქართველოშიც აღმოჩნდება რაღაცები, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, ტენდერი მთელ მსოფლიოშია კორუფციის ერთ-ერთი წყარო. კარგად ვიცი, რომ ეს ძალიან რთული უბანია და ამ რთულ უბანზე, როგორც დავით შავლიაშვილმა მითხრა, ჩემი გამოცდილება დასჭირდებათ, იგივე დონორებთან ურთიერთობაში, რომ ცოტა (რბილად რომ ვთქვათ) კბილები გამოვაჩინოთ...

– სანამ ამ პოსტზე დაინიშნებოდით, ამბობთ, რომ პრესას ეცნობოდით და იცოდით, რომ არსებობდა გარკვეული პრობლემები. შეგიძლიათ, კონკრეტული თემები გამოყოთ, სადაც თუნდაც კითხვები გაგიჩნდათ?

– არა და გეტყვით იმასაც, რომ, როცა შეხვედრა მქონდა მინისტრთან და მის ერთ-ერთ მოადგილესთან, იცით, როგორი შთაბეჭდილება დამრჩა? – მათ ძალიან კარგად იციან, რომ ბევრი მოუგვარებელი პრობლემაა. მე იქ კორუფცია და არაპატიოსანი მოქმედება, ერთი შეხედვით, ვერ დავინახე. უბრალოდ, ეს არის ძალიან რთული უბანი და ხარვეზები მათაც კარგად აქვთ დაფიქსირებული. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინიც მზად არიან, ერთად დავსხდეთ და ჩამოვყალიბდეთ, რისი გასწორება შეიძლება დღესვე და რისი – ხვალ... მათში დავინახე მზაობა, რომ ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ, ყველა ის ნიუანსი, რომელიც უკვე გამოვლენილია და ხელს გვიშლის, ნელ-ნელა მივიყვანოთ სრულყოფამდე და შეუვალ სისტემის სახე მივცეთ.

მე ბატონ პრემიერ-მინისტრთანაც ვთქვი, რომ შევეცდები, 6 თვის განმავლობაში მოვანესრიგო ტენდერების საკითხი, გავხადო ის გამჭვირვალე და ეფექტური სახელმწიფოსთვის... თუ ამას მოვახერხებ, 6 თვის მერე ვთხოვ პრემიერს და წავალ... შეიძლება ძალიან პატარა ვადა დავუსახე ჩემს თავს, მაგრამ ყველა დანარჩენ შემთხვევაში მე ჩავთვლი, რომ წარუმატებელი იყო ჩემი აქ მოსვლა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს არ არის ჩემი საქმე, მაგრამ თუკი ღვთის ნებით მივაღწევ იმას, რაც დავისახე, მერე აუცილებლად წამოვალ და გზას ახალგაზრდებს დავუთმობ. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ ბევრი საუბარი იყო, ვითომ მინისტრად ვინიშნებოდი... გულწრფელად გეტყვით, რომ ამ თემაზე საუბარი არავისთან მქონია და არც ერთ დონეზე არ მიგრძნია, რომ მსგავსი შემოთავაზება იქნებოდა. სამინისტროში რომ მივედი, ვთქვი კიდეც, – აქ ერთადერთი დავალება მაქვს, ამას გავაკეთებ და წავალ, წინ არ დავუდგები არავის...

– რომ შემოგთავაზონ, უარს იტყვით?

– სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე თავად ვთხოვდი პრემიერს და კატეგორიულად წინააღმდეგი ვიქნებოდი ამის, იმიტომ რომ თვითონ ეს უბანი იმდენად მნიშვნელოვანი და მტკივნეულია, რომ მინისტრის რანგში ამას ვერ შევძლებ. მინისტრი წარმომადგენლობითი პერსონაა, რომელიც შესაძლოა, დღის განმავლობაში თავისუფლად ვერც დაჯდეს. მე მინდა თავისუფალი და ხელშეუშლელი მუშაობის შესაძლებლობა და მაქვს გარანტია, რომ მექნება. მივესალმები, რომ სხდომებსა და შეხვედრებზე მინისტრმა იაროს.

„გადაცდომებსა და ხარვეზებს გამოვასწორებ, თუმცა თუ ამ პროცესში დანაშაული გამოიკვეთება, ის არ დაიმალება“

„მე მინდა თავისუფალი და ხელშეუშლელი მუშაობის შესაძლებლობა და მაქვს გარანტია, რომ მექნება“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს ბანკის“ „ქმარკომატის“ ავტ

ხათუნა მგალობლიშვილი

არჩილ გამზარდია: „ამ ბოლო დროს მოდურად იქცა დისკრიმინაციისა და სექსიზმის ნიშნების დანახვა“

პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი ზუსტად ექვსი თვის წინ მიიღო. მისი გამოყენების პირველი ფაქტი კი სულ რამდენიმე დღის წინ დაფიქსირდა. სახალხო დამცველმა ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ნაწილით ისარგებლა და ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები გამოსცა. კანონის გამოყენება უჩა ნანუაშვილს „საქართველოს ბანკმა“ „აიძულა“ მისივე რეკლამის – „ქმარკომატის“ შექმნით... გაითვალისწინებს თუ არა ბანკი ომბუდსმენის რეკომენდაციას, ეს მისი გადასაწყვეტია, თუმცა კანონი ბანკს ვალდებულებას არ აკისრებს... უფლებადამცველები ამ დეტალს კანონის ნაკლად მიიჩნევენ და პირობას დებენ, თუ ბანკი კვლავ გააგრძელებს დისკრიმინაციული შინაარსის რეკლამების შექმნა-გავრცელებას, ისინი აუცილებლად მიმართავენ სასამართლოს.

რაც შეეხება დისკრიმინაციულ რეკლამას, ყველაფერი „ქმარკომატის“ შექმნის იდეით დაიწყო...

მაშინ როდესაც „Avon“, „United Colors of Benetton“, „LUSH Cosmetics“ და კიდევ სხვა, ცნობილი ბრენდები აქციებს მართავენ სახელწოდებით – „No More“ და მთელ მსოფლიოს დაჩაგრული ქალების მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ, საქართველოში ამავე სახელწოდების ბანკი ქალების დისკრიმინაციულ რეკლამებს ავრცელებს. შედეგად საზოგადოებისგან წამოსულ კრიტიკაზე კი გაკვირვებულები კითხულობენ: „რატომ არის ამ რეკლამაში სექსიზმი? ხომ არსად წერია, რომ ყველგან ასე ხდება ან ასე უნდა ხდებოდეს? ეს პოსტი არაა იმაზე, ეს მავნე პრაქტიკაა თუ პირიქით. უბრალოდ, მოყვანილია ერთ კონკრეტულ, ანიმაციურ ოჯახში არსებული „რეალობა“, რომელიც იუმორისტულადაა გადმოცემული“. ბანკის წარმომადგენელი აღნიშნულ „facebook“-ის პოსტს იქვე ურთავს, რომ მომავალში გამოქვეყნდება სხვა სიტუაციების ამსახველი სკეტჩებიც, მათ შორის ისეთიც, სადაც აღნიშნული გმირები გაცვლიან როლებს. ანუ როგორც სოციალურ ქსელში ვარაუდობენ „საქართველოს ბანკი“ მალე „ცოლკომატსაც“ შემოგვთავაზებს...

როგორც „საქართველოს ბანკმა“ ახსნა, „ერთ კონკრეტულ, ანიმაციურ ოჯახში არსებული რეალობა“ ასეთია: ცოლი ქმარს ფულს სთხოვს, ქმარი ას ლარს აძლევს, ცოლი ას ლარიანის ოცლარიანებად დახურდავებას სთხოვს, „ქმარკომატი“ მეუღლის ამ მოთხოვნასაც ასრულებს. ბოლოს კი ეკითხება: გნებავთ სხვა ტრანზაქცია? ზუსტად ისე, როგორც ბანკომატთან ურთიერთობისას ხდება ხოლმე...

საზოგადოების რეაქციების შესახებ შედარებით ქვემოთ, მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ „საქართველოს ბანკის“ აღნიშნულ რეკლამას სახალხო დამცველმა სექსისტური ხასიათის მატარებელი უწოდა, რომელიც გენდერულ სტერეოტიპს ამკვიდრებს. უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ასეთი სტერეოტიპების დამკვიდრება ხელს უწყობს ქალების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის გაძლიერებას, რომელიც პოპულარიზაციას უწევს გენდერულ სტერეოტიპებს.

სახალხო დამცველის აპარატის განცხადება: „იმის გათვალისწინებით, რომ სარეკლამო რგოლებს შეუძლია ითამაშოს პოზიტიური როლი სტერეოტიპების დასამსხვრევად და ხელი შეუწყოს საქართველოში გენდერული თანასწორობის გაზრდას, ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებას და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, სახალხო დამცველმა მოუწოდა „საქართველოს ბანკს“, რომელიც მაღალი რეიტინგით სარგებლობს საზოგადოებაში, მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი ხასიათის სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება-გავრცელებისგან და სარეკლამო რგოლების მომზადების დროს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორად“.

სახალხო დამცველი ინიციატივით გამოდის რომ „საქართველოს ბანკს“, უფრო კონკრეტულად კი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებს და იმ ადამიანებს, რომლებიც სარეკლამო რგოლებზე პასუხისმგებელი პირები არიან, გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგები ჩაუტარდეთ. „საქართველოს ბანკის“ კომენტარი სახალხო დამცველის რჩევაზე საკმაოდ მოკლე და ორაზროვანია: „ამ საკითხთან დაკავშირებით ბანკის კომენტარი ასეთია – გავეცანით სახალხო დამცველის განცხადებას, მხედველობაში მივიღებთ“.

„საქართველოს ბანკი“ არ არის ერთადერთი, რომელიც საზოგადოებაში უარყოფით რეაქციებს ინვევს საკუთარი რეკლამებით. საკმაოდ მწვავე რეაქციები მოჰყვა თავის დროზე „ჯიპიაი ჰოლდინგის“ რეკლამას, რომელიც ასევე დისკრიმინაციულად ჩაითვალა და საპროტესტო ნაბიჯიც გადაიდგა. სადაზღვევო კომპანიამ „სიურპრიზი“ ქალბატონებს 8 მარტის აღსანიშნავად მოუწყო. „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ავტოდაზღვევის სანაცვლოდ ქალბატონებს 150-ლარიან „შოპინგ ქარდს“ სთავაზობდა. რეკლამის შინაარსი ბილბორდზე შემდეგი შინაარსით იყო გადმოტანილი: სავარაუდოდ, უკვე დაზღვეულ მანქანაში ორი გოგო ტუჩსაცხის წასმით იყო დაკავებული და მინაწერიც შესაბამისი ჰქონდა – „ფრთხილად, ავტომობილის სარკესთან ქალია!“

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ მაშინდელ რეკლამას საპასუხო რეაქცია მალევე მოჰყვა. საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა სადაზღვევო კომპანიას სურათითვე უპასუხეს. ცნობილმა ადამიანებმა წითელი ტუჩსაცხი წაისვეს, სურათები გადაიღეს და წარწერა გაუკეთეს: „დამშვიდდი, პომადა უკვე წავისვი“. „საქართველოს ბანკისგან“ განსხვავებით, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ საზოგადოების რეაქციას მაშინვე გამოეხმაურა და საგანგებო განცხადებაც გაავრცელა ვრცელი ახსნა-განმარტებით, მაგრამ რეკლამის შეწყვეტა და მით უმეტეს ბილბორდებიდან დისკრიმინაციული შინაარსის სურათების ჩამოხსნა არც უფიქრია. თუმცა დაპირობა სწორედ ასეთი იყო. რაც ყველაზე მთავარია, კომპანიამ რეკლამის ნეგატიურ შემფასებლებს მადლობა გადაუხადა. სავარაუდოდ, მათი მიზანი კლიენტების ნებისმიერი გზით ყურადღების მიქცევა იყო, რასაც, პრინციპში, მიაღწიეს კიდევ. ბოდიშიც მოიხადეს, ოღონდ მხოლოდ ერთი წინადადებისთვის – „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ საჭესთან ქალი მძღოლები უფრო რისკიანები არიან.

„საქართველოს ბანკის“ მომხმარებელი: „ხვალ მოვალ სათავო ოფისში და დავხურავ ანგარიშს თქვენს ბანკში“

რაც შეეხება „საქართველოს ბანკს“, მან ბანკის კლიენტებშიც უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. სოციალურ ქსელში ბანკის ოფიციალურ გვერდზე მომხმარებლები წერდნენ, რომ აღნიშნულ ბანკში საკუთარ ანგარიშებს დახურავდნენ: „ხვალ მოვალ სათავო ოფ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ორებს შესაძლოა, სასამართლოში უჩივლონ



ისში და დავხურავ ანგარიშს თქვენს ბანკში“... „საქართველოს ბანკში“ ანგარიში არ მაქვს, თორემ აუცილებლად დავხურავდი“... „ესენი ისევ აგრძელებენ დისკრიმინაციული შინაარსის რეკლამებს“... „დღევანდელ საქართველოში „ცოლკომატი“ უფრო აქტუალურია“... „მსგავსი რეკლამის შექმნა, თანაც იმ დროს, როდესაც ფემიციდის ამდენი შემთხვევა დაფიქსირდა და ძლივს დაიწყო საჯარო დისკუსიები ქალების უფლებებზე, ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა თქვენი ბანკის მხრიდან“...

„საქართველოს ბანკის“ რეკლამა სპეციალისტებმა კატეგორიულად უარყოფითად შეაფასეს მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყანაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქალზე ძალადობის რიცხვმა ლამის ყველა რეკორდი მოხსნა და მაშინ როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა ქალების როლის გაძლიერებისკენ არის მიმართული და ამისთვის არაფერს იშურებენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მართავს კამპანიას ძალადობის წინააღმდეგ, იუსტიციის მინისტრი ქალებისთვის კვოტების კანონით დადგენას პარლამენტსა და პარტიებში მხარს უჭერს, არასამთავრობები შეხვედრებს მართავენ პოლიტიკოსებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან თემებით, როგორ უნდა დაძლიოს ქვეყანამ ძალადობა... მოკლედ, მაშინ როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ერთი მიზნისკენ: როგორმე შემცირდეს NDI-ს გამოკითხვის შედეგად მიღებული 65%-იანი მაჩვენებელი იმ ადამიანებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი ბავშვის დედა უმჯობესია, უმუშევარი იყოს, „საქართველოს ბანკი“ სწორედ საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევა.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ რეკლამა, გარდა იმისა, რომ დისკრიმინაციულად აღიარეს, რეალობასაც ნაკლებად შეესაბამება. ამის დასამტკიცებლად კვლევებზე თვალის ერთი შევლებაც კი კმარა. „Economist Intelligence Unit“-ის ჩატარებული მონაცემებით, ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით საქართველო პირველია კავკასიის რეგიონში. იგივე შინაარსის კვლევები ჩაატარეს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებმა. კვლევაში აღნიშნული რეგიონის 29 ქვეყნიდან საქართველო მეთვრამეტე ადგილზეა და ის უსწრებს მოლდოვას, სომხეთს, თურქეთს, რუსეთს, აზერბაიჯანს, ტაჯიკეთს, უზბეკეთსა და სხვა. ანგარიშში მოცემულია სულ ასოცდარვა ქვეყნის მონაცემები.

„საქართველოს ბანკის“ რეკლამაზე საუბრისას აზრი მაინც ორად იყოფა. მაგალითად, არჩილ გამზარდია მიიჩნევს, რომ მსგავსი შინაარსის რეკლამები მსოფლიოს მასშტაბით არის აპრობირებული და მათზე ყურადღების გამახვილება უარეს შედეგს მოიტანს, ვიდრე თავად რეკლამა.

არჩილ გამზარდია, საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვის სპეციალისტი:

– თუ მაინცდამაინც ამ რეკლამაში აღმოვაჩენთ დისკრიმინაციულ ნიშნებს, მაშინ აქ მამაკაცის დისკრიმინაცია უფრო ხდება, რადგან ის გამოყვანილია, როგორც ფინანსური უზრუნველყოფის საგანი. სულაც არ ვფიქრობ, რომ ქალზე არის ამ რეკლამაში აქცენტი გაკეთებული. ასე თუ მივყვებით, ყველა რეკლამაში შეიძლება დისკრიმინაციული დეტალების დანახვა. ვთქვათ, კაცი თუ მოდის სამსახურიდან და მას სახლში ცოლი ხვდება, აქაც შეიძლება დავინახოთ დისკრიმინაციის ნიშნები, ქალი თუ მოვა სამსახურიდან და მამაკაცი დახვდება სახლში, აქაც შეიძლება დისკრიმინაციის ნიშნების დანახვა.

– ანუ თქვენ არ მიგაჩნიათ მსგავსი რეკლამები მაინცდამაინც საგანგაშოდ?

– კარგია, რომ საზოგადოება საუბრობს ამ თემებზე, ადამიანებს მოუწოდებს, უფრო ფრთხილად იყვნენ, რომ სტერეოტიპულ კლიშეებში ჩასმულ აზროვნებას არ დაედოს საფუძველი, მაგრამ მთელ მსოფლიოში არსებობს ასეთი ტიპის უამრავი რეკლამა. მგონია, რომ ჩვენ ცოტა გაზვიადებულად აღვიქვამთ ბევრ რამეს. იპოვო იდეალური ზღვარი და გაიარო ბეწვის ხიდზე, ძალიან რთულია. შარჟიც და იუმორიც შეიძლება აღიქვა დისკრიმინაციად, ვფიქრობ, ასეთი მიდგომა – ყველაფერში დისკრიმინაცია დავინახოთ, უფრო უწყობს ხელს დისკრიმინაციის გაძლიერებას, ვიდრე რეკლამები. მე ასე მტკივნეულად ნამდვილად არ აღვიქვამდი ამ რეკლამას. ისეთი შეფასებები, როგორიც სახალხო დამცველმა გააკეთა, უფრო ხელოვნურად და გაზვიადებულად მიმაჩნია. ამ ბოლო დროს მოდურად იქცა დისკრიმინაციისა და სექსიზმის ნიშნების დანახვა. ბუნებრივია, დისკრიმინაციის გამოვლენებას საზოგადოება უნდა ებრძოლოს, მაგრამ ასეთი ხელოვნური ფორმები რამდენად იდეალური გადაწყვეტაა, არ ვიცი. დასაფიქრებელია, ასეთ დამოკიდებულებას უფრო მეტი ზიანი მოაქვს თუ განსაკუთრებული ეფექტების მქონე რეკლამებს.

– თქვენ ამბობთ, რომ ყურადღების გამახვილება შეიძლება უფრო უარყოფითი შედეგის მომტანი იყოს?

– როდესაც არაადეკვატურად ხდება რაიმეზე ყურადღების გამახვილება, ეს თავისთავად ქმნის ბიძგს ამ ნეგატივის მიმართ. მახსოვს, ადრე იგივე რეაქცია მოჰყვა ელიტ ელექტრონიქსის რეკლამას, თუმცა იმ რეკლამაშიც შეგვეძლო კაცის დისკრიმინაციის ნიშნების დანახვა, რადგან კაცი გამოყენებული იყო ნივთიერი შემოსავლის და ფინანსური კეთილდღეობის მომტან ობიექტად.

არჩილ გამზარდიასგან განსხვავებით, უფლებადამცველებისთვის მსგავსი რეკლამები ისეთ ქვეყანაში, სადაც ქალებზე ძალადობის ფაქტები ისედაც მრავლადაა, კატეგორიულად მიუღებელია.

ბაია პატარაია, უფლებადამცველი:

– ჩვენი, ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონი გვაძლევს საშუალებას, რომ ომბუდსმენმა საკუთარი ინიციატივით გამოსცეს ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები. რეკლამის შემთხვევაში ძალიან ძნელია ერთი კონკრეტული დაზარალებულის პოვნა. ჩვენ მივმართეთ ომბუდსმენს, მივუთითეთ კონკრეტული მუხლები, დავასაბუთე, რომ რეკლამა არის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი საზოგადოებაში და დიდწილად განაპირობებს აზრის ფორმირებას. შესაბამისად, თუ რეკლამა აკნინებს რომელიმე სქესის, ამ შემთხვევაში ქალის როლს, მას შეიძლება მოჰყვეს ძალიან ცუდი შედეგები. ასეთი ტიპის რეკლამამ შეიძლება გაამყაროს დისკრიმინაცია, სექსიზმი და „საქართველოს ბანკის“ „ქმარკომატი“ სწორედ ასეთია. რეკლამა არის ისეთი პროდუქტი, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია, მათ შორის ბავშვისთვისაც, მით უფრო, ეს არის პროდუქტი, რომელიც მარტივად ილექება ადამიანის ცნობიერებაში, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ის არ უნდა იყოს დისკრიმინაციული. ომბუდსმენმა იმსჯელა, განიხილა ჩვენ მიერ წარდგენილი არგუმენტები და გამოსცა ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტია, რადგან კომპანიებს, ზოგადად, ძალიან უყვართ სექსისტური რეკლამების გამოყენება და პრაქტიკულად ომბუდსმენის რეკომენდაცია გაფრთხილებაა ბევრი კომპანიისთვის. თუ ისინი „საქართველოს ბანკის“ მსგავს რეკლამებს მიმართავენ, მათთან მიმართებაშიც ანალოგიური შედეგები დადგება.

– რადგან რეკომენდაციაა, „საქართველოს ბანკს“ რაიმე ტიპის ვალდებულება მაინც ეკისრება? თუნდაც გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგებზე დასწრება...

– როდესაც აღნიშნული კანონის მიღება ხდებოდა, არასამთავრობო სექტორის ყველაზე დიდი პრეტენზია სწორედ ის იყო, რომ ომბუდსმენს საშუალება ჰქონოდა, დაეჯარიმებინა კერძო კომპანიები. ეს პარლამენტმა არ დათმო და რეალურად ომბუდსმენს მხოლოდ რეკომენდაციის მიცემის უფლება დაუტოვეს. ანუ ომბუდსმენს სანქციის დანესების უფლება არ აქვს, რაც მიგვაჩნია, რომ არის კანონის დანაკლისი.

– ანუ „საქართველოს ბანკს“ შეუძლია რეკომენდაციის მიღების მიუხედავად, მაინც გააგრძელოს აღნიშნული შინაარსის რეკლამების შექმნა და გავრცელება?

– დიახ, შეუძლია. თუმცა თუ გაგრძელებს, ჩვენ აუცილებლად წავალთ სასამართლოში.

– ამ შემთხვევაში დაზარალებულად ვინ წარდგება?

– ეს გაცილებით რთული პროცესი იქნება, რადგან უნდა დავამტკიცოთ, რომ კონკრეტულ ადამიანს მიადგა ზიანი ამ რეკლამით. თუ „საქართველოს ბანკი“ არ გაიზიარებს რეკომენდაციას, ასეთ შემთხვევაში საქმეს პირდაპირ სასამართლოში წავიღებთ და ჩავთვლი, რომ უშუალოდ მე ვარ მომჩივანი და პირადად მე მომადგა ზიანი.

ბაია პატარაია: „თუ „საქართველოს ბანკი“ არ გაიზიარებს რეკომენდაციას, ასეთ შემთხვევაში საქმეს პირდაპირ სასამართლოში წავიღებთ“

უჩა ნანუაშვილი: „საქართველოს ბანკმა“ თავი შეიკავოს სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება-გავრცელებისგან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზამთრის სათხილამურო სეზონი იწყება

პირველად გუდაურის ფესტივალის სახეს მიიღებს

განახლებული გუდაური 20 დეკემბერს გრანდიოზულად გაიხსნება

ეკა ჩიკვაიძე

საქართველოში ზამთრის კურორტები დამსვენებლების და ტურისტების მისაღებად უკვე მზად არიან. 20 დეკემბრიდან სტარტს გუდაური აიღებს და სეზონი გრანდიოზულად, უამრავი სიურპრიზით გაიხსნება. გუდაურის ისტორიაში პირველად, გახსნის ცერემონია ფესტივალის სახეს მიიღებს და უამრავ სტუმარს უმასპინძლებს. გრანდიოზული გახსნისთვის მზადება საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ ორი თვის წინ დაიწყო. ასე რომ, გუდაურში ჩასულებს უამრავი სიურპრიზი გელოდებათ. დაგეგმილი ღონისძიება შუა დღის პირველი საათიდან დაიწყება და გვიანობამდე გასტანს. გუდაურის გახსნაზე დასასწრებად და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველებისთვის უფასო ავტობუსები თბილისიდან და ქუთაისიდან გავლენ. ყველაფერი თხილამურებით იწყება - პროფესიონალი მოთხილამურეები მეორე ტრასიდან ერთდროულად ფერადი ბოლებით დაეშვებიან. ამას მოჰყვება შეჯიბრი კამერებით დაშვებაში, რომელში მონაწილეობასაც იქ ჩასული სტუმრები მიიღებენ. შეჯიბრი იქნება ასევე ფეინთბოლშიც. გამარჯვებულ გუნდებს კი ადგილზე გადაეცემათ პრიზები და სიგელები. შეჯიბრებებში მონაწილეობის მსურველებმა აუცილებლად წინასწარ, სოციალურ ქსელში უნდა გაიარონ რეგისტრაცია. სხვადასხვა ადგილებში დასასვენებელი სივრცეები მოეწყობა. განთავსდება ცეცხლის კასრები სადაც სტუმრებს დასვენების და გართობის საშუალება ექნებათ. გარდა ამისა, დაიდგმება 4 მეტრის სიმაღლის ნაძვის ხის ფორმის კონსტრუქცია. სტუმრებს სხვადასხვა ფერის ნეონის ბურთები დაურიგდებათ, რომლებსაც ნაძვის ხეს

ესვრიან, მიეკრობა და შემდეგ ეს ყველა ნეონის სათამაშო განათდება, რაც მთავარია, და რაც ამ ღონისძიებას ფესტივალის ელფერს ყველაზე მეტად ანიჭებს. მთელი დღის განმავლობაში სტუმრების განწყობაზე 4 ქართველი DJ იზრუნებს, რომლებიც ღონისძიების დასრულებამდე ერთმანეთს შეენაცვლებიან. ღონისძიების დასასრულს კი მოთხილამურეები ანთებული ჩირაღდნებით დაეშვებიან. მოკლედ, ეს კიდევ ყველაფერი არ არის, ამაში, გახსნაზე ჩასულები აუცილებლად დარწმუნდებით. ყველაზე მთავარი კი, ალბათ, ის არის, რომ არც გახსნის ცერემონიას და არც მომავალში დამსვენებლებს, ამინდი ხელს აღარასდროს შეუშლის. წელს გუდაური დამსვენებელს ხელოვნური გათოვლიანების სისტემით დახვდება. გარდა ამისა, გაგანიერდა და ქვებისგან გაიწმინდა გზები, რაც სრიალის მოყვარულებს აქამდე დიდ პრობლემებს უქმნიდა. გუდაურში წელს ახალი პოლიციის შენობაც გაიხსნა და ის, რაც აქამდე ჯერ არასდროს ყოფილა - ჯანდაცვის სამინისტრო სპეციალურად გუდაურის დამსვენებლებისთვის **EMERGENCY**-ს გახსნის. განახლებული საიტი კი **www.gudauri.com** და აპლიკაცია სმარტფონებისთვის მოგაწვდით ყველანაირ ინფორმაციას კურორტის ამინდის, სასტუმროების თუ სხვა თქვენთვის საინტერესო თემების შესახებ. ყველაზე დიდი ნოვაცია ბილეთებთან დაკავშირებით გელით. ახალი სეზონიდან დამსვენებლებს შესაძლებლობა ეძლევათ გუდაურსა თუ ბაკურიანში ერთი და იგივე აბონიმენტით ისარგებლონ.

ანა გულდედავა (ტურიზმის ადმინისტრაციის შიდა ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს სპეციალისტი): ჩვენი ყველა სეზონის გახსნა ინდივიდუალურია. ყოველ წელს გვინდა, რომ მეტი და მეტი სიახლე შევიტანოთ ჩვენს გახსნაში. ამიტომ წელს გუდაურში განსხვავებული სეზონის გახსნა გვექნება. ფესტივალის სახე მივეცით, რადგან საზოგადოების ჩართულობა გვინდა მაქსიმალურად. შესაბამისად, ხელს ვუწყობთ შიდა ტურიზმის სტიმულირებას. ყველაფერი ჩვენი შემუშავებულია, მთელი ღონისძიება და ყველა დეტალი ჩვენი გუნდის მოფიქრებულია. ისეთი ატმოსფერო იქნება, რომ ნებისმიერი ადამიანი გაერთობა: კარგი მუსიკა, ბევრი სასმელი და ყინულის მოედანზე ფიგურული სრიალი მოეწყობა, ღონისძიებას კი გრანდიოზული კონცერტი დაასრულებს. სპორტული და კულტურული აქტივობებია დაგეგმილი მესტიაშიც. აქ შეჯიბრი, გარდა მოყვარულებისა, უკვე პროფესიონალ მოთხილამურეებს შორისაც გაიმართება. საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის ინიციატივით გათამაშდება თეზო ჯაფარიძის სახელობის გარდამავალი „ზურულდის თასი“.

ა.შ. სეზონის გახსნაზე უამრავი სიურპრიზი იქნება, ვისაც უნდა, რომ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღონ, უნდა დარეგისტრირდნენ. ჩვენს ფეისბუქგვერდზე გვაქვს „ივენთი“ გაკეთებული და უნდა გამოგზავნონ სახელი, ასაკი და ტელეფონის ნომერი. რაღაც მონაკვეთზე მოეწყობა სტარტის და ფინიშის ხაზები. ათკაციანი ჯგუფები ერთმანეთს შეეჯიბრებიან და შუშხუნების ფონზე გამარჯვებული გუნდები ჩვენი სპონსორების მიერ დაწესებული პრიზებით დაჯილდოვდებიან.

გუდაურის სეზონის გახსნას ბაკურიანის და მესტიის სეზონის გახსნაც მოჰყვება. 27 დეკემბერს ღონისძიებები ერთდროულად ბაკურიანსა და მესტიაში გაიმართება. ბაკურიანში სტუმრებს პარკის ტერიტორიაზე ელოდებიან, რომელიც სადღესასწაულო დეკორაციებით მოირთვება. აქაც სხვადასხვა სახის მხიარული შეჯიბრებებია დაგეგმილი. მონაწილეებს ყველაზე გამორჩეული „თოვლის ბაბუის“ გაკეთება დაევალებათ, რასაც სპეციალურად შერჩეული ჟიური შეაფასებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილის ახირებას შეწირუ

მარიამ ნადირაძე

„პოლიციის თანამშრომლები მათ ტერიტორიის სასწრაფოდ დატოვებას სთხოვდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მეორე აფეთქებაც მოსალოდნელი იყო. თვითმხილველების ვარაუდით, ასეთ მოწოდებას პოლიციელები ბავშვის ცხედრის გადამალვის მიზეზით აკეთებდნენ“

ეს ამბავი ზუსტად ხუთი წლის წინათ მოხდა. მაქსიმუმ ნახევარი წლის განმავლობაში იყო განსჯის, ვიშვიშის, ქულების ჩაწერისა თუ თავის მართლების საგანი, მაგრამ შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ იმ ოჯახის ტრაგედიის ჩარჩოებში დარჩა, რომელმაც სააკაშვილის ახირების გამო ორი წევრი დაკარგა – 10 წლის ნინო ჯინჭარაძე და მისი დედა, 37 წლის ეკა ცუცხვაშვილი.

დარწმუნებულნი ვართ, ჩვენს მკითხველს დღესაც აინტერესებს, რა გაგრძელება ჰქონდა ისტორიას, რამაც საკუთარი სახლის ეზოში მდგარი პატარა გოგონას სიცოცხლე შეიწირა, რომელიც საკუთარი მობილური ტელეფონით სახლთან ახლოს მდებარე მემორიალის აფეთქებას იღებდა. სწორედ იქ დამთავრდა კადრიც და პატარა „ოპერატორის“ სიცოცხლეც, როცა „ობიექტივის“ მიმართულებით უზარმაზარი ქვების ხროვა გამოემართა...

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, ვინ აგო პასუხი მაშინ დედა-შვილის გარდაცვალების გამო და შეცვალა თუ არა ამ ტრაგედიამ მაშინ რამე პრეზიდენტის მორალში, რომელმაც, როგორც ჩვეოდა, გარეგნულ „ფანდებს“ მიმართა – დანიაში ვიზიტი შეწყვიტა და მკაცრი ბრძანება გასცა, დასჯილიყო ყველა, ვისაც ამ ტრაგედიაში წვლილი მიუძღოდა.

მაშ ასე, ვინ და რა დოზით აგო პასუხი 10 წლის გოგონას სიცოცხლის მოსწრაფების გამო?

სად არიან რეალური დამნაშავეები და როგორ აგრძელებს ცხოვრებას უდანაშაულო მსხვერპლის გარეშე დარჩენილი ოჯახი?

თუმცა მანამდე ვნახოთ, რას წერდა მაშინდელი პრესა ცხელ კვალზე: „ ტრაგედიის ადგილზე მისული გარდაცვლილის მამა, სოსო ჯინჭარაძე შველას ითხოვდა, – „შვილი მომიკლეს, ხალხო, რა მეშველება?“

...„ქუთაისში პარლამენტის მშენებლობას წინ ვერავინ დაუდგება“, – ამბობს ქუთაისში პარლამენტის გადატანის ინიციატივის ერთ-ერთი ავტორი, საპარლამენტო უმრავლესობის (მაშინდელი უმრავლესობის. – მ.ნ.) წევრი აკაკი ბობოხიძე, რომელიც ტრაგედიაში მოსახლეობის ბრალეულობაზეც ამახვილებს ყურადღებას.

ისტორია კი ასეთია, 19 დეკემბერს, დაახლოებით 16:00 საათზე, ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი გამარჯვების მემორიალი ააფეთქეს. ქალაქში მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. მოგვიანებით დადასტურდა, რომ ადგილზე დაიღუპა მცირეწლოვანი ნინო ჯინჭარაძე, ხოლო მოგვიანებით საავადმყოფოში დედამისი – ეკა ცუცხვაშვილი.

სხეულის დაზიანებები მიიღო მემორიალის სიახლოვეს მცხოვრებმა კიდევ რამდენიმე ადამიანმა, რომლებსაც სასწრაფო დახმარების ბრიგადები ადგილზე დაეხმარნენ.

მემორიალის დემონტაჟი კი 12 დეკემბერს დაიწყო. აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი პარლამენტი უნდა აშენდეს, მაგრამ, როგორც მედიასაშუალებები ადგილობრივ მუშებზე დაყრდნობით იუწყებოდნენ, საბოლოოდ მემორიალი 21 დეკემბერს, პრეზიდენტის დაბადების დღეზე უნდა აეფეთქებინათ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მემორიალთან ცოცხალი ჯაჭვის გაკეთება განიზრახეს, სავარაუდოდ, ამიტომ დაჩქარდა დემონტაჟის პროცესი.

...ავტოქარხნის დასახლებაში სამართალდამცავები 19 დეკემბერს, დაახლოებით 14:00 საათზე გამოჩნდნენ. ისინი აფრთხილებდნენ მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომ მათ სასწრაფოდ დაეცალათ საცხოვრებელი სახლები. 16:00 საათზე შპს „საქფეთქმრეწვმა“ 27-მეტრიანი ბეტონის კონსტრუქცია (რაც „გამარჯვების მემორიალის“ ერთკვირიანი დემონტაჟის შედეგად დარჩა) ააფეთქა. აფეთქებისას ბეტონის ნამსხვრევები რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, საცხოვრებელი სახლების მიმართულებით გადაცვივდა. სწორედ ამან გამოიწვია იქ მცხოვრები მოსახლეობის დაშავება და მსხვერპლი.

„ევაკუაცია რომ დაიწყეს, გამოგვიყვანეს ბინიდან, აფეთქება მოხდებაო და გამოვედით გარეთ – ქუჩაში, მოგვაშორეს ბინას და გავრბოდით „ბარაკებისკენ“. ამ დროს მოხდა აფეთქება. ეს საწყლები, ეზოში ყოფილან, სახლთან და ბავშვს ქვა მოხვედრია თავში და დაიღუპა. კმაყოფილია ახლა ჩვენი მთავრობა? რა ენაღვლებათ მაგათ? მაგათი შვილები არ მომკვდარან და! ეს არის მავნებლობა, რას აშავებდა ის ძეგლი იქ?“ – აცხადებდნენ თვითმხილველები...

„მე ქალაქიდან მოვედი იმ წუთში და პოლიცია არ მიშვებდა სახლში, ვიფიქრე, რაღაც ნივთებს მაინც გამოვიტან-მეთქი სახლიდან. ამ დროს მოხდა აფეთქება და ადგილზე რომ მივედი, დასისხლიანებული ხალხი ეყარა ძირს, თურმე ჩემი მეუღლეც იქ ყოფილა“, – ამბობს ერთ-ერთი დაშავებულის, ირაკლი ჯინჭარაძის მეუღლე. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა თავდაპირველად ავტოქარხნის საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო მოგვიანებით – დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში. ნინო ჯინჭარაძე კი ბავშვთა საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

ასევე, ადგილობრივი ჟურნალისტები თვითმხილველებზე დაყრდნობით ამბობენ, რომ აფეთქების შემდეგ პოლიციის თანამშრომლები მათ ტერიტორიის სასწრაფოდ დატოვებას სთხოვდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მეორე აფეთქებაც მოსალოდნელი იყო. თვითმხილველების ვარაუდით, ასეთ მოწოდებას პოლიციელები ბავშვის ცხედრის გადამალვის მიზეზით აკეთებდნენ.

ქუთაისში საბრძოლო დიდების მემორიალის აფეთქების შედეგად დარღვეული უსაფრთხოების ნორმების გამო სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, უბედური შემთხვევა უსაფრთხოების წესების დარღვევამ გამოიწვია“.

ცხელ კვალზე „საქფეთქმრეწვის“ 10 თანამშრომელი დაკავეს, მათ შორის ტექნიკური დირექტორი, ავთანდილ დარსაველიძე.

გენერალური პროკურორის მაშინდელი მოადგილე, დავით საყვარელიძე აცხადებდა, რომ სწორედ დარსაველიძე იყო უშუალოდ პასუხისმგებელი სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დაცვაზე, რაც მის მიერ არ იქნა შესრულებული.

ოპოზიციონერებმა ქუთაისში განვითარებულ მოვლენებს ვანდალური საქციელი უწოდეს და სასტიკად დაგმეს. მათ საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდეს, გუბერნატორის გარდა, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა იმ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნულ აფეთქებას პირადად ხელმძღვანელობდნენ.

რა თქმა უნდა, ძალოვნებს არავინ შეხებია...

„პრაიმტაიმი“ ამ შემთხვევიდან ზუსტად 5 წლის შემდეგ გარდაცვლილის მამას, სოსო ჯინჭარაძეს დაუკავშირდა. ჩვენს მკითხველს სწორედ მასთან ინტერვიუს შევთავაზებთ:

– ამ ტრაგედიამ მაშინ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია... მერე როგორ გაგრძელდა ეს ამბავი? ვინმე დაისაჯა თქვენი ცოლ-შვილის გარდაცვალების გამო?

– მე როგორც ვიცი, ყველაზე ქვედა რგოლიდან დასაჯეს, მგონი, სამი კაცი. ერთი წლითა და წელინადნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მაქსიმუმი ორი წელი იყო. ესენი იყვნენ ადამიანები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ მემორიალის აფეთქებაში.

– თქვენ, ალბათ, გამოძიების პროცესში დაზარალებულ მხარედ იყავით ცნობილი...

– დიახ...

– ესწრებოდით სასამართლო პროცესებს?

– მხოლოდ ერთხელ დავესწარი...

– რას ამბობდნენ განსასჯელები?

– ამბობდნენ, სასწრაფო დემონტაჟის ბრძანება მივიღეთ და დროის ამ მცირე მონაკვეთში ჩვენ ვერ მოვახერხებდით უსაფრთხოების ყველა წესის დაცვასო.

– ამბობთ დაბალი რგოლი დაისაჯაო... თქვენ სხვა მოლოდინები გქონდათ გამოძიებისგან?

– იქ რაც მოხდა, დაახლოებით ვიცით, მაგრამ ამის დევნის თავი ფიზიკურად არ მქონდა...

– რა მოხდა რეალურად? ვინ უნდა დასჯილიყო?

– უნდა დასჯილიყო ის, ვინც მემორიალის აფეთქება დააჩქარა. ის განსასჯელები ამბობდნენ, უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისთვის ჩვენ კიდევ სამი დღე გვჭირდებოდაო. ის სამი დღე არ დაიცადეს...

– თქვენი ოჯახი მართლა გააფრთხილეს, რომ იქაურობას უნდა გასცლოდნენ და სახლი დაეცალათ?

– ჩემები მაშინ სახლში იყვნენ. ჩემი ცოლი ბავშვს საჭმელს აჭმევდა. პოლიციამ ისინი სახლიდან გამოიყვანა და ეზოში დააყენა. სახლი თუ იყო საშიში, ეზოში დგომა არ იყო საშიში? მერე სხვა კუდები მოაბეს ამას, თითქოს თვითონ მოსახლეობა არ გავიდაო. ხომ იცით, როგორც წესი, დაბალზე ტყდება ჯოხი ყოველთვის.

– იმ პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხი გამოძიებას არ დაუყენებია?

– არა. არადა, ზუსტად პოლიციელებმა გამოიყვანეს. სახლში რომ დარჩენილიყვნენ, არაფერი მოხდებოდა. პოლიციელებს მათი ტერიტორიიდან გაყვანა რომ ნდომებოდათ, ვინ აღუდგებოდათ წინ?..

– თუმცა, პრეზიდენტმა ამ ამბის გამო გუბერნატორი გაათავისუფლა თანამდებობიდან...

– გუბერნატორზე მეტად თვითონ იყო ყველაფრის საქმის კურსში...

– ბრძანება ვინ გასცა დემონტაჟის დაჩქარებაზე, იცით?

– ეს მე არ ვიცი, ვინ მეტყვის ამას? მაგრამ ვისაც არ უნდა გაეცა ეს ბრძანება, ზუსტად ის უნდა დასჯილიყო, რადგან, დაგეგმილ დროში რომ მომხდარიყო აფეთქება, მოესწრებოდა მიწაყრილების გაკეთება საცხ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი 10 წლის ბავშვის სიცოცხლე

ვინ არის და რატომ არ დასაჯეს დედა-შვილის „მკვლელობაში“ მთავარი დანაშავე

EXCLUSIVE

ოვრებელი სახლების მხარეს და ეს ამბავიც არ მოხდებოდა.

– მგონი, თქვენი მეორე ქალიშვილიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, რომელიც მაშინ რვა წლის იყო... ის როგორ გადარჩა?

– ანი ჩემს დასთან ერთად იდგა სხვა ადგილას. მათაც მოხვდათ ნამსხვრევები, მხოლოდ მცირე რაოდენობის. ჩემს ცოლსა და ნინოს კი – ნამსხვრევების მთელი გროვა...

– აღარ გიფიქრიათ ამ საქმის განახლებაზე თუნდაც ახალი ხელისუფლების პირობებში?

– არ აქვს აზრი...

ამ შემთხვევის შემდეგ „ქრისტიან-დემოკრატები“ ინიციატივით გამოვიდნენ, რომ ტრაგედიის ადგილზე პარლამენტის ნაცვლად ტაძარი აშენებულიყო მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა და მემორიალის დემონტაჟის დროს დაღუპული დედა-შვილის სულების მოსახსენებლად.

„პრაიმტაიმი“ ამ ისტორიისა და მისი სამართლებრივი გაგრძელების შეფასებისთვის, გიორგი ახვლედიანს დაუკავშირდა:

– როცა ეს ტრაგედია მოხდა, ბათუმში გვქონდა შეხვედრა. მაშინვე წამოვედით და მივედით იმ ოჯახში... ჩვენ თავიდანვე ვეწინააღმდეგებოდით ქუთაისში პარლამენტის გადმოტანას. ხელისუფლება ამბობდა, რომ ამ პროცესით განვითარდებოდა ქუთაისი. თუმცა, ჩვენ სხვა პროექტს ვთავაზობდით, თუნდაც ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევას, რაც გაცილებით მეტ სიკეთეს მოუტანდა ამ ქალაქს. თუმცა, სააკაშვილის ამ ახირების მთავარი და რეალური მიზეზი რეგიონის განვითარება კი არ იყო, არამედ ის, რომ ის დაიღალა თბილისში ოპოზიციის აქციებით პარლამენტის შენობასთან. თვლიდა, რომ სწორედ ამას აერიდებოდა პარლამენტის ქუთაისში გადატანით. აი, ამ ახირებას შეეწირა 350 მილიონი ლარი და დედა-შვილის სიცოცხლე. სიმართლე გითხრათ, როცა ეს საშინელი ტრაგედია მოხდა, იმედი გვქონდა, რომ ხელისუფლება ამის შემდეგ მაინც მოეგებოდა გონს და მიხვდებოდა თავის არასწორ პოლიტიკას. თუმცა, მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, გაათმაგებული ძალით შეუდგნენ ამ იდეის განხორციელებას...

– ალბათ, ამიტომაც ამბობდა კაკო ბობოხიძე – პარლამენტის ქუთაისში გადატანას ვერაფერი შეაჩერებსო...

– მეტსაც გეტყვით. ეს იდეა სწორედ აკაკი ბობოხიძის სახლში დაიბადა, როცა ქუთაისს სტუმრობდა სააკაშვილი. ბობოხიძის სახლში სუფრასთან, მათ გარდა, რამდენიმე ნაციონალი გოგონაც იმყოფებოდა. ქუთაისი პატარა ქალაქია და ასეთი ამბები არ იმალება. სწორედ ნასვამ მდგომარეობაში მყოფებმა გადაწყვიტეს, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ ქალაქში გადაიტანდნენ პარლამენტს. აი, ეს იყო მთელი მოტივაცია სააკაშვილისთვის. სხვა არაფერი. ამისთვის გამოყვეს 350 მილიონი ლარი. ამის გარდა, მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთკომუნიკაცია თვეში დაახლოებით 10 მილიონი ჯდებოდა. ეს კი ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილს უნდოდა თბილისიდან ეს საპროტესტო მუხტი გაეტანა...

– თუ გახსოვთ ტრაგედიის კონკრეტული დეტალები. ამბობენ, რომ მემორიალის დემონტაჟი დაჩქარდა იმიტომ, რომ დაგეგმილ დროს, სააკაშვილისა და სტალინის დაბადების დღეს, 21 დეკემბერს, არასამთავრობოები მემორიალთან ცოცხალი ჯაჭვის გაკეთებას აპირებდნენ. სწორედ ამიტომაც დაჩქარდა პროცესი და დემონტაჟი მოხდა სამი დღით ადრე, რის გამოც უსაფრთხოების წესების სრულად დაცვა ვერ მოხერხდა...

– ამ ვერსიის გარდა, სხვაც იყო: სააკაშვილს ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ ამ მემორიალის აფეთქებით სიმბოლურად აეფეთქებინა საბჭოური, რუსული წარსული... ეს ხომ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი იყო... კარგად მახსოვს, როდესაც აფეთქების დროს დედა-შვილი დაიღუპა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები პარლამენტში თავს იმართლებდნენ, აფეთქება კი არ გვინდოდა, მემორიალის აგურ-აგურ დაშლას ვემხრობოდითო... ამას, ალბათ, მეტი დრო სჭირდებოდა. სააკაშვილს კი საგარეო კურსის ასეთი სახით დემონსტრირება ძალიან ეჩქარებოდა... ამ მისწრაფებას შეწირული პატარა ბავშვის სიცოცხლემაც ვერ გადააფიქრებინა საკაშვილს თავისი ახირების განხორციელება. არადა, მახსოვს ის საშინელი კადრები: ეს გოგონა საკუთარი სახლის ეზოდან თვითონ იღებდა აფეთქების პროცესს. იმ კადრებში კი ჩანს, როგორ ხვდება მობილურს შავი მასა... ეს შემზარავი რამ იყო. მხოლოდ 6 თვე ახსოვდა ქვეყანას ეს ტრაგედია. ხელისუფლებისთვის პასუხის მომთხოვნი ვინ იყო?

– პასუხი აგეს კონკრეტულად „ამფეთქებლებმა“... სულ ცოტა, მორალური პასუხისმგებლობა ხელისუფლებას არ უნდა აეღო?

– ბუნებრივია, უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის უნდა ეგოთ პასუხი კონკრეტულ პირებს. თუმცა იმის იქით გამოძიება არ წავიდოდა. მემორიალის დემონტაჟის დროს ჩადენილი დანაშაული ისევეა იმ ხელისუფლების კისერზე, როგორც 26 მაისის, 7 ნოემბრის, გირგვლიანის, რობაქიძისა და სხვათა საქმეები.

ისინი რომ ამ საქმეებს არ გამოიძიებდნენ, ცხადი იყო. საკუთარ დანაშაულს არავინ გამოავლენდა. მაგრამ საკვირველია, ეს რომ არ ხდება ახალი ხელისუფლების პირობებში. ეს ხომ ერთ-ერთი ის საქმე იყო, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა?!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პატარა გოგონასა და მისი დედის სიცოცხლე, რომელთა ფოტოებსაც ახლა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უყურებს მკითხველი, ყოფილი პრეზიდენტისა და მისი „ძალიან მონდომებული“ ხელქვეითების ახირებებს შეეწირა. ამ ახირების ავტორებს კი დღეს იქნებ არც კი ახსოვდეთ, რომ ამ ქვეყანაზე ცხოვრობდა 10 წლის ნინო ჯინჭარაძე, რომელმაც თავად გადაიღო საკუთარი სიკვდილი, რომელიც თავისი ქვეყნის ხელისუფალმა ქვების გროვის სახით გაუგზავნა.

„ტრაგედიის ადგილზე მისული გარდაცვლილის მამა, სოსო ჯინჭარაძე შვილას ითხოვდა, – „შვილი მომიკლეს, ხალხო, რა მეშველება?“

„ეს იდეა სწორედ აკაკი ბობოხიძის სახლში დაიბადა, როცა ქუთაისს სტუმრობდა სააკაშვილი. ბობოხიძის სახლში სუფრასთან, მათ გარდა, რამდენიმე ნაციონალი გოგონაც იმყოფებოდა. ქუთაისი პატარა ქალაქია და ასეთი ამბები არ იმალება. სწორედ ნასვამ მდგომარეობაში მყოფებმა გადაწყვიტეს, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ ქალაქში გადაიტანდნენ პარლამენტს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ადამიანები ქუ

„არ მივცემ უფლებას, რომ თავიანთი შეცდომის გამო, ჩემს შვილს სარეაბილიტაციო კურსი შეუწყვიტონ“

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

2015 წლიდან სოციალურად დაუცველებისთვის სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდი ამოქმედდება. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, სტატუსის განსაზღვრის დროს მთავარი ყურადღება მიექცევა ოჯახების შემოსავალს და არა ხარჯებს. ქულებზე გავლენას, ასევე, არ იქონიებს სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასება და ოჯახის საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

სანამ ახალი რეგულაციები ამოქმედდება, სხვადასხვა რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოებთან უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეების რიგი დგას. „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ რეპორტაჟს ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

ეს დაწესებულება თემქაზე, გამგეობის ყოფილ შენობაშია განთავსებული. ნახევრად დანგრეული შენობის ნაწილში დევნილები ცხოვრობენ, ნაწილი კი გამგეობის რამდენიმე სამსახურს აქვს დაკავებული. ჩვენი იქ ზუსტად იმ დროს მივედით, როდესაც მთელ შენობაში ელექტროენერგია გათიშული იყო და ათობით ადამიანი მეორე სართულზე ჩაბნელებულ დერეფანში ელოდა შუქის მოსვლას. რიგში ძირითადად მოხუცები დგანან, სიბნელეში ერთ-ერთი ქალბატონი გამოვარჩიეთ. გვიყვება, რომ მეუღლესთან ერთად გარაჟში ცხოვრობს, ერთი წლის წინათ კი სოციალური დახმარება მოუხსნეს.

ქეთევან ზურაშვილი, 68 წლის:

– რამდენი ხანია, აქ ვართ. შუქი არ არის და ველოდებით. დავდივარ ტყუილად და პასუხს არავინ იძლევა. სოციალური დახმარება მოგვიხსნეს, მოვედი, იქნებ აღმიდგინონ, განცხადება მინდა დავწერო, მაგრამ შუქი არ არის. მძიმე ქრონიკული დაავადება მაქვს, წამლის ფული მაინც ხომ გინდა ადამიანს არა? ერთი წამალი 56 ლარი ღირს. როგორ ვიმკურნალო, გეკითხებით.

– როდის მოგიხსნეს სოციალური დახმარება?

– 2013 წელს.

– სად ცხოვრობთ?

– თემქის მე-4 მიკრორაიონში, მე და ჩემი მეუღლე გარაჟში ვცხოვრობთ. ასეთი ეკონომიური მდგომარეობის გამო შვილს ოჯახი დაენგრა. მე და ჩემი მეუღლე იძულებული გავხდით, გარაჟში მოგვეწყო ბინა. შეგვამოწმეს და არასწორად მოგვანიჭეს ქულები. პენსიასაც ვეღარ ვიღებთ, რადგან კრედიტი გვქონდა გამოტანილი და პენსიიდან გვაჭრიან. არანაირი საარსებო წყარო აღარ გვაქვს. ასე უფლის იმედად ვარ მხოლოდ. მინდა ხელახლა გადაგვამოწმონ, ნახონ, რეალურად რა გაგვაჩნია.

სოციალური დახმარება ორი წლის წინათ მოუხსნეს 76 წლის ზაურ აბუთიძესაც. ამბობს, რომ ახლა მთელი ოჯახი მისი და მისი მეუღლის პენსიით ირჩენს თავს.

„სოციალურ დახმარებაზე ვარ მოსული. ადრე მქონდა და ორი წლის წინათ მომიხსნეს. მაღალი ქულა დამიწერეს. არანაირი შემოსავალი არ გაგვაჩნია. ჩემი და ჩემი მეუღლის პენსიით გაგვაქვს თავი მთელ ოჯახს. სამუშაოები არ არის, შვილი და რძალიც უმუშევრები არიან. მაინტერესებს, რა უნდა ქნან ჩვენნაირმა ადამიანებმა. აქ ვზივარ და ველოდები. შუქიც არ არის, რომ ბაზაში შეამოწმონ“, – ამბობს 76 წლის მამაკაცი.

საუბარში შავებში ჩაცმული ხნიერი ქალბატონი გვერთვება და მთხოვს, მისი გასაჭირიც მივიტანო მკითხველამდე. ინტერვიუს დროს ტირილს ვერ იკავებს, – თუ დახმარებას ამჯერადაც არ გამომიყოფენ, თავის მოკვლის მეტი აღარაფერი დამრჩენიაო.

სულიკო ფოლადაშვილი, 77 წლის:

„ორი შვილი მყავდა, ერთი 35 წლის ასაკში დამეღუპა. უფროსი ბიჭთან და შვილიშვილთან ერთად ქირით ვცხოვრობ, რადგან სახლი დავკარგეთ. ეს ჩემი პენსია არ ვიცი, რას მოვახმარო, ძალიან გვიჭირს ქირის გადახდა, არადა ქუჩაში ხომ ვერ ვიცხოვრებთ. სულ მაღალ ქულებს წერენ, არ ვიცი, ასე რატომ აკეთებენ. ახლა მოვედი, რომ კიდევ ერთხელ გადამამოწმონ. თუ კვლავ მაღალი ქულები დაწერეს და დახმარება არ დაგვინიშნეს, გადავისხამ ბენზინს და თავს დავიწვავ, აბა, რა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას. დავიღალე უკვე. როგორც კი პენსიას ვიღებ, ეგრევე ქირის ფულს ვიხდი, ჩემს შვილს 200 ლარამდე აქვს ხელფასი. ეს არის სულ ჩვენი შემოსავალი. სამი წელი დავდივარ და ქულა არ მაღირსეს“.

„გადავისხამ ბენზინს და თავს დავწვავ, აბა, რა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას. დავიღალე უკვე“

ჩაბნელებულ დერეფანში საკუთარ რიგს ელის 47 წლის მაია ხონელიძეც. ის აფხაზეთიდან არის დევნილი. ამჟამად 11-სულიანი ოჯახი სარდაფში ქირით ცხოვრობს. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, უფასო სამგზავრო ბარათი დაუბლოკეს და ახლა მისი აღდგენა სურს.

„აფხაზეთიდან დევნილი ვარ. 20 წელი ხან სად ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში, ხან – სად. სოციალური დახმარება მომიხსნეს იმის გამო, რომ გადამისამართება ვერ მოვასწარი. ახლა მოვედი, საბუთები მოვიტანე, მაგრამ რად გინდა? შუქი არ არის. დილიდან ასე ველოდებით ამდენი ხალხი. ჯანდაცვის სამინისტროს რომ მივმართე, მითხრეს, – მოსკოვის პროსპექტზე კარვების თავშესაფარში წადიო. 5 პატარა გვყავს ოჯახში, სად წავიყვანო, იმ „პალატკებში“? თვითონ აცხოვრებენ თავის ოჯახს იქ? ამჟამად „პადვალში“ ვცხოვრობთ ქირით. სულ 11 სული ვართ ოჯახში. კვირაში ერთი დღე დამლაგებლად მივდივარ ხოლმე და ორ კაპიკს ვშოულობ, ხან ესეც არ არის. დევნილთა დახმარება გვერიცხება და ცოტას ეგ თუ გვშველის, თორემ აქამდე რა უნდა გვექნა, არ ვიცი. უფასო სამგზავრო ბარათები გვქონდა და ეგეც დაგვიბლოკეს, ახლა მოვედი, რომ განცხადება დავწერო და ეს ბარათები აღგვიდგინონ, ტრანსპორტში მაინც რომ არ დაგვეხარჯოს ფული. ნახირივით ვყრივართ აქ უშუქობაში, რა გახდა, ერთი გენე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბის მოლოდინში

რეპორტაჟი სოციალური მომსახურების საგენტოდან

„მე და ჩემი მეუღლე იძულებული გავხდით, გარაჟში მოგვეწყო ბინა. შეგვამოწმეს და არასწორად მოგვანიჭეს ქულები. პენსიასაც ველარ ვიღებთ, რადგან კრედიტი გვქონდა გამოტანილი და პენსიიდან გვაჭრიან“

„კორძაიასთან ვარ მოსული, შვილო. დამპირდა, ბინის დაკანონებაში დაგეხმარებიო, მაგრამ ახლა, როცა მოვდივარ, მემალება, სულ მეუბნებიან, აქ არ არისო“

რატორი მაინც რომ იყიდონ“.

დერეფნის მეორე ბოლოში ერთადერთი ნათურა ბჟუტავს. იქვე კართან ხნიერი ქალბატონი შევნიშნეთ, ყავარჯენს დაყრდნობია და უიმედო თვალებით შეჰყურებს კარზე გაკრულ აბრას წარწერით – ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, თამარ კორძაიას ბიურო. დავინტერესდით, რამ შეაწუხა ეს მოხუცი.

„კორძაიასთან ვარ მოსული, შვილო. დამპირდა, ბინის დაკანონებაში დაგეხმარებიო, მაგრამ ახლა, როცა მოვდივარ, მემალება, სულ მეუბნებიან, აქ არ არისო. ამ ხნის ავადმყოფი ქალი ძლივს ამოვდივარ აქ და სულ ტყუილად. ლამის ერთი წელია დავდივარ. საბუთები მოვუტანე, დავუტოვე აქ, მაგრამ არანაირი შედეგი. რატომ არ მხვდება, არ ვიცი. ისეთს ხომ არაფერს ვთხოვ, ჩემი საკუთარი ბინის დაკანონება მინდა. 83 წლის ვარ. ჩემი პენსიით გამაქვს თავი, მაგრამ ეს წამლის ფულშიც არ მყოფნის. სოციალური დახმარებაც მეკუთვნის, მაგრამ არ მაძლევენ, უფასო სასადილოში მინდოდა ჩაწერა, საჭმელი მაინც რომ ამეღო, მაგრამ იქაც უარი მითხრეს. ძალიან მიჭირს სიარული, აღარ შემიძლია“, – **ამბობს 83 წლის ლამარა ჩოგოშვილი.**

იმის გარკვევა, რა კრიტერიუმებით ხდება სოციალური დახმარებების გაუქმება და ქულების მინიჭება, ერთი სართულით ზემოთ, სამსახურის ხელმძღვანელობასთან ვცადეთ. ოთახის კართან რამდენიმე უკმაყოფილო ქალბატონი დგას, რომლებიც ცდილობენ, გაარკვიონ, როდემდე მოუწევდათ ჩაბნელებულ დერეფანში რიგში დგომა. კაბინეტში შეკრებილი რამდენიმე თანამშრომელი ჟურნალისტების გამოჩენამ გააღიზიანა, – შესვენების საათი გვაქვს, ვსადილობთ და რატომ შეგვაწუხეთო. ავუხსენი, რომ ქვემოთ უამრავი მშიერი ადამიანი შუქის მოსვლას ელოდება და უმჯობესი იქნებოდა, გაერკვიათ, როდემდე მოუწევდათ ლოდინი. სოციალური დახმარების მოლოდინში მყოფ მოქალაქეებსა და სამსახურის თანამშრომლებს შორის სიტყვიერ შელაპარაკებას შევესწარით. ოფიციალური კომენტარის გაკეთება კაბინეტში მჯდომთაგან არავინ ისურვა.

„აი, ასე დავდივარ და პასუხს არავინ გვცემს. შემოწმებაზე იყვნენ მოსულები, გამომკითხეს, ყოველწლიური შემოსავალი რამდენი გაქვსო, ვუთხარი, რაც გვაქვს. წელიწადში დაახლოებით 3000 ლარი, პლუს ჩემი ძმა, ინვალიდის პენსიით მეხმარება, წელიწადში 700 ლარამდე. ანუ, ჯამში, 3700 ლარი გამოდის წელიწადში-მეთქი. ამათ ნულები მიამატეს და ჩაწერეს, რომ 37 000 ლარი მაქვს ყოველწლიური შემოსავალი. ცხელი წყალი არ მაქვს და მაინც ჩაწერეს, რომ მაქვს, გათბობა არ მაქვს, ჩაწერეს, რომ მაქვს. უნარშეზღუდული შვილი მყავს, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და მკურნალობა ესაჭიროება. მე რომ 37 ათასი მქონდეს შემოსავალი აქ, ამ ჯურღმულში ვივლიდი და ამათ სამათხოვროდ გავიხდიდი საქმეს? ახლობლის ბინაში ვცხოვრობთ. ორი თვეა, დავდივარ, რომ მათ მიერ დაშვებული შეცდომა გამოასწორონ, მაგრამ სულ ტყუილად. ადამიანად არავინ გვაგდებს. საკუთარი ბინაც კი არ გვაქვს, ახლობლის ბინაში ვცხოვრობთ და იმის გამო, რომ ამხელა შემოსავალი ჩაწერეს შეცდომით, ახლა ჯანდაცვის სამინისტრო ბავშვის სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების შეწყვეტას აპირებს. სახლში ვცხოვრობთ მე, ჩემი მეუღლე, რომელმაც უსახსრობის გამო მეორე კურსიდან სწავლა შეწყვიტა, ერთი 8 წლის უნარშეზღუდული ბავშვი და მეორე 4 წლის. ოთხი წელი სოციალურად დაუცველთა ბაზაში ვიყავით, მერე ახლობლის ბინაში გადმოვედით და გადამისამართება რომ გავაკეთეთ, შეგვიწყვიტეს დახმარება. ამათზე მეტი განათლება მაქვს, მაგრამ რახან პატრონი არ მყავს, ვერ ვიშოვე სამსახური, ჯანდაცვის სამინისტროს სერტიფიცირებული ექიმი ვარ, მაგრამ უმუშევარი. დღეს სამათხოვროდ გამიხდა საქმე, ამათ არ მივცემ უფლებას, რომ თავიანთი შეცდომის გამო, ჩემს შვილს სარეაბილიტაციო კურსი შეუწყვიტონ“, – აღელვებული გვიყვება ახალგაზრდა ქალბატონი ელენე კვარაცხელია.

აი, ასეთი სურათი დაგვხვდა მხოლოდ ერთ რაიონში. ადამიანები ქულების მოლოდინში საათობით დგანან და არავინ იცის, როდის და რა პასუხს მიიღებენ.

სოციალური მომსახურების საგენტოში ირწმუნებიან, რომ ქულების მინიჭების საკითხი გადაიხედება. მათი ინფორმაციით, ბენეფიციარები ქულების მიხედვით რამდენიმე კატეგორიად დაიყოფიან. ოჯახები, რომლებიც 30 ათასი ქულით შეფასდებიან, 60 ლარს მიიღებენ თითოეულ წევრზე. 57 ათასი ქულით შეფასებულები – 50 ლარს. ასევე, ყველა კატეგორია ბავშვზე დანამატის სახით მიიღებს ათ ლარს. ათლარიან დანამატს ბავშვზე მიიღებენ 65-დან 100 ათასი ქულით შეფასებული ის ოჯახებიც, რომლებზეც მაღალი ქულების გამო საარსებო შემნეობა არ არის გათვალისწინებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2016 წლის არჩევნების

ქეთი ხატიაშვილი

წინა კვირას პარლამენტმა ბიუჯეტი განიხილა. კონსტიტუციის შემდეგ თავისი წონითა და მნიშვნელობით ეს მეორე დოკუმენტია. ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ბიუჯეტი ეკონომიკის კონსტიტუციაა. ეს არის დოკუმენტი, სადაც ასახულია ქვეყნის განვითარების ხედვა, შესაძლებლობები, პრიორიტეტები. ეს არის ის დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება გადაჰყვეს მთავრობა ან პარლამენტი, ეს უკვე პრეზიდენტის გადასაწყვეტია.

მაგრამ სულაც არ მიკვირს, რომ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვისა და კენჭისყრების დროს პარლამენტში არ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე. დავით უსუფაშვილი, ამ მხრივ, მართლაც გამორჩეული თავმჯდომარეა. ის ცდილობს, არც ერთ მნიშვნელოვან თემაზე საკუთარი პოზიცია არ დააფიქსიროს. ამიტომაც ასეთი სხდომები მანანა კობახიძეს მიჰყავს ხოლმე. მაგალითად, მოწმის დაკითხვის წესის გადავადებაც მანანა კობახიძემ წაიყვანა, ისევე როგორც ვეტოს დაძლევის სხდომა ფარულ მოსმენებზე და ახლა ბიუჯეტიც „შეაჩეჩეს“.

პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლემ, დეპუტატმა თინა ხიდაშელმა სოციალურ ქსელებში დაწერა: „და ბიუჯეტის კენჭისყრამ როდის აქეთ შეიძინა ასეთი მნიშვნელობა“. ხიდაშელის ეს მოსაზრება ექსპერტების ფართო სპექტრთან განვიხილეთ.... შეფასებები ტრაგიკულია – ყველას გაუჭირდა, აეხსნა, რას ნიშნავდა ხიდაშელის ასეთი დამოკიდებულება ბიუჯეტთან. იურისტების აზრით, ამით დეპუტატმა პარლამენტში კენჭისყრების მნიშვნელობა დააყენა ეჭვქვეშ. მოკლედ, დეპუტატმა, რომელსაც პრეტენზია აქვს პოლიტიკოსობაზე, ასეთი რამ, რბილად რომ ვთქვათ, არ უნდა თქვას, – ეს ექსპერტების რჩევა თინა ხიდაშელს. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ თემაზე განმარტებები, უბრალოდ, სირცხვილიც არის.

ისე, ექსპერტებს სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მოუწიათ განმარტებების გაკეთება. მაგალითად, დავით უსუფაშვილის შეხედულებებზე ევროპულ კოალიციებთან დაკავშირებით.

– ჩვენ ვართ პოლიტიკური პარტია და ვიყურებით მომავლისკენ, ამიტომ მომავალი ჩვენ წარმოგვიდგენია კოალიციებში, მაგრამ თვისობრივად ახალ კოალიციებში, ისეთ კოალიციებში, როგორიც დამკვიდრებულია ევროპაში, ანუ იქ, სადაც კოალიციური შეთანხმება არის განმსაზღვრელი და საზოგადოებისთვის ცნობილია, რატომ არის ესა თუ ის პარტია ამა თუ იმ გაერთიანებაში და როგორ იზომება ჩვენი შედეგების ხარისხი. ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ „რესპუბლიკურ პარტიას“ აქვს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა – ლიბერალური იდეების კიდევ უფრო გავრცელება ჩვენს ქვეყანაში, თავისუფლების იდეის გავრცელება, იმიტომ რომ, ის ბოლომდე თავისუფალი საქართველო, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ვიხილავთ, თავისუფალი მოქალაქეებით დასახლებული უნდა იყოს, – ეს განცხადება დავით უსუფაშვილმა „რესპუბლიკური პარტიის“ კონფერენციის შეჯამებისას გაკეთა.

ბიუჯეტის მსგავსად, ექსპერტებს უსუფაშვილის ამ მოსაზრებაზეც ეცინებათ. ევროპაში კოალიციები არ-

გია ნოდია: „დავით უსუფაშვილის განცხადება ევროპაში დამკვიდრებულ კოალიციებზე არის „მეტწილად მცდარი“... დავითი ზუსტად ვერ აზროვნებს“

ჩევნების შემდეგ დგება და არა არჩევნებამდე. ჯერ ყველა პარტია ცდილობს, ბარიერის რაც შეიძლება მეტი უპირატესობით გადალახვას და შემდეგ უკვე, თუკი უმრავლესობას ვერც ერთი მათგანი ვერ შეაგროვებს, კოალიციებიც დგება. ეს დემოკრატიულ ქვეყნებში თამაშის ელემენტარული წესია.

საქართველოში 90-იანი წლებში მახინჯი ფორმა დამკვიდრდა, პირველ რიგში, პოლიტიკური ცოდნის არქონისა და დაბალი კულტურის გამო, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც მოქმედებდა (და მოქმედებს) – ფინანსური ინტერესი. მაშინდელი პოლიტიკური წესი ასეთი იყო: არჩევნების წინ კოალიციები იქმნება და ყოველთვის ფინანსური ნიშნით. ამიტომაც ოპოზიციაში მაინც ყოველთვის მდიდარი ოლიგარქი იდგა ხოლმე, მაგალითად, ბადრი პატარკაციშვილი. პატარ-პატარა პარტიები ასეთი კოალიციებით ცდილობდნენ პარლამენტში მოხვედრას და შემდეგ, როგორც წესი, პარლამენტის შიგნით იშლებოდნენ. ანუ, ეს არის ევროპის საწინააღმდეგო ქმედება. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უწოდებს 90-იანი წლების მახინჯ ფორმას პარლამენტის თავმჯდომარე ევროპულს.

გია ნოდია, ექსპერტი:

– ბატონი დავითი ზუსტად ვერ აზროვნებს. ევროპაში დამკვიდრებული კოალიციების მთავარი ნიშანია, რომ მონაწილე პარტიები ცალ-ცალკე იყრიან კენჭს არჩევნებში საკუთარი პროგრამებით, კოალიციას კი მხოლოდ მას შემდეგ ქმნიან, რაც

ალასანიასა და რესპუბლიკელებს ესმით, რომ მათ ძალიან გაუჭირდებათ დამოუკიდებლად არჩევნების მოგება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თვის მზადება დაიწყო

მაგალითად, მოწმის დაკითხვის წესის გადავადებაც მანანა კობახიძემ წაიყვანა, ისევე როგორც ვეტოს დაძლევის სხდომა ფარულ მოსმენებზე და ახლა ბიუჯეტიც „შეაჩეჩეს“...



იციან, ვის რამდენი დეპუტატი ჰყავს და, შესაბამისად, რა პოლიტიკური წონა აქვს, ანუ რა წვლილით (თუ წილით) შემოდის კოალიციაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებაა. თუ პარლამენტში ვიღაცის კეთილი ნების წყალობით მოხვდი და არა იმიტომ, რომ ხალხმა მხარი დაგიჭირა, იმ ვიღაცის ჭკუაზე უნდა იარო. თუ არა, გადამგდები გამოდიხარ. დაწერილ შეთანხმებას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ შენ თვითონ წარმოადგენ რაღაცას. აგერ, რესპუბლიკელების გერმანელმა პარტნიორებმა, თავისუფალმა დემოკრატებმა, ვერ გადალახეს ხუთპროცენტიანი ზღვარი – ჰოდა, ვიღას ახსოვს ისინი?

„ფაქტჩეკის“ ენა რომ გამოვიყენო, დავით უსუფაშვილის განცხადება ევროპაში დამკვიდრებულ კოალიციებზე არის „მეტწილად მცდარი“.

ფაქტობრივად, რესპუბლიკელებმა უკვე დაიწყეს მზადება 2016 წლის არჩევნებისთვის. რა თქმა უნდა, ეს ლოგიკურია.

არჩევნებისთვის ემზადებიან ნაციონალებიც და ირაკლი ალასანიაც. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც ერთ-ერთი ის მოთხოვნაა, რომელიც ქართულ პოლიტიკას, ასევე, 90-იანი წლებიდან გადმოჰყვა. ასე რომ, ეს მოლოდინი ისევ არსებობს. განსხვავება მიდგომებშია. „ნაციონალური მოძრაობა“ მაინც რჩება ერთადერთ პროგრესულ და ორგანიზებულ ძალად, რადგანაც ერთადერთია, რომელიც ოპოზიციონერებს შორის მიიჩნევს, რომ კოალიციები არჩევნების შემდეგ პარლამენტში უნდა შედგეს და არა მანამდე. თუმცა, ალასანიასა და რესპუბლიკელებს ესმით, რომ მათ ძალიან გაუჭირდებათ დამოუკიდებლად არჩევნების მოგება. ვალერი გელბახიანის განმარტებით, მათ არც შესაბამისი რესურსები აქვთ და არც ფინანსები. შესაბამისად, თვისობრივი კოალიცია დასჭირდებათ.

ვალერი გელბახიანის განმარტებით, ვადამდელი არჩევნებისთვის ოპოზიცია მზად არ არის. ისინი შეეცდებიან, ხელისუფლებას დრო მისცენ, რომ სოციალურად დასუსტდეს და მოგების მეტი შანსი გაუჩნდეთ.

ვალერი გელბახიანის აზრით, „რესპუბლიკური პარტია“, შეიძლება ითქვას, უკვე გამოსულია კიდეც კოალიციიდან. მისი განმარტებით, უმრავლესობა სრული მობილიზაციის გარეშე უმრავლესობას ვეღარ აგროვებს, ეს კი მათ საშუალებას აძლევს, ივაჭრონ და გარიგების შანსი ხელიდან არ გაუშვან.

ერთ-ერთ თავის გამოსვლაში დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ისინი საბოლოოდ დაანგრევენ საბჭოთა კავშირს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ მმართველობის ერთპიროვნული მმართველობა იგულისხმა.

სოსო ცისკარიშვილის განმარტებით, ეს მითითება ერთპიროვნულ მმართველობას შეეხებოდა...

– ანუ დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი აკონტროლებს?

– რა თქმა უნდა, ასე თვლის, მაგრამ ამას არ ამბობს, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ჩვენს დროს სტრიქონებს შორის აზრის წაკითხვა უნდა შეგძლებოდა, მაგ დღეშია ახლა უსუფაშვილიც...

ვალერი გელბახიანიც დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევაში უსუფაშვილმა ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღება იგულისხმა და რომ ამ განცხადებაში ის სწორედ ბიძინა ივანიშვილს გულისხმობდა:

– სხვადასხვა ტაქტიკა აირჩიეს ალასანიამ და უსუფაშვილმა. რესპუბლიკელები ღიად არ საუბრობენ... უსუფაშვილი ცდილობს, მისი გამონათქვამები მინიშნებითი იყოს და აუხსნელი, რათა, რამე რომ მოხდეს, მერე თქვას: ჩვენ ბიძინა არ გვიგულისხმიაო, როგორც ეს ერთხელ უკვე გააკეთა პრეზიდენტმა.

კიდევ ერთი პარალელი 90-იან წლებთან. ევროპული პოლიტიკური ცხოვრების წესს თუ გავყვებით, კიდევ ერთ მავნე ჩვევას ვნახავთ, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ დამკვიდრებულია.

ვალერი გელბახიანი: „უსუფაშვილი ცდილობს, მისი გამონათქვამები მინიშნებითი იყოს და აუხსნელი, რათა, რამე რომ მოხდეს, მერე თქვას: ჩვენ ბიძინა არ გვიგულისხმიაო“

მაგალითად, ევროპაში პარტიები ცდილობენ პასუხისმგებლობა აიღონ და ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ ხალხის

ნდობა დაიმსახურონ. ქართველ პოლიტიკოსებს კი პასუხისმგებლობის აღება ეშინიათ, მათთვის უფრო მარტივი და კომფორტულია ამ პასუხისმგებლობისგან ან გაქცევა, ან ხელების სხვისთვის შეწმენდა, რომ თავად თეთრი ხელთათმანებით დარჩნენ.

გამონაკლისები იყვნენ ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი. სხვა ფიგურა, ვინც პასუხისმგებლობისგან გაქცევას არ ცდილობდა, არ მახსენდება. სააკაშვილი სწორედ ამიტომ გახდა თავის დროზე საკრებულოს თავმჯდომარე. მაშინ შალვა ნათელაშვილს იმდენად შეეშინდა პასუხისმგებლობის, რომ ეს პოსტი ნაციონალების ლიდერს დაუთმო. იფიქრა, სააკაშვილი ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს და გაფუჭდებაო, თუმცა ის შემდეგ პრეზიდენტი გახდა.

სხვა მაგალითის მოყვანა გამიჭირდება.

არჩევნებამდე ორი წლით ადრე კი საუბარი ახალ კოალიციებზე დაიწყო. ადრე ამბობდნენ, რომ ერთიან კოალიციაში იქნებიან დავით ბაქრაძე, ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი, ახლა მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკელებსა და ალასანიას შესაძლოა, გიორგი მარგველაშვილიც შეუერთდეს. ვინ იქნება ლიდერის პოზიციაში, ჯერ ძნელი სათქმელია.

ლიდერობის სურვილი ამ სამიდან სამივეს ექნება. ალბათ, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება კვლევებსა და შემდეგ იმაზე, რამდენად შეძლებენ ისინი ამბიციების დათმობას. დავით უსუფაშვილს ერთხელ უკვე ჰქონდა რეალური შანსი, ოპოზიციის ლიდერი გამხდარიყო, თუმცა სულ ერთი ხმით წააგო ლევან გაჩეჩილაძესთან შიდა კენჭისყრების დროს და ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატიც სწორედ ის გახდა.

ალიანსის დროს უსუფაშვილი, ისევე როგორც გამყრელიძე, გზას ირაკლი ალასანიას უთმობენ. ახლა თითქოს მისი ჯერი დადგა, მით უფრო, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს პრეზიდენტი ისევ მარგველაშვილი იქნება.

ისე, დავით უსუფაშვილმა დაახასიათა კიდეც მომავალი ლიდერის ტიპაჟი, როცა თქვა:

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში... აღარ უნდა მოხდეს ისე, რომ არჩევნებში წარმატება ან წარუმატებლობა დამოკიდებული იყოს ძლიერ ლიდერებზე, ფულზე, ადმინისტრაციულ რესურსზე, გარე ფაქტორებზე, სხვა ქვეყნებზე...

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ძლიერ ლიდერში უსუფაშვილმა ქარიზმატული ფიგურა იგულისხმა. დავით უსუფაშვილი კი ქარიზმატული ნამდვილად არ არის...

ანუ, როგორც ჩანს, პარლამენტის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ კოალიციის ლიდერი თავად გახდეს. ამას არც ექსპერტები გამორიცხავენ. უკვე დაიწყო სხვადასხვა კონფიგურაციების განხილვა, თუმცა, როგორ სახეს მიიღებს ის საბოლოოდ, ამაზე საუბარი რთულია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მზეკო ჟვანია

სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტების განხორციელებაში რეკორდულ ნიშნულს სცდება

ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი „შეღავათიანი აგროკრედიტის“ გაცემით, ქვეყანამ 105 ახალი და 580 გაფართოებული საწარმო მიიღო. ეს ყველაფერი კი შესაძლებელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების საშუალებით გახდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამ პროექტით 10 000-ზე მეტ ადამიანს დასაქმების საშუალება მიეცა.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გახლავთ ინიციატორი იმისა, რომ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ამ საწარმოების შექმნის ხელშეწყობის მიზნით „შეღავათიანი აგროკრედიტისა“ და „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტების განხორციელებაც დაეწყო.

ღვინის წარმოება, მესაქონლეობა-მეფრინველეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, სასათბურე მეურნეობა, თხილის, რძის გადამუშავება, პროდუქციის შესანახი საწყობები, მარცვლეულის საშრობები - ეს სოფლის მეურნეობის 35 დარგიდან ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებშია დაფინანსებული. ამ ეტაპისთვის უკვე 670 მლნ ლარის ოდენობის, 25 241 სესხი გაიცა, რომლის საშუალებითაც 105 ახალი საწარმო დაფინანსდა, 580 კი გადაიარაღდა.

„ამ წარმატებული პროექტების შედეგია, რომ ქვეყნის მასშტაბით 105 ახალი საწარმო და 580 უკვე არსებული საწარმოს გაფართოება და გადაიარაღება დაფინანსდა“

სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტების განხორციელებაში რეკორდულ ნიშნულს სცდება. ამას ისიც მოწმობს, რომ 11 თვეში 16 პროექტი დამტკიცდა, 11 ბიზნესპროექტი კი განხორციელების ეტაპზეა. ამასთან, პროექტების ჯამური ინვესტიცია 22 მლნ ლარზე მეტია.

ვერ ვიტყვი, რომ ჩამოთვლილი პროექტები საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია, თუმცა, ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროექტზე - „აწარმოე საქართველოში“, რომლის განხორციელებაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, 2014 წლის ივნისში დაიწყო. გეტყვით იმასაც, რომ პროექტის ფარგლებში სესხი 8 საწარმოსთვის გაიცა, აქედან 5 ახალი საწარმოა.

გასულ კვირას სასტუმრო „რედისონში“ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული საწარმოების პრეზენტაცია გამართეს, რომელსაც საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. პრეზენტაციაზე მისულ საზოგადოებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ მიმართეს. ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრებს, დავით კირვალიძეს და შალვა ფიფიას, ოთარ დანელიას კი დაწყებულ საქმეში წარმატება უსურვა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს აქვს ყველა რესურსი იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობამ შეასრულოს უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში. ჩვენი მიზანია, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით მეწარმეები, ფერმერები და გლეხები მყარად დადგნენ ფეხზე და უპასუხონ იმ ახალ ეკონომიკურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას ქვეყანა, შეძლონ აწარმოონ ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი და მყარად დაიმკვიდრებს ადგილს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, ხელისუფლებას აქვს კონკრეტული ამოცანები და გეგმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი საწარმოების გაჩენას, ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ექსპორტის გაზრდას და ა.შ. ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობის მიზნით ჩვენ დავიწყეთ „შეღავათიანი აგროკრედიტისა“ და „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტების განხორციელება. ეს პროექტები წარმატებით მიმდინარეობს. რაც შეეხება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტს, უკვე დამტკიცდა 16 პროექტი და აქედან 11 ბიზნესპროექტის განხორციელება უკვე დაიწყო. პროექტების ჯამური ინვესტიცია 22 მილიონ ლარზე მეტია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გზით ჩვენი ქვეყნის რეგიონები კიდევ უფრო მომძლავრდებიან და ადგილობრივი მოსახლეობა წელში გაიმართება, ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ პროექტზე - „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ადგილობრივი პროდუქციის წარმოების განვითარების დიდ შესაძლებლობებს იძლევა, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე უცხოეთშიც. ჩვენ გაგვიჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ევროპის ბაზარზე დამკვიდრდეს და პოპულარული გახდეს ქართული პროდუქცია. მთლიანად, სამივე პროექტის ფარგლებში, უკვე დაფინანსდა 105 საწარმო და მთავრობის ხელშეწყობით დაფინანსებულ საწარმოებში დასაქმებულია 10 ათასზე მეტი ადამიანი. მე მჯერა, რომ ეს პროექტები წარმატებით გაგრძელდება, სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ დანელიას და მთლიანად სამინისტროს წარმატებას ვუსურვებ“.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს აქვს ყველა რესურსი იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობამ შეასრულოს უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში“

ოთარ დანელია (სოფლის მეურნეობის მინისტრი): „დღეს, მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობაა. დარგის განვითარებისთვის სახელმწიფოს ხელშეწყობით მნიშვნელოვანი პროექტები განხორ-

„ჩვენ გაგვიჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ევროპის ბაზარზე დამკვიდრდეს და პოპულარული გახდეს ქართული პროდუქცია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

105 ახალი და 580 გაფართოებული საწარმო - ახალი რეალობა უპრეცედენტო მასშტაბით

ირაკლი ღარიბაშვილი: „მე მჯერა, რომ ეს პროექტები წარმატებით გაგრძელდება, სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ დანელიას და მთლიანად სამინისტროს წარმატებას ვუსურვებ“

ციელდა. სწორედ ამ წარმატებული პროექტების შედეგია, რომ ქვეყნის მასშტაბით 105 ახალი საწარმო და 580 უკვე არსებული საწარმოს გაფართოება და გადაიარაღება დაფინანსდა. სამინისტროს მიერ აღნიშნული პროექტების გადახედვა და დახვეწა გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება, რათა ყველა პროექტი მაქსიმალურად მოქნილი და თითოეული მეწარმისა თუ ფერმერისთვის ხელმისაწვდომი იყოს. სახელმწიფო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს სოფლის მეურნეობის დარგის ხელშეწყობას, რათა შედეგები მეტად შთამბეჭდავი იყოს“.

იმისთვის, რომ უფრო მეტი გაიგოთ ამ პროექტის შესახებ, გაეცნოთ შედეგებსა და სამომავლო გეგმებს, „პრაიმტაიმი“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს, მარიანა მორგოშიას, „ხალიკ ბანკის“ გენერალურ დირექტორს, ნიკოლოზ გეგუჩაძეს, კომპანია „აგრიკომის“ ხელმძღვანელს, ქეთევან კუბლაშვილსა და შპს „თეთრი ქუდის“ დირექტორს, ივანე იოსელიანს ესაუბრა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი, მარიანა მორგოშია:

„მინდა საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია იმ ახალი და ასევე არსებული საწარმოების გადაიარაღება-გაფართოების შესახებ, რომლებიც ჩვენი პროექტის ფარგლებში დაფინანსდა. ესენია, „შეღავათიანი აგროდაზღვევის“, „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებისა“ და „აწარმოე საქართველოში“ პროექტები. ჯამში, გახსნილია 105 ახალი საწარმო. 11 თვეში 16 პროექტი დამტკიცდა, ხოლო 11 ბიზნესპროექტი განხორციელების ეტაპზეა. პროექტების ჯამური ინვესტიცია კი 22 მლნ ლარს შეადგენს. ჩვენი მიზანია მეწარმეების დახმარება და ქართული პროდუქციის რეალიზება შიდა ბაზარსა და უცხოეთში“.

„ხალიკ ბანკის“ გენერალურ დირექტორი, ნიკოლოზ გეგუჩაძე:

„აგროკრედიტების პირობები ძალიან საინტერესო და მიმზიდველია. მე ვფიქრობ, რომ უკვე შედეგმა აჩვენა ეს ყველაფერი და მომავალში მეტად საინტერესო პროექტები იგეგმება. ის, რომ სახელმწიფო კომპანიებს ეხმარება და საპროცენტო განაკვეთის გადახდას უმსუბუქებს, ეს ძალიან დიდი შეღავათი და სტიმულია, რაც ახალი კომპანიების შექმნის, ძველი კომპანიების განიარაღების საშუალებას იძლევა და შესაბამისად, მე ვფიქრობ, ეს რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვან შედეგს მიაღწევს. მინდა გითხრათ, რომ გარკვეული ლიმიტები მოიხსნება და საპროცენტო განაკვეთი კიდევ უფრო შემცირდება. ეს ყველაფერი კი კომპანიებისთვისაც და საბანკო სექტორისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. წარმატებას ვუსურვებ ამ პროექტს“.

კომპანია „აგრიკომის“ ხელმძღვანელი, ქეთევან კუბლაშვილი:

„ჩვენ 10 წელიწადზე მეტია წარმოება გვაქვს. გადავწყვიტეთ მოცულობები გაგვეზარდა, შესაბამისად, ვისარგებლეთ „შეღავათიანი აგროდაზღვევის“ პროგრამით. ჩვენმა კომპანიამ საკმაოდ წარმატებულად ააშენა ხორბლის საცავი ფოთში, რომელიც ამჟამად უზრუნველყოფს დაახლოებით 40 000 ტონამდე ხორბლის შენახვას. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ნამდვილად არაჩვეულებრივი პროექტია და პირადად ჩვენ ძალიან დაგვეხმარა, ამ შემთხვევაში გაფართოებაში. იმედი მაქვს, რომ ყველა მეწარმე შეძლებს და მოახერხებს „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტით სარგებლობას“.

„პროექტების ჯამური ინვესტიცია კი 22 მლნ ლარს შეადგენს. ჩვენი მიზანია მეწარმეების დახმარება და ქართული პროდუქციის რეალიზება შიდა ბაზარსა და უცხოეთში“

შპს „თეთრი ქუდის“ დირექტორი, ივანე იოსელიანი:

„ჯერ კიდევ 2013 წელს ვისარგებლეთ მესამე კომპონენტით, ავიღეთ 1 მლნ ლარი, რომლითაც შევძელით გადაიარაღება და გაფართოება. ამ კუთხით ჩვენი წარმატება დაახლოებით 30%-მდე გავზარდეთ და 2014 წლის იანვრიდან ექსპორტიორი კომპანიაც გავხდით. უნდა აღვნიშნო, რომ 2011 წლამდე საქართველო მთლიანად იმპორტზე იყო დამოკიდებული, ფაქტობრივად იმპორტი ადგილობრივი წარმოებით სრულად ჩავანაცვლეთ და ექსპორტიორებიც გავხდით. რაც შეეხება „აწარმოე საქართველოში“ პროექტს, რეალურად დამტკიცებულია და, ალბათ, იანვრიდან უკვე დავიწყებთ ათვისებას. ამის შემდეგ ჩვენ კიდევ გაფართოების კუთხით გვინდა წავიდეთ, ჩვენი წარმატება გავაძლიეროთ, როგორც მოცულობის კუთხით, ისე ხარისხობრივადაც. პირველი პროექტის ფარგლებში შეიქმნა 50 დამატებითი სამუშაო ადგილი, რაც 170 თანამშრომელში გამოიხატა. მომავალში ვფიქრობთ, რომ 200 ადამიანზე მეტი იქნება დასაქმებული. ვიმედოვნებ, რომ პროექტი უფრო და უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს“.

„სახელმწიფო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს სოფლის მეურნეობის დარგის ხელშეწყობას, რათა შედეგები მეტად შთამბეჭდავი იყოს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მშვენიერია, თუ რომელიღაც ჩინოვნიკმა რაღაც ცუდი გააკეთა, რატომ არ უნდა მოხდეს ამის შესწავლა?“

შალვა რამიშვილი: „არასოდეს ყოფილა დავალება, რომ მარგოს ინვალიდებისთვის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის დაეცინა“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

შალვა რამიშვილს მარგო ლუჩკო გაექცა, უფრო სწორად თავად გაუშვა, თუმცა დანაკლისზე დიდად არ დარდობს. როგორც თავად აცხადებს, უკვე მისი შემცვლელის ძიებაშია. მარგოს კი წარმატებებს უსურვებს და იმედს გამოთქვამს, რომ ის თავის გზას იპოვის, ისეთივე წარმატებულს, როგორიც შალვა რამიშვილის გადაცემაში გაიარა...

თავად რამიშვილი ახალი გადაცემის პროდიუსერი გახდა. იანვრიდან „იმედზე“ „ერთხელ საქართველოში“ გავა. გადაცემას ორი მთავარი გმირი ეყოლება და სწორედ ეს ორი ადამიანი შეასრულებს თექვსმეტ განსხვავებულ სკეტჩს. სკეტჩების შინაარსი ძირითადად სოციალური თემებით დაიტვირთება.

შალვა რამიშვილი, ტელეწამყვანი:

– ძალიან ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული ასეთი სკეტჩშოუები, ნებისმიერ ქვეყანაში კეთდება მსგავსი შოუ: ამერიკაში, ბრიტანეთში, რუსეთში. ეს არის სკეტჩშოუ, სადაც ერთი და იგივე მსახიობები გარდასახვის შემდეგ თამაშობენ განსხვავებულ როლებს. ეს არის გადაცემის ძირითადი არსი. ჩვენთანაც ასე იქნება – სკეტჩშოუ, სადაც ორი მთავარი მონაწილეა. ისინი განასახიერებენ თექვსმეტ განსხვავებულ გმირს. ერთი მათგანი არის ვაკაჭი, რომელიც ბრუნდება ამ ბიზნესში, და მეორეა ილია ბეროშვილი – ერთ-ერთი სატელეკომუნიკაციო კომპანიის სახე, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ სახეც იქნება. გადაღებები ინტენსიურად მიმდინარეობს და სულ მალე ნახავს ჩვენი მაყურებელი ახალ პროექტს.

– სკეტჩები რა შინაარსის იქნება?

– სკეტჩებში ადამიანები ნახავენ მათთვის ძალიან ნაცნობ სახეებს, ისეთ გმირებს, რომლებთანაც ბევრ ჩვენგანს ყოველდღიური შეხება აქვს. რა თქმა უნდა, იქნება სოციალური სატირის ელემენტები, იქნება ბანკის სკეტჩი, სოფლის გამგეობაში მიმდინარე მოვლენების, მანქანების „პროფილაქტიკაში“ განვითარებული მოვლენების სკეტჩები, ასევე, სხვა უცნაურ ადგილებში...

– პოლიტიკოსებს თუ შეეხება ეს სკეტჩები. მაგალითად, პარლამენტზე თუ იქნება?

– სკეტჩებში პირდაპირი პოლიტიკური სატირა არ იქნება, თუმცა სოციალური სატირა იმძლავრებს.

– გადაცემას ორი მთავარი გმირი ეყოლება?

– კი, ორი მთავარი გმირი ეყოლება, თუმცა იქნებიან წამყვანი გმირებიც, მათ შორის ბევრი ძალიან საინტერესოც, მაგრამ ეს ორი ადამიანი იქნება ორი ძირითადი სახე ჩვენი პროექტის.

– როდიდან და კვირაში რამდენჯერ გავა გადაცემა ეთერში? საინტერესოა, სხვა არხებზე რომელიმე გადაცემას თუ დაემთხვევა...

– გადაცემა გავა იანვრიდან, რა პერიოდულობით, ამას მალე დავადგენთ. გადაცემის დღეც მალე გაირკვევა.

– „შალვა რამიშვილის შოუს“ პარალელურად ახალ გადაცემაზეც იმუშავებ, თუ შეიძლება შენი შოუ დაიხუროს?

– ჩემი შოუ გააგრძელებს არსებობას, ახალ გადაცემაზე პარალელურად ვიმუშავებ, ეს დამატებითი პროექტი იქნება.

– „იმედის კვირაშიც“ რჩები?

– კი, იქაც ვიქნები, ის მესამე პროექტია, სადაც ვმონაწილეობ.

– მართლა დაავალე მარგო ლუჩკოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე რაიმე არაეთიკური სიუჟეტის მომზადება?

– არ მინდა ამ თემის განხილვა, რადგან ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა, თუმცა პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ არასოდეს არავისთვის დამივალებია ისეთი რაღაცის გაკეთება, რაც ეთიკას, მორალს ეწინააღმდეგება. რა თქმა უნდა, არასოდეს ყოფილა დავალება, რომ მარგოს ვინმესთვის, ინვალიდებისთვის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის დაეცინა. უბრალოდ, როდესაც ადამიანებს საშუალებას მისცემ საკუთარი თავი წარმოაჩინონ, და მე ეს გავაკეთე მარგოსთვის, შემდეგ ამ ადამიანებს ეწყებათ გარკვეული ფრუსტრაციები. ამას მე გაგებით ვუყურებ და ზოგადად ჩვენს ბიზნესში იმდენად დიდი პრობლემაა ასეთი რამ, რომ უკვე პრობლემაც აღარ შეიძლება, დავარქვათ. იმედია, რომ მარგო თავის გზას ნახავს და რაიმე ღირებულს გააკეთებს.

– ხომ არ ეძებ მარგოს შემცვლელს?

– ზოგადად, ძალიან მიყვარს ვიღაცების აღმოჩენა და მათი წარმოჩენა მაყურებლის წინაშე. ეს ჩემს შემოქმედებით ცხოვრებას მუდმივად თან სდევს, ამიტომ არ არის გამორიცხული, ძალიან მალე ვიღაც სხვა, ახალ ვარსკვლავს დავეხმარო წარმოჩენაში.

– ანუ ეძებ...

– მე მუდმივად ძიების პროცესში ვარ.

– „იმედის კვირაში“ საკმაოდ მძიმე სოციალურ თემებზე მზადდება ხოლმე სიუჟეტები, როგორ შეაფასებ ახალი ხელისუფლების მოღვაწეობას?

– პრობლემა არის ის, რაზეც ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა თავის დროზე, რომ ხალხმა ემოციური არჩევანი გააკეთა 2012 წელს. ამომრჩეველმა ხმა მისცა არა კონკრეტულ პროგრამას, არამედ „არა მიშას“. ამომრჩეველს არჩევანი პრაგმატულად არ გაუკეთებია, მათ ხმა სააკაშვილის წინააღმდეგ მისცეს. ეს მიზანი მიღწეულია, სააკაშვილი აღარ არის ხელისუფლებაში, თუმცა სოციალური მდგომარეობა მკვეთრად არ გაუმჯობესებულა. მართალია, შიში გაქრა, მედია და სასამართლო, ჩემი აზრით, თავისუფალია პოლიტიკური ზეწოლისგან, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა ვერ სწორდება.

– როგორ ფიქრობ, რისი პრობლემაა?

– ჩემი აზრით, გარკვეულწილად კომპეტენციის პრობლემაცაა. არის მსოფლიო კრიზისი, რაც თავისთავად იწვევს პრობლემებს, თუმცა იმედი მაქვს, რომ ყველაფერი უკეთესად იქნება, თორემ მუდმივად არავინ ზის სახელმწიფო სავარძელში. მშვიდად, კონსტიტუციურად მოვა სხვა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არა „ნაციონალური მოძრაობა“, ეს შეუძლებელია, მაგრამ სხვა...

– სამთავრობო ცვლილებებს როგორ შეაფასებ?

– რაც შეეხება ანზორ ჩუბინიძეს, მას ძალიან კარგად ვიცნობ, ვმეგობრობ მასთან და ძალიან გამიხარდა, რომ თანამდებობაზე დაბრუნდა, რადგან ის ძალიან კარგი ადამიანია.

– საინტერესოა შენი შეფასება მერიაში მიმდინარე პროცესებზე, პროკურატურა შევიდა, არის ინფორმაცია, რომ იქ სერიოზული დარღვევებია თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით...

– მშვენიერია, თუ რომელიღაც ჩინოვნიკმა რაღაც ცუდი გააკეთა, რატომ არ უნდა მოხდეს ამის შესწავლა? თუ ასეთ დარღვევას ჰქონდა ადგილი, გამოიძიებენ და იტყვიან, ეს არ არის პრობლემა. თუ დადასტურდება, შეფასებებიც მერე გავაკეთოთ.

„მუდმივად არავინ ზის სახელმწიფო სავარძელში. მშვიდად, კონსტიტუციურად მოვა სხვა ხელისუფლება“

„სკეტჩებში პირდაპირი პოლიტიკური სატირა არ იქნება, თუმცა სოციალური სატირა იმძლავრებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ახალ მტკიცებულებებს აგროვებს პროკურატურა გიგი უგულავას წინააღმდეგ?

მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმისთვის" ცნობილი გახდა, რომ პროკურატურა ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის მორიგი ბრალის წარსადგენად ემზადება. საქმის დეტალებს არც პროკურატურაში და არც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში არ აკონკრეტებენ, თუმცა, როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, საუბარია თბილისის მერიის მიერ გარე განათებისთვის გახარჯულ თანხებზე. სავარაუდოდ, ეს იქნება ერთ-ერთი საქმე, რის საფუძველზეც გიგი უგულავას ბრალს დაუმძიმებენ.

ფასნამატმა 107 პროცენტი შეადგინა, მერიის მიერ გადახდილ თანხასა და საქონლის საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობამ კი 2,7 მილიონს მიაღწია

თბილისის მერიას ერთი წლის განმავლობაში (2009 წელს) სატელევიზიო ანძის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაში გადახდილი აქვს 373 ათასი ლარი...

ჩვენთვის ცნობილი გახდა რამდენიმე კონკრეტული ფაქტის შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, ამ საქმეს მტკიცებულებად დაერთვება:

ირკვევა, რომ თბილისის მერიამ 25-40% ფასნამატით მიიღო სანათები, რომლის საბაჟო ღირებულებასა და მერიის მიერ მიმწოდებლებისთვის გადახდილ თანხას შორის სხვაობამ 2 მილიონ ლარს გადააჭარბა. იგივე სურათი იკვეთება სატელევიზიო ანძის განათების შემთხვევაშიც, როდესაც ფასნამატმა 107 პროცენტი შეადგინა, მერიის მიერ გადახდილ თანხასა და საქონლის საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობამ კი 2,7 მილიონს მიაღწია.

თბილისის მერიას ერთი წლის განმავლობაში (2009 წელს) სატელევიზიო ანძის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაში გადახდილი აქვს 373 ათასი ლარი. ამისთვის მას დაქირავებული ჰყავდა კერძო კომპანია, თუმცა, თავის მხრივ, ამ უკანასკნელს აყვანილი ჰყავდა ქვეკონტრაქტორი, რომელსაც 224 ათასი ლარი გადაუხადა, ანუ სახეზეა 150-ათასლარიანი სხვაობა მომსახურების რეალურ ღირებულებასა და მერიის მიერ გადახდილ თანხას შორის.

ასევე, საგამოძიებო ორგანოს შესწავლის საგანი გახდა მერიის მიერ 1 მილიონ 33 ათასი ლარის ღირებულების უხარისხო სანათების შესყიდვის ფაქტი. ერთ-ერთი ინფორმაციით, მერია წინასწარ ფლობდა ინფორმაციას მათი დაბალი ხარისხისა და შეუსაბამო ტექნიკური მახასიათებლების შესახებ, შესყიდვა კი რეალურად ფინანსურ მაქინაციებთან იყო დაკავშირებული.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მერიის მიერ სანათების შესყიდვისას, როგორც წესი, არ ცხადდებოდა საერთაშორისო ტენდერი და პრეტენდენტები საქართველოს რეზიდენტი ფირმები იყვნენ, რომლებიც საქონლის შესყიდვას ძირითადად მერიის ყოფილი მიმწოდებლის – „კომელეკი შრედერის ჯგუფისგან" ახორციელებდნენ.

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი იმ ფაქტებისა, რომელიც 2010 წლამდე პერიოდს უკავშირდება, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, საგამოძიებო ორგანო მტკიცებულებებს აგროვებს 2010 წლის შემდგომ პერიოდზეც, როდესაც თბილისის მერიის ბალანსზე შეიქმნა შპს „სინათლის ქალაქი".

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს კომპანია სკანდალში არაერთხელ გაეხვია. ბოლო ხმაური კი 2013 წლის 23 იანვარს უგულავას მთავრობის იმ დადგენილებამ გამოიწვია, რომლის თანახმადაც, „სინათლის ქალაქს" თბილისის ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოეყო. უგულავას ოპონენტები ვარაუდობდნენ, რომ ეს თანხა „ნაციონალური მოძრაობის" ჯიბეში მიდიოდა, ვინაიდან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „სინათლის ქალაქში" (ისევე როგორც მერიის სხვა შპს-ებში) შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო, სადაც სწორედ „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები დასაქმდნენ. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო სულ 11 ადამიანისგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ: ლადო ვარძელაშვილი, კოტე გაბაშვილი, კობა ხაბაზი, დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი და სხვ. 2010 წლიდან თბილისის გარე განათებას სწორედ ეს კომპანია ერთპიროვნულად უზრუნველყოფდა. მხოლოდ 2012 წელს მან წელიწადნახევრიანი ოპერირებისთვის 19-მილიონიანი ტენდერი მოიგო.

საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლის, გიორგი მუსხელიშვილის თქმით, „სინათლის ქალაქი" გიგი უგულავამ პირდაპირ მონოპოლისტად აქცია.

„დაარსების დღიდან პირადად მერმა და მის მიერ დანიშნულმა სატენდერო კომისიამ 2011-2013 წლებში ჩატარებულ ათეულობით მილიონიან ტენდერებში, მისთვის პირადად მერის დამსახურებით კანონსაწინააღმდეგოდ გადაცემული ქონებრივი უპირატესობობის ხარჯზე, უპირატესობა 20-დან 19 შემთხვევაში მიაკუთვნა სწორედ შპს „სინათლის ქალაქს". ხოლო ყველა სხვა სამეწარმეო ერთეულს შეგნებულად აეკრძალა თბილქალაქგანათების ექსპლუატაციის მომსახურებისა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ტენდერებში მონაწილეობა, ვინაიდან შპს „სინათლის ქალაქისგან" განსხვავებით, ისინი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ჰქონოდათ დედაქალაქის მერისგან ნაბოძები ძვირადღირებული ამწე-კოშკურები, ყველგანმავალი და სხვა ძვირადღირებული ტექნიკა", – აცხადებს მუსხელიშვილი.

„ნაციონალურ მოძრაობაში" კი პოლიტიკურ დევნაზე საუბრობენ. ყოფილი ვიცე-მერი სევდია უგრეხელიძე ამბობს, რომ პროკურატურა გიგი უგულავას წინააღმდეგ აქამდე წარდგენილ ბრალდებებს ვერ ასაბუთებს და სწორედ ამიტომ გახდა საჭირო, ახალი საქმის წამოწევა.

სევდია უგრეხელიძე, თბილისის ყოფილი ვიცე-მერი:

– როგორც ვიცი, ახლაც ზუსტად იგივე პირობებით არის ხელშეკრულება გაფორმებული, როგორც ხდებოდა ჩვენს პერიოდში. როგორც ჩანს, ვიღაცას არ მოსწონდა „ნაციონალური მოძრაობის" სინათლის ქალაქი, მაგრამ ახლა მოსწონს „ოცნების" ქალაქი, რომელსაც ზუსტად იგივე და უფრო მეტი ღირებულების სამუშაოები აქვს დაკვეთილი ამ კომპანიისთვის, ვიდრე ეს ხდებოდა ჩვენს დროს. ეს არის მხოლოდ პოლიტიკური დევნის საგანი. კონკრეტულ ტენდერებთან დაკავშირებით მე არ ვიცი, რა პრეტენზიები აქვთ, მაგრამ ვიცი ის, რომ ტენდერში კვლავ „სინათლის ქალაქია" გამარჯვებული და ისევ იგივეს აკეთებს. როგორც ჩანს, გიგი უგულავას წინააღმდეგ სხვა საქმეები ძალიან მალე გასკდება საპნის ბუშტივით და ამიტომ საჭიროა ახალი საქმის მოგონება იმ პრინციპით, რომ ეგებ, რომელიმემ მაინც გაამართლოს.

სევდია უგრეხელიძე: „გიგი უგულავას წინააღმდეგ სხვა საქმეები ძალიან მალე გასკდება საპნის ბუშტივით და ამიტომ საჭიროა ახალი საქმის მოგონება იმ პრინციპით, რომ ეგებ რომელიმემ მაინც გაამართლოს"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შს მინისტრის ინიციატივით მაღალმთიან რეგიონებში საქველმოქმედო აქცია გრძელდება

ირინა ქვილითაია

ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებული საქველმოქმედო აქცია, გასულ კვირას, დუშეთის შემდეგ ყაზბეგში გაგრძელდა. სამინისტროს თანამშრომლები ყაზბეგს ეწვივნენ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საკვები პროდუქტები ჩაუტანეს. საქველმოქმედო აქცია დეკემბრის ბოლომდე გრძელდება და საქართველოს რამდენიმე მაღალმთიან რეგიონს მოიცავს.

ირაკლი შიხიაშვილი: „ადამიანებს თვითმიზანი აქვთ, მე მებრძოლონ“

ირაკლი შიხიაშვილი ვეტერანთა სამსახურში თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დასაქმდა. საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე დღეს ისე აქტიურად აღარ ჩანს, როგორც ადრე. აცხადებს, რომ მუშაობს. ადრე, საკრებულოში ყოფნის დროს კი ომობდა... დეტალებზე საუბარს გაურბის, თუმცა ადასტურებს, რომ კონკრეტული ჯგუფები მას ახლაც ებრძვიან...

ირაკლი შიხიაშვილი, ვეტერანთა საქმეების სამსახურის ხელმძღვანელი:

– არის მცდელობები, რომ ეს კარგი წამოწყება დარტყმის საგნად აქციონ ისეთი პოპულისტური განცხადებებით, რომ რა დროს ფილმების გადაღებაა, როცა ამდენი მშიერი ვეტერანი გვყავს. ასე თუ ვიფიქრებთ, მაშინ ბევრ რამეზე უნდა ვთქვათ უარი. გარკვეულ ჯგუფს აქვს სურვილი, წარმოაჩინოს, თითქოს ირაკლი შიხიაშვილს აქვს გარკვეული ინტერესები, მაგრამ მინდა ყველას ვუთხრა, რომ ჩვენს სამსახურში ყველაფერი კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს.

– ვის მიერ მიმდინარეობს ეს პროცესი?

– ჯერ არ მინდა ამაზე საუბარი. უბრალოდ, თუ ვინმეს სურს, რომ ირაკლი შიხიაშვილს ებრძოლოს, არ უნდა გააიგივოს ვეტერანთა სამსახურთან. ჩემ გამო დარტყმა მიაყენონ იმ საქმეს, რომელსაც ვაკეთებ... უმჯობესია, ჯერ კარგად დაფიქრდნენ. არ იქნება ეს სწორი.

– იყო საუბარი, რომ თქვენი სამსახური სამინისტროდ უნდა გადაკეთებულიყო...

– ჩემ შესახებ ბევრი საოცარი ისტორია გაქვთ მოსმენილი. აგიხსნით, რატომ არ უნდა განხილულიყო აღნიშნული საკითხი. დღეს ამ სამსახურს ბევრად უფრო საჭირო და საინტერესო ფორმა აქვს. ეს სამსახური არის სიპი და მას ხელეწიფება, რომ მიიღოს გრანტები და შემოწირულობები და გარკვეულწილად ბიუჯეტს მოუხსნას ტვირთი. რატომ უნდა მოვისპოთ ეს საშუალება? მესმის, რომ ბიუჯეტს ტვირთად ჯერ ბევრი რამის საკუთარ თავზე აღება არ შეუძლია. ჩვენი სამუშაო გარკვეულწილად ინვესტიციაა, რადგან დამეგობრებული ან პარტნიორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი თანხებია. ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ვეტერანთა საქმეების სამსახურის ხელმძღვანელი არის მინისტრთა კაბინეტის წევრი, სათათბირო ხმის უფლებით. ასე რომ, თუ მთავრობის წევრობა მინდა, მთავრობის წევრი ვარ. რისთვის უნდა მინდოდეს სამინისტროდ გადაკეთება? ეს ქვის სროლას ჰგავს, კენჭს ისვრიან და მოგხვდება თუ არ მოგხვდება, ხმაურს მაინც იწვევს, არ არის ეს სწორი საქციელი.

„ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ვეტერანთა საქმეების სამსახურის ხელმძღვანელი არის მინისტრთა კაბინეტის წევრი, სათათბირო ხმის უფლებით“

– თქვენ აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდით, ყოველ შემთხვევაში ახლა ისე აქტიურად აღარ ჩანხართ, როგორც ადრე...

– ვმუშაობ...

– მაშინაც მუშაობდით...

– მაშინ ვომობდი...

– როგორ ფიქრობთ, ახლა რა არის იმ ადამიანების მიზანი, ვინც თქვენს წინააღმდეგ მოქმედებს, როგორც თქვენ ამბობთ?

– ეს მეც ძალიან მაინტერესებს. მიზანი, მიზეზი, სურვილი მართლა მაინტერესებს, რადგან მართლა ვერ ვხვდები. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს გაეცემა პასუხი, ადამიანებს თვითმიზანი აქვთ, მე მებრძოლონ. ნუ, იბრძოლონ...

– იცით, ეს ადამიანები ვინ არიან?

– მე ყოველთვის ყველაფერი ვიცი, უბრალოდ, ყოველთვის არ ვლაპარაკობ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკა ჩიტიძე: „გერმანიის პარლამენტში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ნატოს საპარლამენტო ასამბლეას წარმოადგენენ და ლობირებენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციას“

როდის გახდება საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი? – წლებია, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არც ქვეყნის შიგნით და არც დასავლეთში არ არსებობს. ხშირად, ეს კითხვა ექსპერტთა ნაწილს ხუმრობის ხასიათზე აყენებს და ზოგი ნოსტრადამუსთანაც კი გვამისამართებს... მაგრამ, როცა ნოსტრადამუსიც მკვდარია, ზუსტად ვერავინ იტყვის, როდის შეაბიჯებს ჩვენი ქვეყანა ნატოს ღია კარში.

გასულ კვირას ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკმა პირდაპირ განაცხადა, რომ „ახლა არ არის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ნატოში გაწევრიანებაზე საუბრის დრო“: „უმჯობესია, მხარი დავუჭიროთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, ასევე საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში უსაფრთხოების სტრუქტურების რეფორმას, რათა ეს ქვეყნები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ევროკავშირს და საგარეო ბაზარზე მათი ინტეგრაცია მოხდეს. დებატები ამ ქვეყნების ნატო-ს წევრობაზე კონტრპროდუქტიულია“.

ექსპერტი ნიკა ჩიტიძე ამბობს, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის თემაზე დასავლეთში კონსენსუსი არ არსებობს, თუმცა გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილება, შესაძლოა, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე აისახოს.

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:

– ცხადია, მთავარი პრობლემა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე უკავშირდება ნატოს წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსის არარსებობას. აზრთა სხვადასხვაობა კი წლების განმავლობაში გვიქმნიდა სირთულეებს. მაგალითად, იგივე ოფიციალური პირები, მათ შორის ელმარ ბროკიც, მიიჩნევს, რომ, თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, ეს ამ ორგანიზაციისთვის ახალი თავის ტკივილი იქნება. მსგავსი მიდგომა ნამდვილად არსებობს ევროპული საზოგადოების ნაწილში, მაგრამ ცხადია, ამის გამო ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ და გავაგრძელოთ წინსვლა ევროსტრუქტურებისკენ. საბედნიეროდ, არსებობს მეორე და საკმაოდ გავლენიანი ჯგუფიც, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას ლობირებს. ეს ჯგუფი მიიჩნევს,

რომ, თუ ნატოში გავწევრიანდით, საქართველო კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას. ელმარ ბროკის განცხადება ერთია, მაგრამ, საბედნიეროდ, მის პოზიციას დასავლეთში ყველა არ იზიარებს.

– ფაქტია, რომ სკეპტიკოსების პოზიცია მნიშვნელოვნად აფერხებს ინტეგრაციის პროცესს... რისი იმედი უნდა გვქონდეს?

– ჩვენ ერთი წუთით არ უნდა შევაჩეროთ მუშაობა ამ მიმართულებით. თქვენ ხედავთ, როგორც იცვლება გეოპოლიტიკური ვითარება. წამყვანი ევროპული სახელმწიფოები – გერმანია, საფრანგეთი, იტალია გაცილებით ლოიალურად იყვნენ განწყობილი რუსეთის მიმართ ორი წლის წინათ, ვიდრე ახლა. დღეს მათი რიტორიკა შეცვლილია და ისინი უფრო პრინციპულ პოზიციას აფიქსირებენ. აქვე მინდა გითხრათ, რომ იგივე გერმანიის პარლამენტში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმოადგენენ და ლობირებენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციას.

ლევან ბერძენიშვილი: „მესმის ნინო ბურჯანაძის, ის ძალიან ცუდ დღეშია, დღეს რუსეთის დაცვა, ნინო ბურჯანაძის გარდა, აღარავის აღარ შეუძლია მთელ მსოფლიოში“

ნინო ბურჯანაძემ თავისი საყვარელი სიტყვა „აღშფოთება“ „გაოცებით“ ჩაანაცვლა. ზოგი იმით არის გაოცებული, რომ მისი პარტიის სახელწოდებაში სიტყვა „დემოკრატია“ ფიგურირებს, თავად ბურჯანაძე კი – ხელისუფლების იგნორით. როგორც ჩანს, ნინო ბურჯანაძის ბევრი პოლიტიკური შეთავაზებიდან არც ერთი არ აღმოჩნდა ადეკვატური. მიუხედავად ამისა, ის „რჩევებს“ მაინც არ იშურებს... ჯერ იყო და მთავრობას უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა მოსთხოვა. უფრო სწორად განაცხადა, რომ სხვა გზა თავად უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ არ დაუტოვა საქართველოს საკუთარ მთავრობაში ნაციონალების წარმომადგენლების დანიშვნით.

ნინო ბურჯანაძე: „უკრაინა ახლა პრაქტიკულად იმეორებს იმ შეცდომებს, რაც სააკაშვილმა დაუშვა 2008 წელს, ეს ნამდვილად პოლიტიკურ გარღვევას საჭიროებს. რაც შეეხება მთავრობის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს, რომ ეს თურმე საწყენი იქნება, ბატონებო, თქვენ გავიწყდებათ, რომ სუვერენული სახელმწიფოს წარმომადგენლები ხართ! რას ნიშნავს საწყენი იქნება, თუ უკრაინაში თანამდებობაზე დაინიშნებიან დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში იძებნებიან? ასეთ შემთხვევაში ჩვენ, თუ სუვერენული სახელმწიფო ვართ, პრაქტიკულად უნდა მივიდეთ უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე“.

მისი მეორე რჩევა მართალია, მოძველებულია, მაგრამ მაინც აღსანიშნავია ერთადერთი მიზეზის გამო – ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ნინო ბურჯანაძე ვადამდელ არჩევნებს ერთადერთი მიზნით ითხოვს: რომ მისმა სახელმა და გვარმა სადღაც მაინც გაიჟღეროს...

ნინო ბურჯანაძე: „დღეს პარლამენტს მართავენ რესპუბლიკელები, არადა, ქართველ ხალხს ბიძინა ივანიშვილისთვის იმის მანდატი არ მიუცია, რომ ქვეყანა რესპუბლიკელებისთვის ჩაებარებინა! ხალხი მას ენდო და არა რესპუბლიკელებს. გადამწყვეტი ძალა პარლამენტში დღეს სწორედ მათ და ნაციონალებს აქვთ. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. ერთადერთი გამოსავალია, რომ მე და ჩემი თანაგუნდელები მოვიდეთ ხელისუფლებაში, რადგან არც კომპეტენცია გვაკლია, არც ცოდნა და არც გამოცდილება, არ ვიქნებით არავის მონა, ურთიერთობებს კი ნამდვილად დავალაგებთ. რაც მთავარია, გვაქვს გამბედაობა იმისთვის, რომ სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმი დაუსჯელი არ დარჩეს!“

აშკარად არ უმართლებს ქალბატონ ნინოს. მისი არც პირველი და მით უფრო არც მეორე საკითხი არც ერთი პოლიტიკური ძალის განსახილველ საკითხებს შორის არ არის. მეტიც, მსგავს განცხადებებზე კომენტარის გაკეთებაც კი დროის ფუჭ ხარჯვად მიაჩნიათ. უმრავლესობაში კი თვლიან რომ ბურჯანაძის განცხადება მას არც ეკუთვნის და ის „სხვის“ სურვილებს ახმოვანებს...

ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

– ნინო ბურჯანაძის აზრი საინტერესო არ არის, რადგან, ჩემი აზრით, ეს მისი აზრი არ არის. უკრაინასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს ჩვენ არ გავწყვეტთ არავითარ შემთხვევაში. რაც შეეხება უკრაინაში ნაციონალების წარმომადგენლების დანიშვნას, უკრაინა ძალიან დიდი ქვეყანაა და თავად წყვეტს მსგავს საკითხებს, სურს ასეთი ადამიანები საკუთარ მთავრობაში, თუ არ სურს. ვერც ნაციონალები ვერ გაძლიერდებიან ამ ხალხის დანიშვნით, რადგან ეს ადამიანები ამ დიდ საქმეს თავს ვერ გაართმევენ, მათ საქართველოშიც ვერ გაართვეს თავი. პრობლემა არ არის, არ მგონია, რომ ამის გამო ჩვენ უკრაინასთან ურთიერთობა უნდა გავწყვიტოთ და რუსეთის ფედერაციას, ოკუპანტს ჩავეხუტოთ. მესმის ნინო ბურჯანაძის, ის ძალიან ცუდ დღეშია, რუსეთის დაცვა, ნინო ბურჯანაძის გარდა, აღარავის აღარ შეუძლია მთელ მსოფლიოში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვიქტორ დოლიძე: „ამ ანგარიშსწორების საფუძველი ვერ გავიგეთ“

„ჩვენ გარეთ არ გამოგვქონდა ეს საკითხები, სხვებისგან განსხვავებით“

„ორიენტაციასთან დაკავშირებით ჩვენ კითხვები არც გვქონია, ვექტორის შეცვლაზე არც არასდროს გვისაუბრია“

„ჩვენთვის ახლა უკვე ყველაფერი ნათელია, საიდან მოდიოდა და დღესაც მოდის ეს დამოკიდებულება, ვინ იყო და დღესაც ვინ რჩება კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღებად ქვეყანაში, რომელიც, სამწუხაროდ, კოალიციურად ნამდვილად არ მოიქცა. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ“

ხათუნა მგალობლიშვილი

ირაკლი ალასანია მალე გადაუსწრებს შალვა ნათელაშვილს და მარტივად მიაღწევს იმ ეტაპს, როდესაც მის პოლიტიკურ განცხადებებს ზუსტად ნათელაშვილის განცხადებების მსგავსად დააიგნორებენ. არათანმიმდევრულობა პოლიტიკაში სერიოზული პრობლემაა. ზუსტად ასე იქცევიან „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც სულ ორიოდე კვირის წინანდელ განცხადებებზე ამბობენ, მსგავსი არაფერი გვითქვამსო. არადა არც ისე დიდი დროა გასული, საზოგადოებას ევროატლანტიკურ ორიენტაციასთან, მის საფრთხეებთან დაკავშირებული განცხადებები და აჟიოტაჟი რომ დავინყებოდა.

დღეს ალასანიას გუნდის ის წევრები, რომლებიც უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრებს დეპუტატების რანგში მართავენ, კმაყოფილები არიან, მიიჩნევენ, რომ პროცესები სწორად მიდის და ქვეყანას ცუდი არაფერი ემუქრება... მართალია, პატარ-პატარა შენიშვნები აქვთ, მაგრამ ეს ახლოსაც ვერ მოვა ორიოდე კვირის წინ გაკეთებულ, საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელ განცხადებებთან...

„რაც ალასანიას მინისტრობის პერიოდში გაკეთდა, ძალიან ნათელია, დაწყებული პატივის აღდგენით, დასრულებული დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების მიმართ პრობლემების მოგვარებით“

ვიქტორ დოლიძე, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:

– როგორი იქნება საქართველოს რიტორიკა რუსეთთან მიმართებაში, ეს ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია, ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ტაქტიკა და მოქმედებები. ვფიქრობ, პრინციპულობა ნომერ პირველი იარაღია, თუმცა პრინციპულობას კონსტრუქციულობაც უნდა ერთვოდეს, რადგან მხოლოდ რიტორიკულ დონეზე განცხადებების გაკეთება, ვფიქრობ, არაფრისმომტანია. საკაძვილის პერიოდმა კარგად დაგვანახა, სადამდე მიიყვანა ქვეყანა არაკონსტრუქციულობამ. მაგრამ ის, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნოს პრინციპულობა და ცოტა უფრო აგრესიული პოლიტიკაც უნდა ვაწარმოოთ, ფაქტია. ჩვენ სწორედ ამგვარი აქტიურობისკენ უნდა მოვუწოდოთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, რადგან უკრაინის მოვლენებმა კარგად დაგვანახა, რასთან გვაქვს საქმე.

– ანუ აგრესიული...

– პროაქტიურ დიპლომატიას ვგულისხმობ. აქ არის უამრავი ფორმატი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, იგივე დიდი ოცეულის ფორმატი, სადაც რუსეთთან პირდაპირი საუბრის საშუალება აქვთ ეკონომიკურად მძლავრ და განვითარებულ ქვეყნებს. ის სანქციები, რომელიც უკვე იწყებს ამოქმედებას რეალურად არ არის საკმარისი, საჭიროა თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, თავსებადობის გაზრდა როგორც უკრაინისთვის, ასევე საქართველოსთვის და მოლდოვისთვის, ამაზე ნატომ და ევროკავშირმა უფრო მეტი უნდა იფიქრონ. უფრო სწორად, არამხოლოდ იფიქრონ, უკვე კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან. ვფიქრობ, იმ პაკეტით, რომელიც ნატოსთან მიმართებაში შეთანხმდა, კარგი შანსი მოგვეცა იმისთვის, რომ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა ავამაღლოთ, დავაარსოთ ეგრეთწოდებული ტრენინგების ცენტრი საქართველოში და ავამაღლოთ განათლების დონე ჩვენს სამხედროებში. ამ ყველაფერს ალასანიამ ძალიან კარგი საფუძველი ჩაუყარა და დიდი იმედი მაქვს, რომ იგივე კურსი გაგრძელდება.

– თუმცა ირაკლი ალასანიას მიმართ მხოლოდ კრიტიკა ისმის.

– რაც ალასანიას მინისტრობის პერიოდში გაკეთდა, ძალიან ნათელია, დაწყებული პატივის აღდგენით, დასრულებული დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების მიმართ პრობლემების მოგვარებით. როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, უამრავი პრობლემა დაგვხვდა, ჩვენ ამაზე ყოველთვის ვსაუბრობდით. 8 მილიარდია დახარჯული, მიუხედავად ამისა, ჯარი ისეთ მდგომარეობაში დატოვეს, რომ კომუნიკაციის პრობლემაც კი არ იყო მოგვარებული და სწორედ ამ კომუნიკაციას უკავშირდებოდა ეგრეთწოდებული ბოჭკოვანი კაბელების თემა. შედეგად ჩვენ გავაკეთეთ შესაბამისი დასკვნები და არამარტო ჩვენ, ყველა დარწმუნებულია, რომ ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება, უბრალოდ, საფუძველი ვერ გავიგეთ ამ ანგარიშსწორების. ეს ძალიან ცუდია და სწორედ ამიტომაც ვართ დღეს ჩვენ ოპოზიციაში.

– ვიცით, რომ აქტიურად მართავთ პარტიულ შეხვედრებს, რა ეტაპზე არიან დღეს „თავისუფალი დემოკრატები“?

– ჩვენ ახლა დაკავებულები ვართ ახალი სახეების მოზიდვით, პარტია ძლიერდება და მუშაობს თემატური და ფინანსური რესურსის მიმართულებითაც. ჩვენ არ ვართ მდიდარი პარტია... როგორი წარმატებული იქნება ეს პროცესი, ამას დრო გვაჩვენებს. წარმატებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პრინციპულობა, ორიენტაცია. ჩვენ კი ამ ორიენტაციას არასოდეს შევიცვლით და არ ვუღალატებთ.

– ირაკლი ალასანიამ კოალიციის დატოვებისთანავე განაცხადა, რომ 2016 წლის არჩევნებში შესაძლოა, სხვა პოლიტიკურ ძალასთან ერთად მიიღოთ მონაწილეობა, ვინ განიხილება პარტნიორად?

– არავისთან არავითარი კონსულტაცია არ მიმდინარეობს ჯერჯერობით, ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია. გეტყვით, რომ ჩვენ შეიძლება მარტოც წარვდგეთ და შეიძლება სხვა პოლიტიკურ ძალასთან ერთადაც, ამას პოლიტიკური კონიუნქტურა გამოკვეთს, რომელიც მიმდინარე წელიწად-ნახევრის განმავლობაში შეიქმნება.

– თქვენ დღესაც აცხადებთ, რომ თქვენი პარტიის მიმართ იყო ანგარიშსწორება, თუმცა კითხვები ქვეყნის ორიენტაციის ცვლასთან დაკავშირებით მოხსნილია...

– ორიენტაციასთან დაკავშირებით ჩვენ კითხვები არც გვქონია, ვექტორის შეცვლაზე არც არასდროს გვისაუბრია. ჩვენ ვთქვით, რომ ეს დამოკიდებულება, ვინ იყო და დღესაც ვინ რჩება კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღებად ქვეყანაში, რომელიც, სამწუხაროდ, კოალიციურად ნამდვილად არ მოიქცა. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ.

– არ მიგაჩნიათ, რომ თქვენი მხრიდან ახლა ამ თემებზე საუბარი, როდესაც ორი წლის განმავლობაში კოალიციაში იყავით, ცოტა უხერხულია?

– ჩვენ ამაზე ყოველთვის ვსაუბრობდით.

– არასოდეს მსგავსი განცხადება არ გაგიკეთებიათ...

– ბუნებრივია, ჩვენ გარეთ არ გამოგვქონდა ეს საკითხები, სხვებისგან განსხვავებით. ჩვენ რასაც ვსაუბრობდით, კოალიციაში რჩებოდა.

– ანუ ამაზე ბიძინა ივანიშვილთანაც გისაუბრიათ?

– ჩვენს წარმომადგენლებს არაერთხელ დაუსვამთ ეს საკითხი კოალიციაში, მაგრამ ძალიან სამწუხაროდ საწინააღმდეგო მივიღეთ შედეგად.

– თქვენ გარდა, კოალიციის რომელიმე წევრი აპროტესტებდა ამ საკითხს?

– რაღაც არ მახსოვს სხვისი პროტესტი...

„ჩვენს წარმომადგენლებს არაერთხელ დაუსვამთ ეს საკითხი კოალიციაში, მაგრამ ძალიან სამწუხაროდ საწინააღმდეგო მივიღეთ შედეგად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საზღვრები“ - ხელისშემშლელი ბარიერი თუ პირობითი მოცემულობა

my View
თამარ გონგაძე

ბექა გოდერძიშვილი: „ეს წყვილი სტალინის რეჟიმის მსხვერპლია. ბევრი წყვილი დააშორა საზღვრებმა და რეჟიმმა. გლობალურად თუ შევხედავთ, მე ვუგებ გმირს“

სიყვარულს ვერც დრო და სივრცე ერევა და არც ეროვნება და საზღვარი აქვს, თუმცა მას ადამიანები ხელოვნურად უწესებენ ამ ბარიერებს. ეს იმ სპექტაკლის მთავარი არსია, რომელზეც ახლა სტატიას კითხულობთ. ლეონიდ ზორინის „ვარშავული მელოდიების“ მიხედვით გოგა ოსეფაშვილმა „საზღვრები“ დადგა. პიესა ლაშა ბუღაძის რეკომენდაციით მიხო მოსულიშვილს ათარგმნინა. თარგმნილი პიესა ათი თვის წინ მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში დაიდგა. მთავარ როლებს ბექა გოდერძიშვილი და ქეთი ქიტიაშვილი თამაშობენ. სპექტაკლში უსიტყვო როლში ნახავთ რეჟისორსაც. სპექტაკლის მხატვარი უშანგი იმერლიშვილია, მუსიკალური გაფორმება ზაზა მარჯანიშვილს ეკუთვნის, კომპიუტერული გრაფიკა კი ვლადიმერ მელცერს. სპექტაკლს ხშირად არ თამაშობენ. ამიტომ როცა გაიგებთ, რომ თამაშობენ, ნახეთ, ანუ 20 დეკემბერს.

ეს სპექტაკლი სიყვარულზეა. ამ გრძნობის ნოსტალგიაა. გულჩვილებს ცრემლსაც მოგგვრით. ქართველ ვიქტორსა და პოლონელ ჰელენას მოსკოვში ერთმანეთი შეუყვარდებათ. გოგონა კონსერვატორიაში სწავლობს და მომღერლის კარიერაზე ოცნებობს, ბიჭი ღვინის ტექნოლოგი და მომავალი მეღვინეა. წყვილის ძლიერ გრძნობას მათი ეროვნება და საბჭოთა რეჟიმი უშლის ხელს. მოქმედება 1947 წელს ხდება და იმ წელს შემოსული კანონის თანახმად, სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ერთმანეთზე ვერ იქორწინებდა. ვიტეგი (პოლონურად ასე ყღერს ვიქტორი) კარიერის დაკარგვის შიშმა შეიპყრო, ამიტომაც უარი თქვა საყვარელ ქალთან ერთად ცხოვრებაზე, თუმცა ამას აპირებდა. ჰელენას მოსკოვიდან სამშობლოში აძევებენ, ვიტეგს კი დაკითხავენ – თუ ამ ქალს არ შეეშვები, ვერაფერს მიაღწევ, ციხე გელოდებაო. კარიერამ გადაძლია. სხვანაირად ვერ მიაღწია წარმატებას, საკუთარი ლაბორატორია აქვს, მანქანის რიგშია. საბჭოთა კავშირს ემსახურა. ქალი კი თავისი ბუნებით უფრო გამბედავია, სიყვარულისთვის თავგასაწირად მზად არის. არც არაფერი აქვს დასაკარგი. რეჟისორი გოგა ოსეფაშვილი სიმბოლური ბოროტი ხელისშემშლელი ძალის როლს ასრულებს. სადაც სიყვარულია, იქვე ბოროტებაა. საბჭოთა პერიოდში მუდმივად იყო ვიღაც ასეთი უტყვი და უხილავი, ვინც ადამიანებს აკონტროლებდა. გმირები ამბობენ კიდეც – მარტო არ ვართო. ღამეს სხვაგან ვერ ათევენ, იმ წუთას აღინიშნებოდა, რომ არ იყო სასტუმროში.

სპექტაკლი მსახიობების ოსტატობაზე დგას. საათ-ნახევარში ქერა კულულებიანი მეოცნებე გოგონა ჭაღარა და ნარკოტიკზე დამოკიდებულ ნერვიულ ქალად ჩვენ თვალწინ იქცევა. როლში ბუნებრივია ბექა გოდერძიშვილი. „ჰელენას როლზე სხვაზე ვერც ვიფიქრებდი, დიდი პოტენციის მქონე ნიჭიერი მსახიობი სჭირდება. საათ-ნახევარში 30 წელი გაიარო სცენაზე, ძალიან რთულია. ამიტომ შევარჩიე ქეთი“ – ამბობს რეჟისორი, გოგა ოსეფაშვილი.

გოგა ოსეფაშვილი: თუ არ გტკივა, ისე სპექტაკლი არ გამოგივა. საზღვრების თემა გამძაფრებულია ყველაში, ჩემში განსაკუთრებით. ჩემი ქალიშვილი ისრაელში ცხოვრობს. ჩემი იქ ჩასვლა და მისი საქართველოში ჩამოსვლა გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. სპექტაკლი სიყვარულზეა, რომელმაც საზღვრები არ იცის. მაგრამ კომუნისტური რეჟიმის დროს კანონი გამოვიდა და უცხოელების ქორწინება აკრძალა. იცოდნენ, რომ უცხოეთიდან სხვა აზრებით ბრუნდებოდნენ უკან. ამერიკიდან ჩამოსულმა მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა. ამიტომაც იკეტებოდა საზღვრები.

მე სტუდენტებთან მაქვს შეხება და ხშირად მესმის, შეყვარებულები იყვნენ და დაშორდნენო. ეს არაფრად მიაჩნიათ, მერე რა მოხდაო და სხვასთან შეხვედრის იმედით არიან. გრძნობას გაფრთხილება უნდა. პიესაში ზორინთან ნელდება სიყვარული, ოცი წლის მერე ცივი შეხვედრა აქვს ამ წყვილს. ჩვენ მუშაობისას ვთქვით, რომ სიყვარულის უგულებელყოფა არ შეიძლება. მტკივნეული უნდა იყოს. თუ არ გააღვივე, ჩაქრება. ეს წყვილი განადგურებულია. იმ წყობამ დაანგრია. თუმცა ჩვენ ოპტიმისტურად დავასრულეთ. ჩვენთან ბოროტება ვერ იმარჯვებს. სიყვარულს ვერ დაანგრევ.

ბექა გოდერძიშვილი: ეს წყვილი სტალინის რეჟიმის მსხვერპლია. არშემდგარი ურთიერთობა მხოლოდ ვიქტორის ბრალი არ არის. მხოლოდ ის არ იყო ასეთ მდგომარეობაში. ბევრი წყვილი დააშორა საზღვრებმა და რეჟიმმა. გლობალურად თუ შევხედავთ, მე ვუგებ გმირს. შიში უნდა დაეძლიაო, მაგრამ იმდენად ტოტალურად იყო გამეფებული ეს შიში, ძნელი იყო რეჟიმის წინ აღგდომა. ჩემთვის მთავარი იყო გმირის ადამიანური მხარე მეჩვენებინა და არა როგორ გადალახა მან ეს შიში.

ქეთი ქიტიაშვილი: ძალიან მიყვარს ეს სპექტაკლი, როგორ შეიძლება არ მიყვარდეს. არაჩვეულებრივი პარტნიორი მყავს, არაჩვეულებრივი რეჟისორი ჰყავს სპექტაკლს. მუსიკა, მხატვრობა – ეპოქას აცოცხლებს. მაყურებელზე მოქმედებს და თვალცრემლიანები გვიყურებენ. თითქმის უკვე იმ ასაკში ვარ, რა ასაკშიც ბოლოს არის ჩემი გმირი. ის გატეხილი და განადგურებულია.

– წყვილს რამ შეუშალა ხელი?

– უფრო რომ ეაქტიურათ ერთად იქნებოდნენ. მამაკაცის ბრალი იყო. სისუსტე გამოამჟღავნა. ტყე-ტყე გავიპაროთო, ეთქვა ვიტეგს, გაპარულიყვნენ ვარშავაში. მაგრამ კარიერა ვერ დათმო, ფიქრობდა, რომ სამშობლოს ღალატობდა. მადლობა ბექას, პარტნიორს, ჩვენ ერთნი გავხდით მგონია. დღეს სიყვარულის ძალიან დიდი დეფიციტია და მე მინდა ეს სპექტაკლი ახალგაზრდებმა ნახონ. გრძნობას უნდა გაუფრთხილდნენ. სიყვარული, რომელსაც არ უფრთხილდებიან, ასე მთავრდება. ძველი ისტორიაა და არ მეგონა ასე თუ იმოქმედებდა ახალგაზრდებზე. ამას იმ ენერგეტიკით ვგრძნობ, რასაც მაყურებლისგან ვიღებთ.

გოგა ოსეფაშვილი: „პიესაში ზორინთან ნელდება სიყვარული, ოცი წლის მერე ცივი შეხვედრა აქვს ამ წყვილს. ჩვენ მუშაობისას ვთქვით, რომ სიყვარულის უგულებელყოფა არ შეიძლება. მტკივნეული უნდა იყოს. თუ არ გააღვივე, ჩაქრება“

ქეთი ქიტიაშვილი: „მე მინდა ეს სპექტაკლი ახალგაზრდებმა ნახონ. გრძნობას უნდა გაუფრთხილდნენ. სიყვარული, რომელსაც არ უფრთხილდებიან, ასე მთავრდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

გიორგი მოსიძე

paparazzi

ირაკლი ალასანია

რეზი არველაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

გიორგი გაგუნია

მიშა მესხი და ქუჩის ბიჭები

დათო ხუჯაძე და ანრი ჯოხაძე

ლევან წულაძე და დემნა ჯაფარიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოზარ სუბარის

my View

თამარ გონგაძე

„ქორწინების მეთორმეტე წელს მივაგორებთ. 10 დეკემბერს საერთაშორისო ჯილდო მივიღეთ ადამიანის უფლებების დაცვისთვის, ჩემს წვლილსაც არ უარვყოფ ამ ჯილდოს დამსახურებაში, ცხადია. ძლიერები ვართ - ბევრ ცდუნებას და გამოწვევას გავუძელით. ვიცით, რა მთავარ ღირებულებას არ უნდა ვუღალატოთ, რათა შენც ღირსეულად იცხოვრო და შენს ირგვლივ მყოფებმაც... სამი შვილი გვეზრდება, რომლებიც გვინდა, რომ თავისუფალ და ჯანსაღ გარემოში გაიზარდონ. ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ ჩვენმა, თქვენმა და ყველას შვილებმა კიდევ უფრო უკეთეს გარემოში იცხოვრონ!!!“– „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს სოზარ სუბარის მეუღლე თამთა ყუბანეიშვილი. „პრაიმტაიმის“ რუბრიკა „მეორე ნახევარი“ ამჯერად ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მეუღლის ინტერვიუს გთავაზობთ.

15 ივნისი სოზარ სუბარისა და თამთა ყუბანეიშვილის ქორწინების თარიღია. მეთორმეტე წელია ერთად არიან, როგორც ამბობს, ეს 12 წელი სავსეა სხვადასხვა სახის გამოწვევებითა და ჰარმონიული დღეებითაც. „არ მეგონა ამ თარიღს ჩემს ცხოვრებაში სხვა მოვლენა თუ გადაფარავდა. 2009 წელს 15 ივნისს პოლიციის სამმართველოს წინ მშვიდობიანი აქციის მონაწილეები, 100-მდე ახალგაზრდა ბიჭი სასტიკად სცემეს, დაჩი ცაგურია, ლევან გოგიჩაიშვილი და სხვები. იმ პერიოდში სოზარი სახალხო დამცველი იყო. 24 საათიან რეჟიმში უწევდა მუშაობდა და ჩვენი ქორწინების დღეს, 15 ივნისს, რამდენიმედღიანი განტვირთვა დავგეგმეთ. მისი სახალხო დამცველობის მეხუთე წელს მოვახერხეთ და წავედით ერთად უცხოეთში - შვედეთის ომბუდსმენის მე-200 წლისთავის იუბილეზე ვიყავით მიწვეულები. იქ შეგვატყობინეს ეს ამბავი - სასწრაფოდ შეწყვიტეთ ვიზიტი - ბიჭები დაასისხლიანეს და უნდა დაბრუნდეთ საქართველოშიო. ცხადია, უთქმელად ჩავალაგე ბარგი, ბილეთები გადავცვალეთ და გადმოვფრინდით თბილისში. ამ თარიღის გატარება „კაპეზეში“ მოუხდა. თუმცა ამ ისტორიის გახსენება სიამაყით მავსებს, როცა აქციის მონაწილეები მიყვებიან მაშინდელ განცდებს: რომ შემოვარდა „კაპეზეში“ და ვლაპარაკობდით, ბოლმა ახრჩობდა უსამართლობის, ზუსტად ასე იყო. ვუყურებდით სოზარს და ვხვდებოდით, ყელში ბურთი ჰქონდა გაჩხერილი, თავს ვერ იკავებდა. არაერთხელ გადავურჩენივართო. მსგავსი ისტორია ბევრჯერ მაქვს სხვებისგანაც მოსმენილი. ცხადია, ეს ძალიან მეამაყება და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთ დროს ჩემგან ყოველთვის ჰქონდა სრული მხარდაჭერა. ჩვენ ცხოვრებაში ბევრი უძილო ღამე ყოფილა, მრისხანე ზარებიც პირველი პირებისგან, ახლა სხვა კიდევ უფრო რთული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. მოკლედ, ჩვენი ცხოვრების არც ერთი ეტაპი არ ყოფილა მარტივი, სირთულეები ჩვენი ცხოვრების წესი გახდა უკვე და არ ვენინააღმდეგებით. მგონია, რომ ღირსეულად ვუძლებთ. ყოველ შემთხვევაში, მცდელობას არ ვაკლებთ“**

„მეჩვენება, რომ ჩემს მეუღლეს ჩემი ხელი აკლია. ზოგჯერ აღმოვაჩენთ, რომ პერანგი არ არის დაუთოებული. ხშირად ვახშამი შეიძლება არ დახვდეს მომზადებული. მაგრამ წუწუნის და საყვედურის გარეშე მოძებნის ალტერნატივას. მაგალითად, მაცივარში ყოველთვის მოიძებნება მანონი, ან ხაჭო და მშვენივრად დანაყრდება“

„დღემდე ასე ვცხოვრობთ“

თამთა პროფესიით ჟურნალისტია. სოზართან პროფესიამ დააკავშირა. მაშინ სუბარი რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი იყო. თამთა, უკვე 6 წელია, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტში“ მუშაობს, მედიის პროექტების მენეჯერის პოზიციაზე. არის, ასევე მედიამკვლევარი. „ფეისბუქის“ პოსტებიდანაც ჩანს, რომ მეუღლის მიმართ ხშირად გამახატავს თანაგრძნობას და მხარდაჭერას. მათ შორის 18-წლიანი ასაკობრივი სხვაობაა. თუმცა ეს მათ ურთიერთობაზე ცალსახად დადებითად არის ასახული.

თამთა ყუბანეიშვილი: ვთვლი, რომ ჩვენი ურთიერთობის ჰარმონიულობა ამ ასაკობრივ სხვაობაზეც დგას. ჩვენ ვართ წყვილი, რომელიც პატივს სცემს ერთმანეთის აზრს, ითვალისწინებს განსხვავებულ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი სიყვარული დგას ერთმანეთის პატიცისცემაზე, გაძლიერებაზე და ურთიერთთანადგომაზე. ჩვენ ერთმანეთს ჩვენი ქმედებებით და სიტყვებით მუდმივად ვაძლიერებთ. ამიტომაც სოზარის მცდელობა რაც შეიძლება მისგან დამოუკიდებელი ადამიანი ვყოფილიყავი, თუნდაც ფინანსურად, თუნდაც საქმით და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სრულიად ადეკვატურად აღვიქვი.

– და თავის დროზე მოგთხოვათ კიდეც მუშაობის დაწყება.

– ყოველთვის აქტიური ადამიანი ვიყავი, სტუდენტობიდან მოყოლებული. ყველა სახის ტრენინგსა და სემინარში ვმონაწილეობდი, რაც კი ჟურნალისტიკის მიმართულებით იმართებოდა. ჩვენ ერთმანეთს პროფესიამ დაგვაკავშირა. სოზარი ძალიან კომპეტენტური, მოტივირებული და შრომისმოყვარეა, ამიტომაც მას გვერდით ასეთივე ადამიანი სჭირდება. მასთან თანასწორი და მასავით ძლიერი, რომელიც თანაბრად შეძლებს იყოს რეალიზებული საქმეშიც, ოჯახშიც, შვილებისთვის კარგი დედა იყოს და ის სტატუსიც ღირსეულად ატაროს, რასაც მეუღლის სტატუსს ვეძახით. არ არის ადვილი სამივე ამპლუაში თანაბრად საინტერესო იყო, თან მომხიბლავი, თან მაქსიმალურად რეალიზებული... თუმცა, მე მაინც ვცდილობ ეს სამივე მდგომარეობა თანაბრად დავაკმაყოფილო. ცხადია, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ აუცილებელია მეტი დრო დავუთმო შვილებს და მეუღლეს... მეჩვენება, რომ ჩემს მეუღლეს ჩემი ხელი აკლია. მაგალითად, ზოგჯერ აღმოვაჩენთ, რომ პერანგი არ არის დაუთოებული. ხშირად ვახშამი შეიძლება არ დახვდეს მომზადებული. მაგრამ წუწუნის გარეშე მოძებნის ალტერნატივას. მაგალითად, მაცივარში ყოველთვის მოიძებნება მანონი, ან ხაჭო... ჩვენ ასეთ ყოფით თემებზე ერთმანეთს არასდროს ვანერვიულებთ.

„ბევრი განსაცდელი გაიარა“

– ძნელია პოლიტიკოსის ცოლობა?

– რაც ერთად ვართ, ის საჯარო პირია და ეს ყველაფერი მე სრულიად გაცნობიერებული მქონდა წლების წინ და მზად შევხვდი ამ მდგომარეობას. ვერ ვიტყვი, რომ ეს არ მთრგუნავს ან მომწონს. მუდმივად ვაკონტროლებ საკუთარ ქცევას, ემოციებს, ქმედებებს. მაგრამ, ამავე დროს ძალიან გულწრფელი ადამიანი ვარ და მიყვარს ადამიანებთან უშუალოდ ურთიერთობა. შენს პირად სივრცეს ვერ შემოსაზღვრავ ბოლომდე. ვალდებული ხარ საჯარო ინტერესი დაიკმაყოფილო მინიმალურ დონეზე მაინც. ვცდილობთ, ამ საჯარო სტატუსის გამო ბავშვები არ დაიჩაგრონ. თუმცა მათ ისიც იციან, რომ მთლად თავისუფლები ვერ იქნებიან თავიანთ ქმედებებში. ჩვენ მაინც ამ თავისუფლების ხარისხს მაქსიმალურად მაღლა ვწევთ მათთვის, რათა სრულფასოვანი განვითარების საშუალება ჰქონდეთ. მოკლედ, ბალანსის დაცვას ვცდილობთ ვალდებულებებსა და პიროვნულ თავისუფლებას შორის.

- ყურადღება დისკომფორტს გიქმნით?

- ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან მიყვარს. ჩემი ამჟამინდელი საქმიანობაც ამას მავალდებულებს. საზოგადოებასთან მუდმივი კონტაქტი მაქვს. სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, სხვადასხვა სოციალურ თუ ასაკობრივ ჯგუფთან. ზოგჯერ იგებენ, რომ საჯარო პირის მეუღლე ვარ. ეს მე არანაირად არ მზღუდავს. პირიქით, თუ რამე აქვთ სათქმელი და

„ვთვლი, რომ ჩვენი ურთიერთობის ჰარმონიულობა ამ ასაკობრივ სხვაობაზეც დგას. ჩვენ ვართ წყვილი, რომელიც პატივს სცემს ერთმანეთის აზრს, ითვალისწინებს განსხვავებულ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით“

„ორივე გულია ვართ, ხალისიანები, გვიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, ფიზიკურადაც გვამსგავსებდენ - მაღლები ვართ. ეს ხშირად მსმენია. პრინციპში კარგია თუ ვგავართ, ესე იგი ერთმანეთის გარეშე არ განგვიხილავენ“

გადასაცემი, სიამოვნებით ვასრულებ შუამავლის როლს. სრულყოფილად ვფლობ ხოლმე ინფორმაციას, მათ გულისტკივილს, წუხილს, შენიშვნებს, პოზიტიურ შეფასებებსაც ვაწვდი სოზარს. მიმაჩნია, რომ ამ გზით ის კიდევ უფრო ეფექტური იქნება. თხოვნებით მოდიან და მეც მაშინვე ვრეაგირებ, ზოგჯერ შედეგმა შეიძლება დააგვიანოს, მაგრამ მე ვცდილობ. ჩვენ ვთვლით, რომ მსგავსი ტიპის ინფორმაციების ურთიერთგაცვლა ჩვენი მოვალეობაა. ვცდილობთ, ერთმანეთთან ასეთი საქმიანი და ქმედითი ურთიერთობაც გვქონდეს.

– კონკრეტულად რას საქმიანობთ?

– ვმუშაობ არასამთავრობო ორგანიზაციაში „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“. ვარ მედიის პროექტების მენეჯერი. რამდენიმე გამოკვეთილი მიმართულება გვაქვს: განათლება, მედია, ადგილობრივი თვითმმართველობა. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის საგანმანათლებლო რესურსებს ვქმნით და გამოვცემთ, ხოლო მედიაში პროფესიული სტანდარტის ამაღლებაზე ვმუშაობთ. მომზადებული გვაქვს სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამა ამ მიმართულებით. ასევე, ვახორციელებთ მედიასაშუალებების საარჩევნო და თემატურ მონიტორინგს. ამ ორგანიზაციაში მაშინ დავიწყე მუშაობა, როცა დაფუძნდა ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და ჩემს თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული იმ საორგანიზაციო ჯგუფში, რომელმაც დააფუძნა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ერთ-ერთი პირველი ხელმომწერიც ვარ, ცხადია. მოქალაქე ჟურნალისტების პრაქტიკაც ჩვენთან დაინერგა და შემდეგ სხვა ორგანიზაციებმაც გაიზიარეს აქტიურად ჩვენი გამოცდილება. ამჟამად, ვარ ორი მიმდინარე პროექტის კოორდინატორი, ერთი პროექტი ახალგაზრდების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ეფექტური მოდელის შექმნას ითვალისწინებს, ხოლო მეორე პროექტი მედიანიგნიერებისათვის საგანმანათლებლო ვიდეორესურსების შექმნას ითვალისწინებს.

– ყველაზე მშფოთვარე მისი ომბუდსმენობის პერიოდი იყო?

– როგორ გითხრათ, ყველა პერიოდს თავისი ხიბლი და სირთულეც ახლდა. თუმცა, მაინც სახალხო დამცველობის პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ჩვენს ცხოვრებაში. მე ნათლად დავინახე სოზარი, როგორც პიროვნება, როგორც გუნდის პასუხისმგებელი ლიდერი. ვთვლი, რომ ორივემ ღირსეულად გავიარეთ ეს ეტაპი. მატერიალურ სარგებელზე არასდროს გვიფიქრია. გაცილებით მნიშვნელოვანი ფასეულობები გვაქვს. ვთვლი, რომ საკმაოდ მოკრძალებულად ვიცხოვრეთ და დღემდე ასე ვცხოვრობთ. ვიტყვი, რომ ცდუნებებით სავსე იყო ის პერიოდი, მაღალი ხელფასის, მშვიდი თანამდებობის შემოთავაზებით და მუქარით ოჯახის წევრების დაპატიმრებით დამთავრებული. ჩვენ რომ მატერიალური ღირებულებები წინა პლანზე დაგვეყენებინა, მაშინ ის ანგარიშები და ალტერნატიული ექსპერტიზები არ იქნებოდა, რასაც დღეს პროკურატურა მტკიცებულებების სახით იყენებს. ერთადერთი ყველაზე ძლიერი ინსტიტუცია, რაც იმ პერიოდის საქართველოში შეიქმნა, ეს სახალხო დამცველის ინსტიტუტია. ამას თამამად ვამბობ. სოზარის ამჟამინდელ საქმიანობას რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ საკმაოდ ნარმატებულია, ის მაქსიმალისტია და ცდილობს მინიმუმადე დაიყვანოს ხარვეზები თავის საქმიანობაში. ბუნებით ჰუმანისტ პიროვნებას ადამიანებთან უნდა ჰქონდეს უშუალო შეხება. მას უნდა მიეცეს საშუალება, რომ იზრუნოს ადამიანების კეთილდღეობისთვის და იქნება ყოველთვის წარმატებული.

ბევრი მიმართულებით გამოსცადა საკუთარი თავი - ადრეულ ასაკში ობლობა, აფხაზეთის ომშიც იბრძოდა, მკაცრი სამონასტრო ცხოვრება, გაჭირვება, ოპოზიციაც და ხელისუფლებაში ყოფნაც... ვთვლი, რომ ყველა ამ განსაცდელიდან ის ღირსეულად გამოვიდა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ გვერდით ისეთი ადამიანი მყავს, რომლის მთავარი საზრუნავიც ხალხის კეთილდღეობაა.

„გვამსგავსებდნენ“

– სოზარი 37 წლის იყო ცოლი რომ შეირთო. თქვენ ხომ არ იაქტიურეთ?

– ჩვენ ერთმანეთს პროფესიამ დაგვაკავშირა. მაშინ სოზარი რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი იყო. მე დამწყები ჟურნალისტი ვიყავი. ერთმანეთის ღირებულებებში მალევე გავერკვიეთ. მისთვისაც ამოსავალი ნერტილი ადამიანის სიყვარულია და ჩემთვისაც. ეს ურთიერთგაგების უხ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ილავი ძაფები მაშინვე გაიბა. მერე მოვიდა სიმპათიაც და ერთ დღესაც აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთის გარეშე აღარ შეგვეძლო. ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა. თუმცა ჩვენ ირგვლივ მყოფი ადამიანები უფრო ატყობდნენ ჩვენ სიყვარულს ადრეულ ეტაპზევე, ვიდრე ჩვენ. როგორც ჩანს, ბევრად ადრე გვეტყობოდა, ვიდრე თავად გავიაზრებდით. თავიდან ხუმრობდნენ, ერთმანეთს როგორ ჰგავხართო. ორივე გულღია ვართ, ხალისიანები, გვიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, ფიზიკურადაც გვამსგავსებდენ - მაღლები ვართ. ეს ხშირად მსმენია. პრინციპში კარგია, თუ ვგავართ, ესე იგი ერთმანეთის გარეშე არ განგვიხილავენ.

– როგორ გამოგიტყდათ?

– ურთიერთობა ნელ-ნელა გამოიკვეთა. თავისთავად მოხდა. რაღაც ეტაპზე ყველაფერი უკვე გარკვეული იყო. ერთხელ თქვა, გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო და როგორც გადაწყვეტ, ისე იქნებაო. ჩათვალა, რომ მისი მხრიდან გადაწყვეტილი იყო და სიტყვა ჩემზე იყო. მეც ვუთხარი, გადაწყვეტილება მიღებული მაქვს-მეთქი. მაშინვე არ უკითხავს, რა იყო ეს გადაწყვეტილება. გამაცნო ოჯახის წევრები, ჩემი მშობლებიც მალევე გაიცნო, ნათესაობა. არ მიყვარს ასეთ დეტალებზე საუბარი. ჩემს პირად სივრცეში ასე ღრმადაც ვერ შემოგიშვებთ. ერთ ფაქტს გეტყვით. დედა წელინად-ნახევრის წინ გარდაიცვალა. გარდაცვალების წინა დღეს სოზარი დაიბარა და უთხრა - დიდ მადლობას გეუბნები ჩემი შვილი ასე რომ გიყვარს და დიდ პატივს სცემო. ამ ყველაფერს ახსნა აღარ სჭირდება. ეს ჩვენი ჭეშმარიტი სიყვარულის დასაბუთებაა.

ეშმაკური გამოსავალი

– როდის სვანდება ხოლმე?

– არ მიყვარს კუთხურობაზე ხაზგასმა, თუმცა არ გამოდის მაინც სხვაგვარად. პატარ-პატარა განსხვავებებს აღმოვაჩენ ხოლმე მაინც. არ ვიცრუებ. ხშირად ვკამათობთ, აზრების ემოციური გაცვლა-გამოცვლა გვაქვს. ოჯახში ეს საჭიროა და ემოციებიც უნდა გამოავლინო, ზოგჯერ დაიხარჯო. თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურად აისახება ჩვენს ურთიერთობაზე.

– სვანებზე ანეკდოტებზე რა რეაქცია აქვს?

– მას კი არა, მეც ძალიან არ მიყვარს სვანებზე ანეკდოტები.

– სვანების რძალი კუბდარს აცხობთ?

– ეშმაკური გამოსავალი ვიპოვე და ვამბობ, კარგ კუბდარს სვანის გარდა ვერავინ დააცხობს-მეთქი. ყველაფერს ვამზადებ, როგორც აღნიშნავენ, კარგი კულინარი ვარ.

– ყოველთვის რა დევს თქვენს მაცივარში?

– რძის ნაწარმი – მაწონი, ხაჭო, რძე. დილით ფაფებს ვაკეთებ და ბავშვებს თუ მორჩებათ, მამას არ უჭირს ქვაბის ამოსუფთავება. ფაფების მჭამელი კაცი ხუმრობანარევი კომენტარის გამო ლოთი გამოიყვანეს. ასე მიზანმიმართულად დაგეგმილი და განხორციელებული კამპანია სხვა არ მინახავს. ლამის დააჯერეს ხალხი. მე ადამიანთა იმ კატეგორიას განვეკუთვნები, ვისაც მიაჩნია, რომ კრიტიკა აჯანსაღებს პროცესს, თანამდებობის პირს მეტად მოტივირებულს ხდის. ამ ტყუილის ტირაჟირება კი ყოველგვარს საზღვარს გასცდა. დღესაც აქა-იქ მოიშველიებენ ხოლმე, როცა სხვას ვერაფერს პოულობენ სოზარის წინააღმდეგ. მას ამაზე დღემდე ეცინება. მე მალევე მივხვდი, რომ ეს მის წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი კამპანის ნაწილი გახდებოდა.

– ქეიფის დროს ქართულად მოლხენა არ უყვარს?

– არ უყვარს. ღრეობაში გადასული ქართული სუფრა უბრალოდ ღლის. ასევე, დიდხანს ვერ გააჩერებ სუფრასთან, სუფრას პირველები ვტოვებთ ხოლმე ყოველთვის, როცა ზღვარგადასული სმა იწყება.

შვილები

თამთას და სოზარს ათი წლის ნინი, ცხრა წლის ლუკა და ექვსი წლის მათე ჰყავთ. ლიბერალი მშობლების დამოკიდებულება ბავშვების ყოფაქცევაზე აისახაო, დედა ამბობს.

„ინდივიდუალურები არიან. ერთმანეთისგან განსხვავებულები. მასწავლებლები ამბობენ, ვერ იფიქრებ, თუ ერთ ოჯახში არიან გაზრდილებიო. ამ ინდივიდუალიზმის განვითარებას ჩვენც ვუწყობთ ხელს. თუმცა ახლა იმის მზა რეცეპტს ვერ მოგცემთ, მაინცდამაინც რას ვაკეთებთ ამისთვის. მაგრამ ბავშვებს ხშირად ვეკითხებით, ღამის საუბრებიც გვაქვს ხოლმე ძილის წინ – როგორ გირჩევნია, შენ როგორც გინდა, ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. იციან, რომ ყოველთვის შევეკითხებით – როგორ ურჩევნიათ“.

– მამობამ რითი შეცვალა?

– უფრო პასუხიმგებლიანი გახდა ოჯახის, ყოველი მომდევნო შვილი მიმართ. ასევე, მეც. პირველად 21 წლის ასაკში გავხდი დედა. შვილს ვერ ვკიდებდი ხელს, ძალიან დამფრთხალი ვიყავი. მეორე შვილზე ვცადე დამოუკიდებლად მოქმედება, მესამეზე კი უკვე განვახორციელე და მაქსიმალურად დამოუკიდებლად გავზარდე. ახლა, საერთოდ არ მიჭირს. ორგანიზებულად სამივეს წაყვანა, დასვენება და მოვლა. სოზარი სამივე შვილის დაბადებას დაესწრო. მამაკაცებს ვურჩევ, ცხადია, ამ მძიმე და მნიშვნელოვან წუთებში მეუღლეების გვერდით იყვნენ. ოჯახის სიმტკიცის და ერთიანობის პატარა გარანტი შვილის დაბადების დროს მეუღლის გვერდით ყოფნაც არის. სოზარის ხელები ჩემს კისერზე არ დამავიწყდება არასდროს, მივხვდი, რომ ჩემი ტკივილი მანაც განიცადა და გაიზიარა. ამას ყოველთვის ვგრძნობ და სულ თან დამყვება ეს შეგრძნება.

„არ გაუუცხოვდე ხალხს“

– 4 ნოემბერს 50 წლის გახდა. როგორ აღნიშნა?

– არ უყვარს ზედმეტი ხმაური, გადატვირთული სუფრა, პათეტიკით სავსე სადღეგრძელოები. მიაჩნია, რომ არც ამის დრო, განწყობა და შესაძლებლობებია. თუმცა მაინც გადავწყვიტე ამ სიურპრიზის ორგანიზება, შევკრიბე მცირე საახლობლო, თვითონ გვიან შემოგვიერთდა. შევუკვეთე სვანური ქუდის ფორმის ტორტი. გაუკვირდა ეს სიურპრიზი, თუმცა ესიამოვნა.

– როგორ მიმართავთ ჩვენი ფურცლებიდან?

– სოზარ, ჩემთვის ისევ საამაყო რომ დარჩე, ხალხს არ დაშორდე. მათთან მუდმივ კონტაქტზე იყავი, მათ მაჯისცემაზე ხელი გეკიდოს, მოუსმინე და არ გაუუცხოვდე მათ.



თამთა ყუბანეიშვილი: „ერთ დღესაც აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთის გარეშე აღარ შეგვეძლო. ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა. თუმცა ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები უფრო ატყობდნენ ჩვენს სიყვარულს, ადრეულ ეტაპზევე, ვიდრე ჩვენ. როგორც ჩანს, ბევრად ადრე გვეტყობოდა, ვიდრე თავად გავიაზრებდით“

„დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს მიღებული. ბევრი განსაცდელი გაიარა, თავი ადრეულ ასაკში ოგლობაშიც გამოსცადა, ომშიც, მკაცრ სამონასტრო ცხოვრებაშიც, გაჭირვებაშიც, ოპოზიციაშიც და ხელისუფლებშიც. ვთვლი, რომ ყველა ამ განსაცდელიდან ძალიან ღირსეულად გამოვიდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Happy Hands-ს სპეციალურა

my View
თამარ გონგაძე

„ნიჭიერის“ პირველმა პირდაპირმა ეთერმა წარმატებით ჩაიარა. მაყურებელმა თავისი საყვარელი მეგაშოუ ერთ ამოსუნთქვაში იხილა. მრავალფეროვან ნომრებს შორის მაყურებლის ფავორიტებიც გამოიკვეთა. ხალხის რჩეული გახდა თემო და ქეთი, მოცეკვავე წყვილი. „ნიჭიერების, ნებისყოფისა და ცხოვრების სიხარულის ეტალონი“ - ასე შეაფასეს მათი გამოსვლა ჟიურის წევრებმა. LG-ს რჩეული გახდა Happy Hands – ჯგუფი, რომელმაც 5 596 „ლაიქი“ დააგროვა. ჟიურის რჩეული გახდა გევორქ პეტროსიანი – „კარუზო“ ტაქსისტი. შოუში უცხოელი კონკურსანტებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის ჟან ფრანსუა მარტელი ძალოსანი და აკრობატი კანადიდან! რუსი აკრობატები.

ჟან ფრანსუა: მე საქართველოში უფრო ცნობილი გავხდებოდი ჩემი სიძლიერით და ამიტომაც გადავწყვიტე, რომ სწორედ თქვენ „ნიჭიერში“ მიმეღო მონაწილეობა. ძალიან მომწონს ჟიურის წევრი ქალბატონები. საერთოდ, კარგი აურაა აქ, მომწონს ქართველები. ექსპრესიულები, ემოციურები და ლაღები ხართ. ბევრი მძლეოსანი არ იყო შოუში და ამიტომაც თითქმის უკონკურენტო ვიყავი.

მოსკოველმა აკრობატმა გოგონებმა Wild Girls-მა დარბაზის აღფრთოვანება გამოიწვია.

„ორ წელზე ნაკლებია, რაც ვვარჯიშობთ. ჩვენით მივაღწიეთ იმ დონეს, რაც წარმოგიდგინეთ. თქვენი ქვეყანა დავათვალიერეთ, ძალიან მოგვეწონა. სტუმართმოყვარენი ხართ.

Happy Hands

ჯგუფმა Happy Hands მიუზიკლ „ჩიკაგოდან“ კომპოზიცია ეფექტურად წარმოადგინეს. 2 წუთნახევრიანი ნომერი იმდენად მრავალფეროვანი იყო, რომ გეგონებოდათ ხუთ წუთს გაგრძელდა. შვიდმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ აფრიკული რიტმების, „რივერდანსის“ და „ჩიჩოტკას“ შესანიშნავი მიქსი წარმოადგინა. ეს შვიდეული სეუს, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. კახი ბილანიშვილი, დაიანა ვაშაკიძე, ანა ვაშაკიძე, თეო ჯიველეკი, მარიკო საველიძე, ბექა არსენიძე, ლუკა კორძაძე ჯგუფელები არიან.

ბექა მაქაცარია Happy Hands-ის ხელმძღვანელია. სამი წელია ბექას სეუში თავისი ჯგუფი შეკრიბა, სადაც 60 სტუდენტია გაერთიანებული. ჯგუფი სამ ქვეჯგუფად არის დაყოფილი და ჩრდილოეთის თეატრსაც მოიცავს. რაც შეეხება Happy Hands-ს სამი თვეა სპეციალურად „ნიჭიერისთვის“ შეიქმნა. დასაწყისში YouTube-ს ვიდეოებიდან ირეპეტიციეს. ბექა თავს მოყვარულ რეჟისორს უწოდებს.

ბექა მაქაცარია: ყველაფერს ნიჭისა და მონდომების მეშვეობით ვაკეთებთ. ყველანი მოყვარულები ვართ. ნახევარი წელი დაგვჭირდა, რომ შედეგისთვის მიგვეღწია და სწორი ფორმით მიგვეღო მუსიკალური ნომრები. მერე ერთი თვე დასჭირდა ნომრის დამუშავებას. ჩვენ ისეთი რითმები შევქმენით, რომელსაც მუსიკალური მინუსი არ დასჭირდებოდა. „ნიჭიერში“ ჩვენ პირველ ნომერს არ ჰქონია მუსიკა.

– ვისგან დააკომპლექტეს ჯგუფი?

– ისინი ჯგუფელები არიან და ფინანსებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე სწავლობენ. 21 წლისანი არიან.

ბექა არსენიძე: ბავშვობიდან ვუკრავ ტამტამების მაგვარ საგნებზე. ბატონმა ბექამ პირველად მე შემომთავაზა, მერე ჯგუფი შეიკრა და ნომრების კეთებას შევუდექით.

– რატომ მიხვედით „ნიჭიერში“?

ბექა მაქაცარია: ასეთი მუსიკალური მიმდინარეობა საქართველოში არ არსებობს და გვინდოდა მაყურებლისთვის გვეჩვენებინა, რომ ხელების დარტყმით შეიძლება ასეთი მუსიკალური ნომრის მიღება. ჩვენდა გასაოცრად მაყურებელმაც და ჟიურიმაც დადებითად მიიღეს ჩვენი ნომერი. ამას არ ველოდით. ასეთი ფორმით მუსიკალური ნომრით გასვლა რთულად გასაგები გახდებოდა გვეგონა. ეს ნომერი ორი თვის მანძილზე მოვამზადეთ და ის ჩემთან ერთად ჯგუფის ოთხივე წევრმა შექმნა.

– რას ეძახით ამ მიმდინარეობას?

– მუსიკალური ნომერია, რომელსაც ქორეოგრაფიული ნომრის სახით შოუს ელემენტები ემატება.

– ლაივისთვის როგორ მოემზადეთ?

– ეს ნომერი დიდი სტიმულით დავდგით. მეორე ტურიდან ნახევარფინალამდე ერთი კვირა გვქონდა, ამ დროში მოვასწარით ნომრის დადგმა. დღე და ღამე ვრეპეტიციობდით. ფინალისთვის უფრო მეტი დრო გვექნება და შესაბამისად უფრო რთულ ნომერს შემოგთავაზებთ.

– ღელავდნენ მონაწილეები?

– სცენაზე გასვლის წინ ღელავდნენ, რთულია თან იცეკვო, თან დაუკრა, თან იმღერო

„ბოგონებს ძალიან გაუხეშებული აქვთ ხელები. მაგრამ მსხვერპლზე მიდიან, რადგან იციან, რომ მთავარი შედეგია“

„მეორე ტურიდან ნახევარფინალამდე ერთი კვირა გვქონდა, ამ დროში მოვასწარით ნომრის დადგმა. დღე და ღამე ვრეპეტიციობდით. ფინალისთვის უფრო მეტი დრო გვექნება და შესაბამისად, უფრო რთულ ნომერს შემოგთავაზებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Д „ნიჭიერისთვის“ შეიქმნა

ბექა მაძაცარია: „ყველაფერს ნიჭისა და მონდომების მეშვეობით ვაკეთებთ. ყველანი მოყვარულები ვართ. ნახევარი წელი დაგვჭირდა, რომ შედეგისთვის მიგვეღწია და სწორი ფორმით მიგვეღო მუსიკალური ნომრები“

EXCLUSIVE

„დარტყმები ხელებისთვის მტკივნეულია. თითქმის მთლიანი ხელი გიშეშდება. მერე ამას ეჩვევი და ტკივილი სასიამოვნო შეგრძნებაში გადადის“

„ასეთი მუსიკალური მიმდინარეობა საქართველოში არ არსებობს და გვინდოდა მაყურებლისთვის გვეჩვენებინა, რომ ხელების დარტყმით შეიძლება ასეთი მუსიკალური ნომრის მიღება. ჩვენდა გასაოცრად, მაყურებელმაც და ჟიურიმაც დადებითად მიიღეს ჩვენი ნომერი“

და ემოციამ ხელი არ შეგიშალოს. მაგრამ მოიკრიბეს ძალა და კარგად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

– მუშაობის პროცესი როგორია?

– რთულია. დარტყმები ხელებისთვის მტკივნეულია. თითქმის მთლიანი ხელი გიშეშდება. მერე ამას ეჩვევი და ტკივილი სასიამოვნო შეგრძნებაში გადადის.

– ხელზე არაფერს იხვევენ, რომ ეს ტკივილი შემსუბუქდეს?

– ზოგჯერ ქსოვილს ვაფენთ ინსტრუმენტზე, მაგრამ იშვიათად. ეს გამოსვლის წინ ხდება, რომ სცენაზე ხელები ფორმაში იყოს.

– გოგონებს არ უუხეშდებათ ხელები?

– დიახ, გოგონებს ძალიან გაუხეშებული აქვთ ხელები. მაგრამ მსხვერპლზე მიდიან, რადგან იციან, რომ მთავარი შედეგია.

– ამ ნომრის შესრულებას ძალა სჭირდება და ბიჭებს უფრო ადვილად ხომ არ გამოსდით?

– ძალა სჭირდება, მაგრამ აქ მთავარი მონდომებაა.

– „ნიჭიერის“ მერე ამ სფეროსადმი ინტერესი გაიზარდა?

– გაიზარდა. უნივერსიტეტში ბევრი მსურველია და დადიან კიდეც მოსამზადებლად. ჩვენი სარეპეტიციო გვაქვს. რადგან მოლოდინი დიდია, ჩვენც გრანდიოზულ ნომერს ვამზადებთ. სიახლეს ელოდებიან და ჩვენც ვემზადებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ფლეი ბოი“ 23 წლის მოდე

my View

ეკა ჩიკვაიძე

„ეს არასდროს მითქვამს, ბევრჯერ ვცადე თავის მოკვლა“

„ფლეი ბოი“-ს იმიტომ დავთანხმდი, რომ ძალიან მაღალი ანაზღაურებაა“

თამუნა ვაშალომიძე გასული კვირის ყველაზე პოპულარულ ადამიანად იქცა. „იმედის კვირაში“ მისმა ნახევრადშიშველმა გამოჩენამ მთელი საქართველო აალაპარაკა. ყოფილმა მედავითნემ, რომელიც ახლა რუსულ „ფლეი ბოი“-ს თანამშრომლობაზე დათანხმდა, ხალხის კრიტიკა გამოიწვია. უარყოფითი დამოკიდებულება წამოვიდა როგორც ხალხისგან და ეკლესიისგან, ისე მისი ოჯახის წევრებისგანაც. ინტერნეტსივრცეში მისი დედის ინტერვიუები გავრცელდა, მას ასეთი შვილის რცხვენია... თამუნას საქციელი მისმა მამინაცვალმა და ცნობილმა მუსიკოსმა კაკო ვაშალომიძემაც გააკრიტიკა. მოკლედ, 23 წლის მოდელ თამუნას, უცბად, კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს.

„ყველას აინტერესებს, როგორ მოვხვდი ეკლესიიდან აქ, მაგრამ ეს უცებ არ ყოფილა“

თამუნა კახეთში, სოფელ ქვემო ხოდაშენში დაიბადა და გაიზარდა. დედამ უმამოდ გაჩენილი შვილი ბებია-ბაბუასთან დატოვა და თბილისში წავიდა. ცოტა ხანში თამუნას მამინაცვალი გამოუჩნდა, რომელმაც მას გვარი მისცა და თბილისში ჩამოიყვანა საცხოვრებლად. 14 წლის ასაკში ეკლესიაში დაიწყო სიარული და მედავითნეც გახდა. პარალელურად [illegible] დამლაგებლად [illegible] უწევდა მუშაობა. ცოტა ხანში სახლიდან [illegible] წამოსვლა და დამოუკიდებლად ცხოვრება მოუნია. ამას ბევრი პრობლემა მოჰყვა. ამასობაში პატარა თამუნა გაიზარდა და აღმოაჩინა, რომ არც ისე ცუდი აღნაგობა აქვს. გადაწყვიტა ბავშვობის ოცნება აესრულებინა და მოდელობა დაეწყო. ბედი ჯერ საქართველოში სცადა და „მის ბიკინიში“ მიიღო მონაწილეობა. მერე კოსოვოში წავიდა და საკმაოდ მაცდური წინადადებით ჩამოვიდა. თამუნამ წარმატების და პოპულარობის შანსი ხელიდან არ გაუშვა და მალე მას რუსული „ფლეი ბოი“-ს ყდაზე სრულიად შიშველს ვიხილავთ.

თამუნა ვაშალომიძე: „სიმართლე რომ გითხრათ, ასეთ გამოხმაურებას მართლა არ ველოდი. ოჯახური გამოხმაურება რომ არ ყოფილიყო, მე ვფიქრობ, ასეთი აქტუალური არ ვიქნებოდი. ისე დაემთხვა დედის ინტერვიუ, მერე მამინაცვლის და ხალხმა აიტაცა. კი, ველოდებოდი, რომ ილაპარაკებდნენ და ჩაწყნარდებოდა, მაგრამ როგორც ვხედავ არ მთავრდება. ბევრს ეგონა, რომ წინასწარ მქონდა ასე დაგეგმილი. მართლა არ იყო დაგეგმილი, რომ ოჯახი და ეკლესია გამერია და პიარი გამეკეთებინა. მე ვიცი, რომ ჩემს ინტერვიუს დედა კიდევ გამოეხმაურება. სანამ „იმედი“-ს ეთერში გამოვიდოდი, ერთ-ერთ საიტზე დაიდო ჩემი ინტერვიუ. აქცენტი „ფლეი ბოი“-ზე იყო გაკეთებული, შემთხვევით ვახსენე, რომ ადრე მედავითნე ვიყავი და მეორე დღეს ერთი ამბავი ატყდა“.

ბოლოს დედა სასამართლოზე ვნახე

ტელევიზიით ასე სკანდალურად გამოჩენის შემდეგ, თამუნამ სოფელში ბებიას ჩააკითხა. ის ერთადერთია, ვისი აზრიც თამუნას აინტერესებს. როგორც მისმა დედამ ინტერვიუებში აღნიშნა, თამუნა სახლიდან დიდი ხნის წასულია. პირადი ისტორია კი, რომელსაც თამუნა საკუთარ ოჯახზე ყვება, საკმაოდ დამთრგუნველია.

„ერთხელ და სამუდამოდ მოვყვები ამ ისტორიას და დამთავრდა, აღარასდროს შევეხები ამ თემას. ეს იყო ჩემი წარსული და არ მინდა, რასაც ახლა მივაღწიე, ჩემმა წარსულმა დამინგრიოს.

ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. დედამ გამაჩინდა და სამშობიაროში ჩემი თავი ბებია-ბაბუას დაუტოვა. როგორც მერე მეუბნებოდა, რამდენიმე წლის შემდეგ მოვდიოდი შენს სანახავად და არ მიშვებდნენო. მე არ მახსოვს, მაგრამ შეიძლება იმიტომაც არ უშვებდნენ, რომ მიმატოვა. დედა არის ნაშვილები და ნაშვილების შვილი გამზარდეს. ძალიან რთული იყო მათთვისაც. ისინი ძველი თაობის ხალხი არიან და სხვანაირად უყურებენ ამ ყველაფერს. დედა რომ გავიცანი 4-5 წლის ვიყავი. ერთხელაც ჭიშკართან გრძელთმიანი კაცი იდგა, მითხრეს, ეს მამაშენიაო. ეს იყო ჩემი მამინაცვალი კაკო. ძალიან თბილი იყო ბავშვობაში, კანფეტები, შოკოლადები და სათამაშოები მოჰქონდა. 9 წლის ასაკში გავიგე, რომ ის მამაჩემი არ იყო. ახლა კაკო ვაშალომიძესთან დამთავრდა ყველაფერი. იქით კვირაში შემაქვს განცხადება, რომ მამა აღარ იყოს და მხოლოდ გვარს დავიტოვებ. ფიზიკურად ვეღარ გადავიკეთებ გვარს, რადგან ყველა ასე მიცნობს.

- რამეში გიშლის ხელს, რომ ოფიციალურად მამად ითვლება?

- რაც ყველაზე ძალიან მეწყინა ის იყო, რომ მან თქვა, მე სამი ბიჭი მყავს და შვილად არასდროს ვთვლიდიო. 9 წელი მეგონა მამა, მერე 9 წლის ასაკში გავიგე, რომ მამინაცვალი იყო და მაინც თბილად მივიღე. ნამდვილი მამა არ მიძებნია, რადგან ვიცი, რომ იცის ჩემი არსებობის შესახებ და არ მნახულობს. თუ არ ვუნდივარ, არც მე მინდა. 5 წელი თბილისში კაკოსთან ერთად ვცხოვრობდით, როგორც ოჯახი ისე. კაკოს ძველი ინტერვიუები რომ წაიკითხოთ, ყველგან შვილად მომიხსენიებდა. ახლა ამბობს, რომ მე შევარცხვინე, მაგრამ რითი შევარცხვინე? იმით, რომ მოდელი ვარ თუ, იმით, რომ წავედი გავიმარჯვე კოსოვოში და ტიტული ჩამოვიტანე. „ფლეი ბოი“-ს იმიტომ დავთანხმდი, რომ ძალიან მაღალი ანაზღაურებაა და თან მაქვს იმის შანსი, რომ მოსკოვში რაღაც გავაკეთო. როცა 8 წელია ქირას ვიხდი, შემიძლია იმ თანხით სახლი ვიყიდო და ნორმალური ცხოვრება დავიწყო. ყველა ნორმალური ადამიანი, ვისაც გარეგნობა უწყობს ხელს, უარს არ იტყოდა და თუ მე ამის გამო შევარცხვინე, ძალიან დიდ ბოდიშს ვუხდი, ასეთი შვილი რომ ვყავარ.

თან თვითონ არ მოვიდა ჩემთან, მისი ამხანაგი მომეჭრა სპორტდარბაზში და ჩხუბი დამიწყო. ჩემზე ძალიან ცუდად ლაპარაკობს და რაც შეეხება დედაჩემს, მის ნალაპარაკებზე რეაქცია ნული მქონდა. მას ჩემზე სალაპარაკო არაფერი აქვს. როცა მარტო ვცხოვრობდი, ყველას ვეუბნებოდი, ახლო მეგობრებსაც კი, რომ მე მშობლები ავარიაში დამეღუპა. დავიღალე ამ ყველაფრის სხვებისთვის ახსნით. კაკო ვაშალომიძის სახელით მე არსად მისარგებლია. მინდოდა ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ მარტოს შემიძლია რამეს მივაღწიო და გავაკეთო. 9 წელია რაც სახლიდან წამოვედი. 2 წელი ოჯახის წევრებთან არ მქონდა კონტაქტი. მერე შევრიგდით და მხოლოდ შორი ურთიერთობა მქონდა. ბოლოს დედა სასამართლოზე ვნახე. დავიღალე ამ კონფლიქტებით და კონტაქტი აღარ მაქვს დედასთან. ორწელიწადნახევარია, რაც კაკოს დაშორდა და ისევ გათხოვდა. სოფელში ცხოვრობდნენ ბებიასთან და დედასაც და დედის ქმარსაც მე ვინახავდი. რაც შემეძლო არაფერს ვაკლებდი. სულ ვთხოვდი, რომ ბებოს კარგად მოქცეოდა. ბებო მირეკავდა ხოლმე, მცემსო. იგონებსო, დედა ამბობდა, ასჯერ გამოვიძახე პატრული. მეც მაყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ბოზი ვიყავი, ჩათლახი ვიყავი და ბოლოს აღარ მქონდა რეაქცია. მერე ბებოს მომვლელი ავუყვანე და იმასთანაც კონფლიქტი ჰქონდა. ამის გამო, 30 დღე ციხეშიც იჯდა. ბებო მომვლელთან გადავიყვანე და სახლი მთლიანად დედაჩემს დავუთმეთ, რომ იქნებ დაგვანებოს თავი. დედა მეორე ქმარსაც დაშორდა, ახლა ვიღაც ჰყავს, რომელიც დედაჩემის წაქეზებულია და მემუ-

„ბებო მირეკავდა ხოლმე, მცემსო“

„ადრე რომ ვილაცას ეთქვა გაიხადეო, თავში ჩავარტყამდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„კაკო ვაშალომიძის სახელით მე არსად მისარგებლია“

ქრება. შენ სოფელში ვერ ჩამოხვალო, მლანძღავდა და მაგინებდა. ბებო ცალკე მირეკავდა არ ჩამოხვიდე, არაფერი დაგიშავოსო. „იმედის კვირაში“ რომ გამოვედი, ყველაზე მეტად ბებოს რეაქციის მეშინოდა, მაგრამ თვითონ მითხრა, რა იყო საცურაო კოსტუმით ზღვაზე არავინ უნახავთო? ბებოს ძალიან ვუყვარვარ და ერთადერთი ნათელი წერტილია ჩემს ცხოვრებაში.

თვითმკვლელობა ვცადე

„როცა დედასთან ვცხოვრობდი, სულ კონფლიქტები და არეულობა მქონდა ოჯახში. ძალიან რთული წლები იყო ჩემს ცხოვრებაში. შეიძლება მეც ვარ რაღაცებში დამნაშავე. 14 წლის ვიყავი და ბავშვურად რაღაცები დავაშავე, მაგრამ მე რაც დედამ გამიკეთა, მაგის მხრიდან ეს ნამდვილად არ დამიმსახურებია. ნუთუ ეს იმიტომ გამიკეთა, რომ მამაჩემი არ უყვარდა... ზოგ ქალს ხომ აქვს, რომ ყოფილი ქმრისგან წყენა მოყვებათ და შვილებზე გადაქცვთ მერე აგრესია. მე მართლა არაფერ შუაში ვარ, არაფერი დამიშავებია. დედამ ანტიქრისტე მიწოდა და არც გამკვირვებია. ეს არასდროს მითქვამს, ბევრჯერ ვცადე თავის მოკვლა. სახლიდან რომ არ წამოვსულიყავი შეიძლება ცოცხალი არც ვყოფილიყავი. ეს იყო მიზეზი, რამაც ეკლესიაში მიმიყვანა.

მედავითნე

„14 წლის ასაკში დავიწყე ეკლესიაში სიარული. მერე გადავწყვიტე მედავითნეობა. მაინტერესებდა ნუსხახუცურად რომ ეწერა, მისი კითხვა შემესწავლა. ქაშუეთის ტაძრის უკან იყო მედავითნეების სკოლა და იქ დავიდოდი. ვისწავლე ლიტურგია. წიგნები ჩემი ფულით შევიძინე, რადგან ჩემი ძმის ნათლიის სასტუმროში დამლაგებლად ვმუშაობდი. მერე რაღაც პრობლემების გამო მონასტერში წავედი. თავიდან 2 კვირა მარტყოფში ვიყავი, მერე 5-6 თვით ბებნისში წავედი. ძალიან კარგი დედაოები იყვნენ, არამგონია მოეწონოთ, რომ „ფლეი ბოი“-ს მოდელი ვარ, ამიტომ მათ ვეღარ ვურეკავ. ყველას აინტერესებს, როგორ მოვხვდი ეკლესიიდან აქ, მაგრამ ეს უცებ არ ყოფილა. მე წამოვედი სახლიდან, დავიწყე მუშაობა მიმტანად და ნელ-ნელა ჩამოვშორდი მედავითნეობას, თორემ ახლაც დავდივარ ტაძარში. თავიდან სასულიერო აკადემიაშიც მინდოდა ჩამებარებინა - რელიგიათმცოდნეობაზე. როცა ვმეცადინეობდი, ზუსტად მაგ პერიოდში წამოვედი სახლიდან და მუშაობა დავიწყე. მერე ჯანმრთელობის პრობლემა შემექმნა. თურმე სუსტი ტერფები მქონია. მერე ბრტყელტერფიანიც აღმოვჩნდი. თან მიმტანად მძიმეებს რომ ვწევდი, დაიშალა ქუსლი თუ რაღაც მაგდაგვარი, ზუსტად ვერავინ გაიგო და სამსახურიდან გამომიშვეს, იმის გამო, რომ იქ ქუსლიანი ფეხსაცმელი უნდა მცმოდა. ამ პერიოდში შემიფარა ერთმა ოჯახმა. ერთად ვმუშაობდით ერთ-ერთ რესტორანში. გამოვკეთდი და ერთადერთხელ იყო, რომ ოჯახი შევაწუხე. ხელფასი მესამე დღეს უნდა ყოფილიყო, გამაყუჩებელი უნდა მეყიდა, რომ სამსახურში წასვლა შემძლებოდა. ზუსტად 10 ლარი მჭირდებოდა და სამწუხაროდ დედისგან ასეთი პასუხი მივიღე: შეიძლება მაქვს, მაგრამ რაღაცებისთვის მჭირდებაო. ამის მერე დავიფიცე, რომ აღარავის დახმარებას აღარ ვთხოვ“.

ჩემი მკერდი მოეწონათ

თამუნა ახლა ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში მენეჯერად მუშაობს. პარალელურად „კომედი არხზე“ – „სიცილის ზონაში“ და „ქალთა სახეებში“ თამაშობს. მოდელობა მისი ბავშვობის ოცნება იყო, რომელიც უკვე აიხდინა.

„ბავშვობიდან მინდოდა მოდელობა, უამრავი გვირგვინები მაქვს სახლში. სამწუხაროდ

„ბოლოს დედა სასამართლოზე ვნახე“

მაშინ პუტკუნა ვიყავი და არც მაგის დრო მქონდა. მერე, როცა ჩავიხედე სარკეში და ჩემს მკერდს და ფორმებს დავაკვირდი, ამოღებული ჩავიცვი და ასე ეტაპოვრივად მოხდა ყველაფერი. ბავშობაში ძალიან მორცხვი და უთქმელი ბავშვი ვიყავი. ადრე რომ ვიღაცას ეთქვა გაიხადეო, თავში ჩავარტყამდი. კოჭებამდე კაბებით დავდიოდი. ასე 90-% შეიძლება გარდაიქმნას ადამიანი. მერე ერთი წლის მანძილზე ია კიწმარიშვილთან ვსწავლობდი. შემომთავაზეს „მის ბიკინიზე“ გავსულიყავი, სადაც ხუთეულში მოვხვდი. შემდეგ ჩემმა მენეჯერმა კოსოვოში სილამაზის კონკურსზე წასვლა შემომთავაზა, ამასაც დავთანხმდი და „მის პრესის“ ტიტული ავიღე. ჟიურიში რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ და ერთ-ერთი იყო „ფლეიბოის“ წარმომადგენელიც. ფინალის დღეს მოვიდა და ჟურნალში გადაღება შემომთავაზა. აქცენტი მკერდზე ჰქონდა, აინტერესებდა ჩემი იყო თუ არა. ახლა, 21 დეკემბერს, კორეაში მივფრინავ. იქაც სილამაზის კონკურსი ტარდება. შემდეგ ჩამოვალ, მოვემზადები ფიზიკურად, გავფრინდები მოსკოვში გადაღებებზე და ივნისის თვეში, უკვე აქ ჩამომიტანენ ჟურნალებს. გარეკანზე მთლიანად შიშველი ვიქნები.

- შენ, რატომ აგარჩიეს იმ გოგონებიდან, რა მოეწონათ შენი?

- მე თვითონ არ მიკითხავს, მაგრამ პირადაპირ მითხრეს, რომ ჩემი მკერდით მოიხიბლნენ. მკერდი და თვალები. ჩემს მენეჯერს უთხრეს, რომ ფეხებზე ცოტა გახდომა და ვარჯიში სჭირდებაო. მოეწონათ, რომ აზიური იერი მაქვს. ვარჯიშს რაც შეეხება, ცოტა მიჭირს ფეხებზე პრობლემის გამო. ცოტა მტკივნეულია, მაგრამ მაინც აქტიურად ვვარჯიშობ. 3 კილო უკვე დავიკელი.

„ნიშნობის ბეჭედი მანქანიდან გადავუგდე“

არ მომწონს ერთჯერადი ურთიერთობები

„პირად ცხოვრებაში ახლა არაფერი ხდება. მყავს თაყვანისმცემლები, მაგრამ ქართველმა კაცებმა მიდგომა არ იციან, რა უნდა უთხრან ქალს, როგორ მოექცნენ. მე არ მომწონს ერთჯერადი ურთიერთობები. მიყვარს დინჯი, ჩამოყალიბებული მამაკაცი, რომელმაც იცის რა უნდა ცხოვრებაში. მყავდა შეყვარებული და სერიოზული ურთიერთობაც მქონდა. დანიშნული ვიყავი. ქართველი არ იყო. რამდენიმე მიზეზის გამო დავშორდი, ერთი რომ ბებიაჩემს და მას შორის არჩევანის გაკეთება მიწევდა, ანუ დაიღალა ჩემი ოჯახური კონფლიქტებით. მისი მარიაჟობითაც დავიღალე. ნიშნობის ბეჭედი მანქანიდან გადავუგდე. არ დავასახელებ ვინ არის, მაგრამ ტელევიზიით გამოვიდა და ჩემზე რაღაცები თქვა, მაგრამ ვერავინ გაიგო, რომ მე ვიყავი“.

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი დღე მაია დოზო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რჯგინიძესთან ერთად

ფოტო: თინა თუთიხანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქეთი ჩხეიძე - ნუნუკა „ჩე

my View

თამარ გონგაძე

ღორეშელი ნუნუკა ორჯონიკიძე „ჩემი ცოლის დაქალების“ სუნელსანელებლად იქცა. მისი გამოჩენა პირდაპირ ფრთიან კუთხურ გამოთქმებთან და სიცილთან ასოცირდება. იმერულ ცეცხლს ანთებს და იმერული ხაჭაპურის სურნელს ატრიალებს. გადაღებისას კამერის უკან ფხუკუნი ესმის. ნუნუკას სცენებზე სტაფი იცინის. თუმცა დასაწყისში უთხრეს, გადამეტებულად არ ეთამაშა. მაგრამ შეპარებულმა „აქანა-მაქანა-მადანამ“ ბუნებრივად დაიკავა ადგილი.

ეს ქალბატონი ქეთი ჩხეიძეა, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მისთვის ბავშვობაც ამ თეატრთან ასოცირდება. რეჟისორ გიზო ჟორდანიას დისშვილია. მეორე ბიძა გოგი გელოვანი იყო.

ქეთი ჩხეიძე:

„ძველი ვოდევილები“ ვისაც ახსოვს, მონუსხულია დღემდე. მე ეს სპექტაკლი ფრაგმენტულად მახსოვს. ვასო გოძიაშვილი კარგად მახსოვს, ლენა ყიფშიძე... მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ ვცხოვრობდით. სკოლის მერე ეზოს თეატრს რომ მოვამთავრებდით მოზარდში გადავდიოდით.

მერე იყო ჯერ რუსთაველის თეატრი, მერე მარჯანიშვილის თეატრი. გიზომ კარგად იცოდა, რა რთული გზაა მსახიობის გზა, ამიტომ მაფრთხილებდა - კარგად დაფიქრდი, ეს შენ რაც გგონია, ის არ არისო. მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, მოგვიანებით მისგან ძალიან დიდი ხელშეწყობა მქონდა. თუკი რაიმე შემიძლია, ეს მისი დამსახურებაა. დამებედა ის, რომ ასეთი პედაგოგი შემხვდა და თან ჩემი გამზრდელი ბიძა იყო. როდესაც გიზო ჟორდანია შენი პედაგოგია, ძალიან გაშეშებული თუ არ ხარ, რაღაც კი უნდა გამოვიდეს შენგან“.

ქეთი იმ თაობის წარმომადგენელია, რომლისგანაც რუსთაველის თეატრში საექსპერიმენტო თეატრი შექმნა ბატონმა გიზომ. ცნობილი ჯგუფი იყო, თავისი მაყურებელი ჰყავდა. მერე თეატრში სიტუაცია დაიძაბა და სხვებთან ერთად ქეთიც წავიდა. ამასობაში პირად ცხოვრებას დაუთმო დრო. 24 წლის იყო ცოლად ექიმს - ერეკლე ღლონტს გაჰყვა (ქეთის მეუღლე ახლა ბიზნესმენია). ნიკოლოზი ორი წლის იყო მოსკოვში რომ წავიდნენ საცხოვრებლად. ქეთი რვა წელი ცხოვრობდა რუსეთის დედაქალაქში. იქ მეორე შვილი, ელენეც გააჩინა.

„თეატრიდან წასვლის ტრავმული სიტუაცია პირადი ცხოვრებით ჩავანაცვლე. ახალგაზრდა ადვილად ეგუება ყველაფერს. საყრდენი გამიჩნდა, ოჯახი, რომელიც პირველ ადგილას დადგა. დედობამ შემცვალა, ეგო მეორე პლანზე გადავიდა. ჯერ შვილი დადგა და მერე საკუთარი თავი. რაღაც პერიოდის მერე ხვდები, რომ ეს არასწორია. შენი თავი არ უნდა გადაწიო უკანა პლანზე. შვილთან ერთად უნდა იყო თუ გინდა, რომ ისიც შედგეს. მივხვდი, რომ არც შვილს სჭირდები მხოლოდ სამზარეულოში დამჯდარი და თვალებში შემყურე - აბა, რა გინდა შვილო. მით უმეტე, როცა წარუმატებელი მსახიობი ხარ, შინაგანი პრეტენზიით სავსე და დაჩაგრული, არც შვილს მოსწონხარ. ოჯახის წევრსაც ბეზრდები. მივხვდი, რომ პროფესიაში უნდა დავბრუნებულიყავი. ეს ისეთი პროფესიაა, რთულია სხვა რამით ჩაანაცვლო. თბილისში რომ დავბრუნდი დაბნეული ვიყავი. დიდი დრო იყო გასული. მე არაფერი დამიტოვებია, რომ ვინმე დამლოდებოდა. ვის უნდა ვხსომებოდი თეატრალების გარდა. ერთხელაც ზარი გაისმა. ქეთი გამარჯობა, როგორ ხარო? უფროსი ადამიანი მესაუბრებოდა. გისმენთ-მეთქი. რას მისმენ, სოფიკო ვარ ჭიაურელიო. ფეხზე ავდექი. დისტანციური ურთიერთობა მქონდა. სულ მენატრება... რას აკეთებ შენ, დროზე მოიცვი რამე და გამოდი, გელოდებიო. ღამის 12 საათი იყო. მივედი. წინ ორი ქალის სათამაშო პიესა დამიდო. ვერ აგიწერთ ეს რა გრძნობა იყო ჩემთვის. ცაში ავფრინდი. მერე კი არ გამოვიდა ეს სპექტაკლი, რეჟისორი საღღაც მიიწვიეს და წავიდა, სოფიკო ავად გახდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ ქალბატონ სოფიკოს გავახსენდი და ეს ჩემთვის ძალიან დიდი სტიმული იყო. ეს ყველაფერი კარგად განვითარებულმა მოვლენებმა შეცვალა. ჩემი მეგობრები ფეხზე დამდგარი დამხვდნენ, თეატრები ჰქონდათ და უკვე ცნობილი რეჟისორები იყვნენ - ჭოლა, გოჩა კაპანაძე. მარჯანიშვილის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი იყო. დაიდგა „ყვარყვარე“. ოთარმა მიიწვია ჭოლა, მან კიდევ მე დამაკავა სპექტაკლზე. ბატონი ოთარი დათანხმდა. სცენაზე ისევ გამოვედი და ასე წავიდა... ისე ძალიან ვნერვიულობდი, რომ არ შემტყობოდა ნიღაბი მოვირგე და საერთოდ ვერ შემატყობდით ღელვას. ცხირი ისე ავწიე ზევით, ლამის ჭერს მივარტყი. ჭოლა გაღიზიანდა, ნერვებს მიშლიო, მითხრა, როგორ შეიძლება ადამიანს ფეხებზე ეკიდოს ყველაფერიო. არც არაფერს მეკითხები და არც ნერვიულობო.

„ნუნუკასნაირი დედა ვარ, ტაფა და თოხი არ მიჭირავს, მაგრამ სცენარი მიჭირავს“

„თეთრი იასამანი“

რეპერტუარში ერთი ძვირფასი როლი აქვს. გამზრდელ ბებიას როლს თამაშობს. „თეთრი იასამანის“ პიესა დედამ დაწერა და ბიძამ დადგა. პრემიერა 16 ნოემბერს შედგა.

„ეს არის ჩვენი ოჯახის ისტორია. და-ძმამ ნანამ და გიზომ დაწერეს. დედა ფილოლოგია. ცალკე დედამ დაწერა თავისი ისტორია, ცალკე გიზომ მამის ისტორია და შეაერთეს. აქ წერია, 1937 წელის ამბავი, გადასახლება. როგორ დაიჭერეს ბებია, ბაბუა. დედაჩემი შვიდი თვის იყო და ბიცოლამისმა ანა იოსავამ ოფიციალურად იშვილა. დედამისი გამოუშვეს, მაგრამ ნანა მაინც ბიცოლასთან დარჩა. ნამდვილი დედა სტუმრად მიდიოდა და ნახულობდა. ნანამ პირიქით იცოდა - სტუმრად მისული დედა ბიცოლა ეგონა და სახლში მყოფი ბიცოლა - დედა. თუმცა გრძნობდა ვინ იყო ნამდვილი დედა. დედის სუნს, ენერგიას, კოდს გრძნობდა. რვა წლის იქნებოდა ნათესავმა უთხრა სინამდვილე. დედაჩემმა დაიწყო დედამისთან, ვანდასთან სიარული. ბიცოლა მიხვდა რა ხდებოდა. ბებიაჩემი რუსულ სუნამოს „თეთრ იასამანს“ ისხამდა თურმე. დედაჩემს ეს სუნამო უყიდია და ბალიშის ქვეშ დაუმალავს. ანამ სუნამო უპოვა და ყველაფერი მოუყვა. მე ანას როლში ვარ. მუშაობა რომ დავიწყე, შევეცადე ერთ-ერთ როლად მიმეღო. მაგრამ სცენაზე გასვლის დღე რომ მოვიდა, ძალიან გამიჭირდა. ვცდილობდი ის მანერები მქონოდა, იმ სოციალური მდგომარეობის ქალი მეთამაშა, როგორიც ანა იყო. ბებია ძველი ყაიდის უაღრესად დახვეწილი ქალბატონი იყო, რომელსაც განათლება შვეიცარიაში ჰქონდა მიღებული. დაძაბული ვიყავი. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობამ შემიპყრო. სპექტაკლი რომ იწყება მგონია, რომ მიყურებს. მაყურებლისთვის ჩვეულებრივი სპექტაკლია, ჩემთვის - არაჩვეულებრივი. მძიმე სპექტაკლია და დაზაფრულები მიდიან. ვატყობ მაყურებელს მოენატრა განცდა. ირგვლივ გაუთავებელი ტაშფანდურაა და დასაფიქრებელი სპექტაკლი იშვიათობა გახდა. ამიტომ ამ სპექტაკლიდან მაყურებელი კმაყოფილი მიდის. სხვათა შორის მეც ანამ გამზარდა. დედა თელავში გათხოვდა. ხუთ წლამდე იქ ვცხოვრობდით. მამას რომ გაეყარა და თბილისში დავბრუნდით, ანა და ვანდა ერთ სახლში ცხოვრობდნენ.

„ჩემი კუბო დადგით“ იყო სცენარში და მე „ბალკომში“ დავამატე. „შემასხით ვინმემ წყალს“ დავამატე „პირში“. სიტუაციამ მოიტანა, წამომცდა“

„ნუნუკას მერე რომ დამინახავენ, გადახედავენ ერთმანეთს და იცინიან. რომ გითხრათ იმერელ ქალებს კარგად ვიცნობ-მეთქი, მოგატყუებთ“

„გიორგი ლიფონავამ ტექსტი მომცა და მითხრა, არ გეწყინოთ, მაგრამ უნდა გითხრათ - არაფერი არ ითამაშოთ, აქანა-იქანა არ გვინდაო. „ნაიგრიშის“ ეშინიათ, გადაჭარბებული თამაშის. დავიწყეთ გადაღება და ცოტ-ცოტა შევაპარე. ჯერ აქანა ვთქვი ჩუმად, რომ შევხედე რეჟისორი იცინის, მერე იქანა უფრო ხმამაღლა დავამატე, მადანა და წავიდა და წავიდა, იყოს იყოსო“

სერიალები

ქეთის ცხოვრებაში სერიალების პერიოდიც დაიწყო. ის თამაშობდა სერიალებში - „ყავა და ლუდი“, „შუა ქალაქში“ და „ჩემი ცოლის დაქალები“.

„სერიალებში გამიმართლა. მაღალი რეიტინგის სერიალებში ვითამაშე. როლები - ტასიკო, ლიანა დედიკო და ნუნუკა. ნუნუკას მერე რომ დამინახავენ, გადახედავენ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...მი ცოლის დაქალ...ედან“

„დამეზედა ის, რომ ასეთი პედაგოგი შემხვდა და თან ჩემი გამზრდელი ბიძა იყო. როდესაც გიზო ჟორდანია შენი პედაგოგია, ძალიან გაშეშებული თუ არ ხარ, რაღაც კი უნდა გამოვიდეს შენგან“

EXCLUSIVE

ერთმანეთს და იცინიან. რომ გითხრათ იმერელ ქალებს კარგად ვიცნობ-მეთქი, მოგატყუებთ. კახელებს უკეთ ვიცნობ. იმერეთის სოფლებში ნამყოფი არ ვარ. მამის დედა გამოკვეთილად იმერელი ქალი იყო, მაგრამ სხვა კატეგორიის. ძალიან უბრალო და გლეხი არ იყო (არ მინდა ნუნუკას შეურაცხყოფა მივაყენო). მე უბრალო ქალს ვთამაშობ. გიორგი ლიფონავამ რომ დამინახა, გაუკვირდა. კასტინგის მენეჯერმა ეკა მჟავანაძემ უთხრა - მენდეო. გიორგიმ ტექსტი მომცა და მითხრა, არ გეწყინოთ, მაგრამ უნდა გითხრათ - არაფერი არ ითამაშოთ, აქანა-იქანა არ გვინდაო. „ნაიგრიშის“ ეშინიათ, გადაჭარბებული თამაშის. ბუნებრივი უნდა იყო. 50 დუბლი რომ არ დასჭირდეს, გაფრთხილებენ, წყნარად, მშვიდად ითამაშო. დავიწყეთ გადაღება და ცოტ-ცოტა შევაპარე. შევხედე და იცინის. თან ერიდება, ხომ არ მეტყვის, უი იყოს, თურმე შეგძლებია და გააკეთეო, პატარა ბავშვი ხომ არ ვარ. ორივე დავიძაბეთ. შებოჭილები ვიყავით. ჯერ აქანა ვთქვი ჩუმად, რომ შევხედე რეჟისორი იცინის, მერე იქანა უფრო ხმამაღლა დავამატე, მადანა და წავიდა და წავიდა, იყოს იყოსო. იქ ტექსტის შეცვლაზე რევოლუციაა. ქეთი დევდარიანი რომ დაწერს, ვერავინ შეცვლის. მე მაინც რაღაცებს ვაკვეხებ და არაფერს მეუბნებიან.

- რა დაამატეთ?

- კივილი მე დავამატე. ბერტა და დანარჩენები გაკვირვებულები მიყურებენ. არ იყო გათვალისწინებული. დავამატე ბალკომში. „ჩემი კუბო დადგით“ იყო და მე „ბალკომში“ დავამატე. „შემასხით ვინმემ წყალს“ დავამატე „პირში“. სიტუაციამ მოიტანა, წამომცდა. ჯერჯერობით არ არის ნუნუკა სერიებში. ალბათ საშინელებას მიმზადებენ. მოჩეჩვა იქნება, ალბათ. მე უკვე შეშინებული ვარ. აწი რა უნდა გავაკეთო, თუ გავაფუჭებ თორემ. გაფუჭება კიდევ არ მინდა. ნუნუკა სერიალის სუნელი და მარილია. ბევრს რომ მოაყრი, კერძი გაფუჭდება. ზომიერად უნდა იყოს, სუნი არ უნდა აუვიდეს. ასე შეიძლება თავისი ადგილი შეინარჩუნოს. როცა მაყურებელი შენგან რაღაცა ელის, არ უნდა გააწბილო. მე, ქეთი ჩხეიძეს, მინდა ნუნუკას ეს რძალი შეუყვარდეს.

- იმერელი ქალისგან კომპლიმენტი მიიღეთ?

- ერთმა ქალბატონმა მითხრა სალონში, საიდან გაქვს ასე ზუსტად დაჭერილი ინტონაციაო. ეს სმენით კეთდება. კახი კავსაძე ისე ლაპარაკობს ინგლისურად ამ დროს არც ერთ სიტყვას არ ამბობს ინგლისურს. მე ვერ შევედრები კახი კავსაძეს, მაგრამ ასეა, ინტონაციის დაჭერაა მთავარი.

- ნუნუკას ჩაცმულობა თქვენ გეკუთვნით?

- მხატვართან ერთად ვიფიქრებთ ნუნუკას კოსტიუმებს. პუჭპუჭებს და ბრჭყვიალებს ვიგონებთ. ნაღდია, მეამიტურად იცვამს და ამაში დიდი სევდაა. მეცოდება ხანდახან. კარგი, მშრომელი ქალია, თავისი ცხოვრება აქვს, ჰგონია რომ გამოეწყო.

- მისი მსგავსი დედა ხართ?

- ნუნუკასნაირი დედა ვარ, ტაფა და თოხი არ მიჭირავს, მაგრამ სცენარი მიჭირავს. 23 წლისაა ნიკოლოზი, 18 წლის ელენე. მეც თუ მელის კონცერტები...

- რთულია მსახიობობა?

- რთულია. ურთულესი პროფესიაა. მუდმივად გამოცდას აბარებ. აბა ახლა რას იზამს? გიყურებენ და ამას გრძნობ. ერთი თუ გამოგივიდა, ამის გარშემო იწყებენ ტრიალს. იარლიყი გეწებება. მორალურად ძნელია 30-წლიანი გამოცდილების მსახიობს ქასთინგზე რომ გატრიალებენ და გიყურებენ. ამბიცია რომ გაქვს და რაღაც გაკეთებული გაქვს და მაინც გამოწმებენ, საშინელებაა. უარს იტყვი ქასტინგზე და როლი არ გექნება. ასე რომ, რთულია, მუდმივი გამოცდაა...

„იქ ტექსტის შეცვლაზე რევოლუციაა. ქეთი დევდარიანი რომ დაწერს, ვერავინ შეცვლის. მე მაინც რაღაცებს ვაკვეხებ და არაფერს მეუბნებიან“

„მივხვდი, რომ არც შვილს სჭირდები მხოლოდ სამზარეულოში დამჯდარი და თვალებში შემყურე - აბა, რა გინდა შვილო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ილურიძე სტუმრად „ევროპაბეთში“

<u>მაგდა კლდიაშვილი

გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ“ ევროპაბეთის ერთობლივმა პროექტმა - „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ კოსტავას ფილიალში გამართა მორიგი და 2014 წლის ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა. ქართველ გულშემატკივარს ზესტაფონის „ზესტაფონის“ თავდამსხმელთან, გიორგი ილურიძესთან შეხვედრის საშუალება ჰქონდა, რომელმაც ორი წლის წინ, გორის „დილას“ წარმატებაში ევროსარბიელზე, დიდი წვლილი დაიდო.

ზაფხულში დაწყებული პროექტის ფარგლებში, ტოტალიზატორის კოსტავას ფილიალს საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი და კაპიტანი, ლევან კობიაშვილი მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას ეწვია. ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა აქციის ფარგლებში დამ ალბათ, დიდწილადაც განაპირობა მისი გაგრძელება. სწორედ აქ ისაუბრა ლევან კობიაშვილმა იმაზე, თუ როგორ სჭირდება მსგავსი სახის აქციები ქართულ ფეხბურთს და რაოდენ აუცილებელია ქართველი გულშემატკივარი იცნობდეს საკუთარ მოთამაშეს და ჰქონდეს მასთან შეხვედრის ბედნიერება.

„ევროპაბეთმა“ აქციის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო და ჩვენც სტარტი დასავლეთ საქართველოდან ავიღეთ. ბათუმისა და ქუთაისის შემდეგ შეხვედრებმა თბილისში გადმოინაცვლა და „ევროპაბეთის“ სამგორისა და ვარკეთილის ფილიალები მოიარა, სადაც ტოტალიზატორის მომხმარებლები დავით სირაძეს, ლადო ბურდულს, გივი კვარაცხელიასა და გიორგი ფოფხაძეს შეხვდნენ, იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც რაღაც აგური დაუდიათ ქართული ფეხბურთის დღემდე მოყვანაში და დღესაც აგრძელებენ ამას.



გიორგი ილურიძეზე არჩევანი მისი პიროვნებიდან გამომდინარეც შევარჩიეთ. მას უთამაშია რუსეთსა და ხორვატიაში, იყო კვიპროსშიც, სადაც მაინცდამაინც ვერ აეწყო და საქართველოში დაბრუნდა კიდეც. თუმცა მანამდე თავი ქართველ გულშემატკივარს, გორის „დილას“ რიგებიდან შეაყვარა კიდეც, მის გამორჩეულობამ ხორვატიული „ჰაიდუკ სპლიტის“ თავკაცს თავიც მოაწონა და ასე სწრაფად გადაწყდა წასვლა ხორვატიაში. გიორგი ილურიძეს, შეიძლება ითქვას, რომ დამატებითი რეკომენდაცია საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემაც გაუწია.

გიორგი განსაკუთრებული თავაზიანობით გამოირჩევა, საკუთარ ქომაგს აგრძნობინებს, რომ მათ პატივს სცემს, ალბათ, სწორედ ამის დამსახურებაც იყო, რომ შეხვედრა ძალიან თბილი გამოდგა და აქციის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგაც, ფეხბურთელი ტოტალიზატორის ბეთინგშოპში დიდხანს დარჩა და საუბარი გააგრძელა ხალხთან.

„ევროპაბეთმა“ საკუთარი მომხმარებლებისთვის, ტრადიციულად, ბურთები გაათამაშა. გაზეთმა „პრაიმტაიმმა“ კი აქციას თავისი ხიბლი შემატა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით, გათამაშებას ეროვნული ნაკრების მაისურიც დაამატა. საჩუქარი ცოტაა, მოგების მსურველი კი ბევრი, უმართლებს მას, ვინც იღბლიანია, სწორედ ასეა ტოტალიზატორიც, იმ იღბლიანებს, რომლებსაც დანიშნული ფურცლები შეხვდათ ბურთის და მაისურის ნიშნით, დაჯილდოვდნენ, გიორგი ილურიძემ კი მათზე სამახსოვრო ავტოგრაფები დატოვა.

როგორც სხვა ყველა შეხვედრაზე, ახლაც, „ევროპაბეთმა“ აქციის სტუმარს სპეციალურად სიმბოლური ბილეთი დაუმზადა, სადაც გიორგი ილურიძემ ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარი ფავორიტი დაასახელა. როგორც ფეხბურთელმა დააფიქსირა, მისი საყვარელი გუნდი მადრიდის „რეალია“ და ფიქრობს, რომ მადრიდელები ტიტულის დაცვას შეძლებენ.

„პირველად ვარ ასეთ სიტუაციაში, პირველად ვხვდები გულშემატკივარს, რაც მეტ ფეხბურთელს მოიწვევთ და დაინერგება ასეთი აქციები, უკეთესი იქნება. წარმატებებს ვუსურვებ „ევროპაბეთს“, მის მოთამაშეებს კი გამარჯვებას, რაც მთავარია“

გიორგი ილურიძე:

„ბავშვობიდან „რეალს“ ვგულშემატკივრობ. მგონია, რომ სწ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

და „რეალის“ სასარგებლოდ დადებული ფსონი

ორედ „რეალ მადრიდი“ მოიგებს გათამაშებას. ახლა ყველა „რეალს“ ან „ბარსელონას“ ასახელებს, რადგან ეს ორი გუნდი ერთმანეთის კონკურენტია, თუმცა მე ამიტომ არა. სამეფო კლუბს ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ“.

რამდენიმე ქვეყანაში ნათამაშები ფეხბურთელი ამბობს, რომ გულშემატკივართან შეხვედრა საქართველოში არასდროს ჰქონია, შესაბამისად, თუკი მსგავსი აქცია დაინერგება და ხშირად ჩატარდება, ეს გულშემატკივარს აუცილებლად დააბრუნებს სტადიონზე.

გიორგი ილურიძე:

„პირველად ვარ ასეთ სიტუაციაში, პირველად ვხვდები გულშემატკივარს, რაც მეტ ფეხბურთელს მოიწვევთ და დაინერგება ასეთი აქციები, უკეთესი იქნება. წარმატებებს ვუსურვებ „ევროპაბეთს“, მის მოთამაშეებს კი გამარჯვებას, რაც მთავარია“.

„გიორგი ილურიძე პირველია, ვინც გავიცანი. აქციები რაც უფრო ხშირად იქნება, მით უკეთესი“

ელგუჯა ბარნოვი იმ იღბლიანთაგანი აღმოჩნდა, რომელმაც გათამაშებაში მაისური მოიგო. როგორც ტოტალიზატორის მომხმარებელი ამბობს, გიორგი ილურიძე პირველი ფეხბურთელია, რომელიც მან გაიცნო.

ელგუჯა ბარნოვი, გულშემატკივარი: „გაცნობით აქამდე არც ერთ ქართველ ფეხბურთელს არ ვიცნობდი, გიორგი ილურიძე პირველია, ვინც გავიცანი. აქციები რაც უფრო ხშირად იქნება, მით უკეთესი. ფეხბურთელებსაც გავიცნობთ ხალხი და გვექნება ხშირი შეხვედრები მათთან, ეს, რა თქმა უნდა, დააბრუნებს ხალხს სტადიონზე“.

„ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალში, ზაფხულში, მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად ლევან კობიაშვილმა გერმანია დაასახელა, „კობის“ პროგნოზი გამართლდა, ვნახოთ, რამდენად იღბლიანი აღმოჩნდება გიორგი ილურიძის ვარაუდიც, მადრიდის „რეალი“ კი უკვე ფავორიტია „ევროპაბეთის“ სიმბოლურ პროგნოზში.

მაშ ასე, „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ , პროექტის ფარგლებში მოწვეული სტუმრებიდან „რეალის“ გამარჯვება ივარაუდეს შემდეგმა ფეხბურთელებმა: გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე.

მიუნხენის „ბაიერნს“ გიორგი დათუნაიშვილისა და დიმიტრი ტატანაშვილის ხმა ერგოთ, ბევრისთვის საყვარელი „ბარსელონა“ ფავორიტად გიორგი ფოფხაძემ დაასახელა, გივი კვარაცხელიამ კი „ჩელსის“ მოგება ივარაუდა.

თუ ვისი პროგნოზი აღმოჩნდება მართალი, ამას მაისში გავიგებთ, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ფინალი შედგება. მანამდე კი, „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი შეხვედრაღა დარჩა. ტოტალიზატორის „თბილისი ცენტრალში“ მდებარე ფილიალი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს, ლაშა ჯაკობიას შეეხვდებით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კი განსაკუთრებულ მადლობას გადავუხდით, რადგან „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ წამოწყებას მაისურებით დაუჭირა მხარი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საახალწლო ფილმი მომღერლების მონაწილეობით



EXCLUSIVE

my View

თამარ გონგაძე

გიორგი კიკალიშვილი: „იშვიათად ვარ კმაყოფილი ნამუშევრით და მით უმეტეს გადაღების პროცესში. საქართველოს ტელესივრცეში პირველი მუსიკალური ფილმია“

სტუდია „K ფროდაქშენი“ საახალწლო ფილმს იღებს. კინოთეატრებში ფილმის პრემიერა 2 იანვარსაა დაგეგმილი. რეჟისორი გიორგი კიკალიშვილია. გადაღებაც ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობს. თან ფილმს იღებენ, თან, პარალელურად, ამონტაჟებენ. ფილმში მსახიობებთან ერთად მომღერლებიც თამაშობენ. მომღერლებთან კიკალას კეთილ დროს კლიპებზე აქვს ნამუშევარი. ამიტომ მას ისე ენდობიან, რომ არც ერთმა მომღერალმა წინასწარ არ იცოდა, რა როლი უნდა შეესრულებინა და ბრმად გამოცხადდა გადასაღებ მოედანზე. ყველა მათგანი მოედანზე ეცნობოდა სცენარს. ფილმს თბილისში, ბორჯომის ხეობასა და რაბათში იღებენ. სახალისო ნამუშევარს ჯერ სათაური არ აქვს.

ქეთი მიქანაძე, პროდიუსერი: „K ფროდაქშენს“ სატელევიზიო ფილმის გადაღება მოგვინდა. „რუსთავი 2“-მა კი სერიოზული მხატვრული ფილმის გადაღება შემოგვთავაზა, რომელიც ჯერ კინოთეატრებში გავა და მერე ეთერში. ჩვენ გავიღიმეთ და საქმეს შევუდექით.

მუსიკალური კომედიის სცენარის ავტორი ნიკა რამიაშვილია.

ნიკა რამიშვილი: სცენარის გეგმა სამ დღეში მოიხაზა. თან ვწერ, თან ვიღებთ. სიუჟეტი კი ასეთია: მომღერლები სამცხე-ჯავახეთში, რაბათის ციხეში კონცერტის ჩასატარებლად მიდიან. მძღოლი გზაში დაიკარგება და მომღერლებს ღამის ტყეში გატარება უწევთ. ახალციხეში კონცერტი უნდა ჩატარდეს. პროდიუსერი მომღერლების ორეულებს იპოვის, გრიმით მიამსგავსებს და კონცერტს ატარებს. ფილმში ყველა მომღერალი თავის ორეულს ასახიერებს. ზოგი მზარეულია, ზოგი მეთევზე, გზის ინსპექტორი... ისინი თავიანთი საქმის კეთებისას მღერიან. დანიშნულ კონცერტს ორეულები ატარებენ და მათ მოგვიანებით ნამდვილი მომღერლები უერთდებიან. ყველაფერი სახალისოდ და მხიარულად მთავრდება.

მიშა მესხი ავტობუსის მძღოლია, შორენა ბეგაშვილი მკითხავია, დათო დარჩია პროდიუსერი, გიორგი ყიფშიძე ეპიზოდურ როლშია. მიშა მესხს ატანს ნივთს, რომლის გამოც მიშა შარში ეხვევა. გელა გნოლიძე აჩი არველაძის მნვრთნელის როლშია. ნათია წინილაშვილი ვითომ უნგრელი მომღერალია.

„ქუჩის ბიჭები“ ავტობანის მუშების როლში გვევლინებიან.

ირაკლი ნოზაძე: ჩვენ აკაპელაში ვმღერით ძველ კარგ სიმღერას „თოვლის ფანტელებოს“. კლიპზე საინტერესოა ფილმში გადაღება. გაძლევს თავის რწმენას და მეგობრებთან ურთიერთობის საშუალებას.

ზურა ხაჩიძე: ამ სიმღერას ორიგინალურად ვასრულებთ. მხატვრულ ფილმში მონაწილეობა აქამდე არ მიგვიღია და დარწმუნებული ვართ, კარგი ფილმი იქნება.

პაატა ხაჩიძე: თითქმის მთელი შოუბიზნესი მონაწილეობს. ეს შეკრება საინტერესოა და, ალბათ, კურიოზებით ჩაივლის.

მარგო ლუჩკო პროდიუსერის თანაშემწის როლშია.

მარგო ლუჩკო: ამდენ ვარსკვლავებს შორის სასიამოვნოა მონაწილეობა. ცანცარა მხიარული როლი მაქვს, ისეთი, შალვას შოუში რა იმიჯიც მქონდა. უფროსს ნერვებს უშლის, სასაცილო გოგოა.

აჩიკო მეფარიძე: მე „თეთრ იასამანს“ ვმღერი. ვარ უბნის ინსპექტორის როლში. რამდენიმე წლის წინ გიორგი ოვაშვილმა გადაიღო საახალწლო ფილმი „ვინც არ უნდა იყო მანდ“, „რეკორდის“ და „კუჩხი ბედინერი“-ს რიმეიქი და იქ ორ მთავარ როლს ვთამაშობდი. ამდენი წლის მერე ისევ შეგვკრიბა კიკალამ. მომწონს საახალწლო ფილმები.

ნინი ბადურაშვილი პარმაზანის ყველის სანარმოს დირექტორია.

ნინი ბადურაშვილი: კიდევ კარგი პარმაზანის ყველის საწარმოა, თორემ ყველის სუნს ვერ ვიტან. ყველის სექციასთან არ დავდივარ. მე ვმღერი „მზე ჩემი კარგი მეგობარია“. სულ მომწონდა ეს სიმღერა. ანრიმ გააკეთა არანჟირება. დრუპის სცენარი საინტერესოა. „რუსთავი 2“ ხომ ყველაფერში ნომერ პირველია.

ნოდიკო ტატიშვილი ბაღის გამგის როლშია.

ნოდიკო ტატიშვილი: ჩემი სტუდიის ბავშვებთან ერთად ვმღერი ზაზა წურწუმიას ახალ საახალწლო სიმღერას „ახალი წელი მოდის“.

ნათია წინილაშვილი აფერისტი მომღერალია, რომელიც იტყუება, რომ უნგრელი მომღერალია. მერე გამოაშკარავდება, რომ თურმე იმერელია.

ნათია წინილაშვილი: „სანთა ბეიბის“ ვმღერი. ჩემი სადებიუტო სიმღერაა. მერლინ მონროს სტილშია.

გიგი დედალამაზიშვილი: ახლახან ჩავწერეთ სიმღერა, „ალილო“ ჰქვია. ჩვენ ვართ მეთევზეები და ფარავნის ტბაზე ვმღერით. ანუ ჩვენი სიმღერები ყველამ შეიძლება იმღეროს.

„ფორტეს“ წევრები მზარეულები არიან.

ნინო ახობაძე: რევაზ ლაღიძის „პოპურს“ ვმღერით მზარეულოში და თან რაღაცებს ვათუხთუხებთ. სახალისო იქნება, გაერთობა მაყურებელი. ზურა შეფმზარეულია.

ზურა მანჯავიძე: სამზარეულოში ტრიალი მიყვარს. მოსკოვში ნინოს ჰქონდა სამზარეულო დაპყრობილი და ორჯერ რომ შემიშვა, შექეცაც დავიმსახურე.

ირაკლი ფირცხალავა მწყემსის ტყაპუჭს მოირგებს. ვარძიის საძოვრებზე ფარასთან ერთად ვიხილავთ. დათო ხუჯაძე თავს აწონებს კონცერტის პროდიუსერს, ლიკა ქორქიას გმირს. მომღერალი „შენ დაგეძებ“-ს უმღერის გოგონას.

გიორგი ყიფშიძე: მე ასეთი როლი მაქვს, მოვდივარ საეჭვო ამანათს ვატან ავტობუსს. მძღოლს ეჭვი აქვს, რომ არალეგალური ამანათია, მე საპირისპიროს ვუმტკიცებ. ამის გამო ხდება ყველაფერი.

დათო დარჩია: ვგიჟდები ასეთ როლზე, პროდიუსერზე. სხვანაირი მიდგომა უნდა, დაფიქრება სჭირდება. პროდიუსერი უნდა განსხვავდებოდეს სხვებისგან, ყველასთან ერთად არ იმგზავრებს, უყვარს რომ უვლიან.

გიორგი კიკალიშვილი: იშვიათად ვარ კმაყოფილი ნამუშევრით და მით უმეტეს გადაღების პროცესში. ექსტრემალურ სამუშაოს ვასრულებთ. აქვე ვამონტაჟებთ. ზუსტად ისე მიდის, რაც გვინდოდა.

– როგორ გგონიათ, სალაროს ფილმი იქნება? კარგად გაიყიდება?

– სალაროს ფილმი იქნება. საქართველოს ტელესივრცეში პირველი მუსიკალური ფილმია. ეს არც საავტოროა და არც კრეატიული. ეს ჩვენი პოპკულტურაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უცვლელი მიზანი - „ცხუმი“ პირველ ლიგაში გადმოსასვლელად იბრძვის

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

სოხუმის „ცხუმი“ ქართულ ფეხბურთს გასულ წელს დაუბრუნდა. ეს დიდი საქმე საკუთარ თავზე ალექსანდრე წულაიამ იტვირთა, დღეს კი მისი პატრონაჟის ქვეშ მყოფი გუნდი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონის ლიდერია და მოწინააღმდეგეთა კარში 63 ბურთიც აქვს გატანილი.

სოხუმელების მიზანი პირველ ლიგაში აღზევებაა. პირველი წრის ბოლო მატჩში, „ცხუმი“ გალის „მზიურს“ დაუპირისპირდა. ეს ორი აფხაზური გუნდი ერთმანეთს ბოლოს 22 წლის წინ ეპაექრა, 1992 წელს, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ კი „ცხუმიცა“ და „მზიურიც“ ჩემპიონატს გამოეთიშნენ.

როგორც აღვნიშნეთ, „ცხუმს“ 63 გოლი აქვს გატანილი, რაც რეკორდული მაჩვენებელია, საკუთარ კარში კი სოხუმელებმა 6 ბურთი გაუშვეს. ამ შედეგით „ცხუმი“ ზამთრის ჩემპიონი გახდა. გუნდის ბომბარდირობა კი ახალგაზრდა მოთამაშეებმა, მინდია გოგატიშვილმა და 22 წლის გიორგი ნარსიამ იტვირთეს. 23 წლის გოგატიშვილის აქტივში 20 გატანილი ბურთია, ნარსიამ, რომელიც „მზიურთან“ მატჩს ტრავმის გამო აკლდა, 18 გოლი ჩაიწერა.

„მზიურის“ წინააღმდეგ მატჩი „ცხუმის“ უპირატესობით დაიწყო და ასევე დასრულდა, თუმცა სოხუმელებმა რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მომენტის გამოყენება ვერ შეძლეს და შეხვედრა მშრალი ანგარიშით - 0:0 დასრულდა.

სოხუმელებმა ვერ შეძლეს 11-მეტრიანის გამოყენება, რომელიც სწორედ მინდია გოგატიშვილმა შეასრულა, მისი ძლიერად დარტყმული ძელმა აისხლიტა,

მატჩის მიწურულს შანსი ჰქონდათ გალელებსაც, თუმცა გიორგი ჭურჭელაურმა ახლო მანძილიდან ბურთი ხარიხას გაარტყა.

ამრიგად, მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. „ცხუმს“ 36 ქულა აქვს და ცხრილის ლიდერია, უახლოესი მდევარი „ვოიაჟი“ კი სოხუმელებს 5 ქულით ჩამორჩება.

როგორც კლუბის მეპატრონემ, ალექსანდრე წულაიამ აღნიშნა, გუნდი ზამთარში გაძლიერებას აპირებს, დაგეგმილია შეკრებაც, აუცილებელი მიზანი კი პირველ ლიგაში გადმოსვლაა.

ალექსანდრე წულაია:

„გუნდი 25 დეკემბერს წავა შესვენებაზე და 10 იანვრამდე

„ვეცდებით, შევინარჩუნოთ პირველი ადგილი. დეკემბრის ბოლოს გადაწყდება, სად გავივლით თებერვალში შეკრებას. მიზანი კი ერთია - პირველ ლიგაში გადასვლა“

დაისვენებს, შემდეგ კი განახლდება ვარჯიში. იანვრის ბოლოს, თებერვლის დასაწყისში შეკრება გვექნება, ალბათ, ბაკურიანში, თუმცა ვფიქრობთ, თურქეთსაც თუ დავგეგმეთ და გამოგვივიდა, უცხოეთშიც შეიძლება გავიაროთ მოსამზადებელი პერიოდი. შეგულებული გვყავს რამდენიმე ფეხბურთელი, ვისითაც გავძლიერდებით, გუნდის ძირითადი ბირთვი შენარჩუნდება, ჩვენ რიგებს კი რამდენიმე მათგანიც დატოვებს“.

როგორც სოხუმელი ბიზნესმენი ამბობს, გუნდმა დროებით საკუთარ მინდორზე ფიქრი შეაჩერა, რადგან ამასთან დაკავშირებით მხარდაჭერა არის და თუკი „ცხუმი“ პირველ ლიგაში გადმოვა, ამ საკითხს ხელახალი იმპულსი მიეცემა, მანამდე კი აუცილებელი მიზანი პირველ ლიგაში გადმოსვლაა, რასაც, დიდი ალბათობით, მოახერხებენ კიდევაც სოხუმელები.

გუნდის მთავარი მწვრთნელი, ირაკლი ვასაძე კი პირველი წრით კმაყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ გამოსასწორებლად ხედავს მაინც ლაფსუსებს. ვასაძის თქმითვე, გუნდის მიზანი პირველი ადგილის შენარჩუნებაა.

ირაკლი ვასაძე:

„პირველი წრე პირველ ადგილზე დავასრულეთ და, რა თქმა უნდა, დადებითად ვაფასებ. მიუხედავად ამისა, კიდევ ბევრია სამუშაო და გამოსასწორებელი, დასახვეწი. ვეცდებით, შევინარჩუნოთ პირველი ადგილი. დეკემბრის ბოლოს გადაწყდება, სად გავივლით თებერვალში შეკრებას. მიზანი კი ერთია - პირველ ლიგაში გადასვლა“.

სპორტკომპლექსი „შატილი“

მზიური (გალი) - ცხუმი (სოხუმი) 0:0

მზიური: მთიულიშვილი - თედიაშვილი, მეგრელიშვილი, მაღრაძე, ლობჟანიძე, შარია - გვაზავა, ჭურჭელაური, სონგულია, კარაპეტიანი - სუხიაშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: ფიჩხაძე, მჭედლიშვილი, ქოიავა, შეყლაშვილი, ჭიჭინაძე, ჩოლოგური.

მწვრთნელი: ირაკლი ანჩაბაძე;

ცხუმი: ვასაძე - გოცირიძე, კუცია, მაძღარაშვილი, ჭუმბურიძე - წიწაკიშვილი, ხანიაშვილი, ჭიაბერაშვილი, ჯალაღონია - წულაია, გოგატიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: დოლიძე, ციხელაშვილი, კიკვაძე, ქავთარაშვილი, ფუტკარაძე, სარქისოვი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N49 (299) ორშაბათი, 15 დეკემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„დამებედა ის, რომ ასეთი პედაგოგი შემხვდა და თან ჩემი გამზრდელი ბიძა იყო. როდესაც გიზო ჟორდანია შენი პედაგოგია, ძალიან გაშეშებული თუ არ ხარ, რაღაც კი უნდა გამოვიდეს შენგან“

exclusive

ქეთი ჩხეიძე - ნუნუკა „ჩემი ცოლის დაქალებიდან“

საახალწლო ფილმი მომღერლების მონაწილეობით

exclusive

„ფლეი ბოის“ 23 წლის მოდელის ექსკლუზიურად პირადი

exclusive

გიორგი ილურიძე სტუმრად „ევროპაბეთში“ და „რეალის“ სასარგებლოდ დადებული ფსონი

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

სოზარ სუბარის მეორე ნახევარი

exclusive

თამთა ყუბანეიშვილი: „ერთ დღესაც აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთის გარეშე აღარ შეგვეძლო. ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა. თუმცა ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები უფრო ატყობდნენ ჩვენს სიყვარულს, ადრეულ ეტაპზევე, ვიდრე ჩვენ“

Happy Hands-ს სპეციალურად „ნიჭიერისთვის“ შეიქმნა

exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება